



საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი

გიორგი ოქროპირიძე

საჰაერო ხომალდის ფრთის შემონაკერის კომპოზიციური მასალის
განგარიშება მდგრადობაზე

წარდგენილია დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სადოქტორო პროგრამა: „საფრენი აპარატების დაპროექტება“

შიფრი - 0715

საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი

თბილისი. 0103, საქართველო

2020 წელი

საავტორო უფლება 2020 წელი, გიორგი ოქროპირიძე

საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი

საინჟინრო ფაკულტეტი

ჩვენ, ქვემოთ ხელმომწერი ვადასტურებთ, რომ გავეცანით გიორგი ოქროპირიძის მიერ შესრულებულ სადისერტაციო ნაშრომს, დასახელებით: „საჰაერო ხომალდის ფრთის შემონაკერის კომპოზიციური მასალის გაანგარიშება მდგრადობაზე“ და ვაძლევთ რეკომენდაციას საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის სადისერტაციო საბჭოში მის განხილვას, დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად.

2020 წელი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ----- პროფესორი გელა ყიფიანი
რეცენზენტი:-----პროფესორი აკაკი დუმბაძე
რეცენზენტი:-----ასოც. პროფესორი ფატიმა (ლალი) ვერულაშვილი

საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი

2020 წელი

ავტორი: გიორგი ოქროპირიძე

დასახელება: „საჰაერო ხომალდის ფრთის შემონაკერის კომპოზიციური მასალის გაანგარიშება მდგრადობაზე“

სადოქტორო პროგრამა: „საფრენი აპარატების დაპროექტება“

ხარისხი: აკადემიური დოქტორი

სხდომა ჩატარდა:-----

ინდივიდუალური პიროვნების ან ინსტიტუტის მიერ ზემომოყვანილი დასახელების დისერტაციის გაცნობის მიზნით მოთხოვნის შემთხვევაში მისი არაკომერციული მიზნით კოპირებისა და გავრცელების უფლება მინიჭებული აქვს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტს.

----- ავტორის ხელმოწერა

ავტორი ინარჩუნებს დანარჩენ საგამომცემლო უფლებებს და არც მთლიანი ნაშრომის და არც მისი ცალკეული კომპონენტების გადაბეჭვდა ან სხვა რაიმე მეთოდით რეპროდუქცია დაუშვებელია ავტორის წერილობითი ნებართვის გარეშე.

ავტორი ირწმუნება, რომ ნაშრომში გამოყენებული საავტორო უფლებებით დაცული მასალებზე მიღებულია შესაბამისი ნებართვა (გარდა იმ მცირე ზომის ციტატებისა, რომლებიც მოითხოვენ მხოლოდ სპეციფიურ მიმართებას ლიტერატურის ციტირებაში, როგორც ეს მიღებულია სამეცნიერო ნაშრომების შესრულებისას) და ყველა მათგანზე იღებს პასუხისმგებლობას.

რეზიუმე

მიღებულია ამოცანების ამოხსნები რეგულარობის დამრღვევი ფაქტორების მქონე მრავალფენიანი თხელკედლიანი გარსებისა და ფირფიტებისათვის ფიზიკური და გეომეტრიული არაწრფივობის პირობებში. ეს ამოხსნები ალგორითმის გამარტივებასთან ერთად, ითვალისწინებს დაძაბულ-დეფორმირებული მდგომარეობის განსაკუთრებულობას ძაბვების კონცენტრაციის ზონებში.

კომპოზიციური ფენოვანი თხელკედლიანი სივრცითი კონსტრუქციების გეომეტრიული და გარეშე ზემოქმედების მოდელირების ფორმირება;

დაძაბულ დეფორმირებული მდგომარეობის ანალიზი მათემატიკური მოდელის შექმნის საფუძველზე;

დიფერენციალური განტოლების შედგენის ზოგადი მეთოდები, მისი გამარტივების ხერხები კერძო შემთხვევებში არაწრფივი დეფორმაციის პირობებში.

საკაერო ხომალდის ფრთის შემონაკერის გაანგარიშება სასრულ ელემენტთა მეთოდის გამოყენებით.

შემუშავდა ჭრილებისა და ხვრეტების მქონე მრავალფენიანი თხელკედლიანი ფირფიტების მდგრადობაზე გაანგარიშების მეთოდი.

შედგენილი და გამოკვლეული იქნა დიფერენციალურ განტოლებათა სისტემა, რომელიც საშუალებას მოგვცემს ერთიან მეთოდოლოგიურ საფუძველზე, არაწრფივი დეფორმაციის პირობებში, გამოკვლეული იქნას დაძაბულ-დეფორმირებული მდგომარეობა ჭრილების, ხვრეტების და შეყურსული საყრდენების მქონე მრავალფენიანი გარსებისა და ფირფიტებისათვის. შედგენილია ამ განტოლებათა სხვადასხვა გამარტივებული ვარიანტები. საანგარიშო მოდელი ასახავს ავიაშენებლობაში გამოყენებული კონსტრუქციის ელემენტებს.

მრავალფენიან გარსთა სხვადასხვა ტიპებისათვის დამუშავებული გამარტივებული ვარიანტები საშუალებას იძლევა, ეს განტოლებები მიყვანილ იქნან წრფივ დიფერენციალურ განტოლებათა მიმდევრობაზე, რომელთა ცვლადი კოეფიციენტები შეიცავს რეგულარულ და იმპულსურ ფუნქციებს.

განტოლებათა ზოგადი სისტემის საფუძველზე, გამოკვლეულია ორმაგი სიმრუდის მრავალფენიანი გარსების, ცილინდრული და სფერული გარსებისა და ფირფიტების ღუნვის და მდგრადობის ამოცანების ფართო დიაპაზონი. მიღებულია ზოგადი ანალიზური გამოსახულებები ძაბვებისთვის, გადაადგილებებისა და კრიტიკული დატვირთვებისათვის.

მოცემულია შემოთავაზებული თეორიის დასაბუთება გარსებისა და ფირფიტების ღუნვის და მდგრადობის ამოცანების ამოხსნების შედარების გზით ზუსტ ამოხსნებთან და ექსპერიმენტულ მონაცემებთან. სხვა ორგანოზომილებიანი თეორიების შედეგებთან შედარების გზით დადგენილია, რომ შემოთავაზებული თეორია მრავალ შემთხვევაში იძლევა უფრო ზუსტ შედეგებს.

დამუშავებულია განტოლებათა ზოგადი სისტემის სტერიქონებრივი ფორმირების ალგორითმი თავისუფალი კიდის ნებისმიერი წერტილისთვის და ფირფიტების მდგრადობის რიცხვითი გამოკვლევის კერძო მეთოდიკა, ზადეების

მეთოდის გამოყენებით. კერძო მეთოდულში გამოკვლევის ყველა ეტაპი საწყისი განტოლებების ფორმირების ჩათვლით, ავტომატიზირებულია. კომპიუტერზე გაანგარიშების პროგრამა გამოირჩევა, საწყისი ინფორმაციის სიმცირით და საშუალებას იძლევა ვცვალოთ რიგი პარამეტრებისა (გვერდების შეფარდება, ბადის სიხშირე, სასაზღვრო პირობები, დატვირთვის სიდიდე და ა.შ.). შემოთავაზებული მეთოდების დასაბუთება ხდება მკაცრ ალანიზურ ამოხსნებთან შედარებით.

მრავალფენიანი გარსებისა და ფირფიტების გაანგარიშების მეთოდები, გეომეტრიული და ფიზიკური არაწრფივობის გათვალისწინებით, საშუალებას იძლევა შეფასებულ იქნას დამაბულ-დეფორმირებული მდგრადობის ყველა კომპონენტის ცვლილება, კრიტიკული დატვირთვის სიდიდეები და დატვირთვის პროცესში მდგრადობის დაკარგვის ფორმა, ამასთან ეს მეთოდი უფრო ეფექტურია სხვა რიცხვით ან რიცხვით-ანალიზურ მეთოდებთან შედარებით.

Abstract

There have been the solutions related to the dissolving the regularity of multilayer thin plates in the condition of the physical and geometric in direction. This solutions with Algorhythm's simplicity consider tense deformed condition particularly in the terms of voltage concentration. The formation of composite thin wall layers space construction and geometry. The tense deformed condition's analysis for the creation by mathematical model. The methods of differential riddles, the complicity of approaches, In private conditions in terms of the indirect deformation conditions. Using the finite elements method for aircraft wing skin calculation. There has been taken a method for calculating of multilayer thin wall cuts and holes. There is a differential equation system, giving us the possibility on a center methodologic basis for nonlinear deformed conditions, cuts, holes, for multilayer plates. We have different versions of these equation. These calculation model describes the elements used in aircraft constructions. The multilayer skin versions give us the possibility of the function for vector movements. On the basis of the general system of equation, a wide range of dual density multilayer membranes, cylindrical and spherical membranes and plates are investigated. There are some images for voltages, movements and critical loadings. There are theory provings of shell and plates for turning and sustainability of impulsive functions. To be compared to other two-dimensional theory results, we have proved that suggested theory gives more precise results. The proving of suggested method goes on compared to analytical solutions. The multilayer skin and accounted plates methods gives us the opportunity to evaluations. All stages of investigations are automatized. The computer calculated program has a lack of initial information, provides us with the parameter changing possibilities. There is a private method in using nets for plates strength evaluation and equation system Algorhythm's formation. Allows the evaluation of changes in all components of the strain-deformed state, the critical load values, and the form of the loss of resilience during loading, but this method is more effective than other numerical or numerical-analytical methods.

სარჩევი:

შესავალი	1
თავი I პრობლემის თანამედროვე მდგომარეობა	6
1.1. კომპოზიტების საინჟინრო მექანიკა	7
1.2 ფენოვანი კომპოზიტების გამყარების რეჟიმის გავლენა ფირფიტების სიმრუდეზე	22
1.3 თეორიების მიმოხილვა	24
1.4 მდგრადობის საკითხები	37
1.5 რიცხვითი მეთოდის გამოყენების საკითხები	39
1.5.1 ტემპერატურის ზეგავლენა მასალების თვისებებზე	47
1.5.2 ფენოვანი ფირფიტის სისქის გავლენა დანარჩენ პარამეტრებზე.....	49
1.5.3 ფენოვანი ფირფიტის გვერდების სიგრძეების შეფარდების გავლენა მის კონფიგურაციაზე.....	51
1.5.4. ფენების დალაგების თანმიმდევრობის გავლენა	54
1.6 პირველი თავის დასკვნები	60
თავი II. საფრენი აპარატების კომპოზიტური მასალებისა და სტრუქტურების წარმოება	61
2.1 კომპოზიტების გამოყენება საფრენ აპარატებში.....	61
2.2. თერმორეაქტიული და თერმოპლასტიკური თერმოპლასტები.....	64
2.3. ნახშირბადის ბოჭკოების წარმოება	67
2.4. CFRP მონაცემები	71
2.5.1 მედეგობისა და დაზიანების განსაზღვრებები	79
2.5.2. დაშვებების შემამცირებელი ფაქტორი	79
2.5.3. დაშვებების განმსაზღვრელი ტესტები	80
2.5.4. დასაშვები დაზიანების კონტროლი	81
2.5.5 დაზიანების აღდგენის ვადები	83
2.6. ძველის და ახლის განვითარება	84
2.6.1. ნახშირდაბის ბოჭკოს 3D კომპონენტები და სტრუქტურები.....	84
2.7. თვითაღმდგენი ნახშირბადის ბოჭკოები	87

2.8.ნახშირბადის ბოჭკოს შემცველი კომპოზიტური მასალის ექპერიმენტული გამოცდა.....	88
2.9. მეორე თავის დასკვნები.....	89
თავი III. საჰაერო ხომალდის ფრთის შემონაკერის კომპოზიციური მასალის გაანგარიშება რიცხვითი მეთოდით.....	90
3.1. თვითმფრინავის ფრთის კომპოზიტური შემონაკერზე დატვირთვების მოდელირება არაერთგვაროვან ჰაერის ნაკადში.....	90
3.2. თვითმფრინავის ფრთის ამოცანა რიცხვითი ამოხსნისათვის დისკრეტულ განსაკუთრებულობათა მეთოდით.....	94
3.3. თხელი პროფილის ამოცანის რიცხვითი ამოხსნა მომატებული რიგის სიზუსტით დისკრეტულ განსაკუთრებულობათა მეთოდით	100
3.4. სასრულ ელემენტთა მეთოდის გამოყენებით კომპოზიტებისაგან შემდგარი კონსტრუქციის გაანგარიშება.....	105
3.5. ძირითადი განტოლებები.....	107
3.6. ელემენტის თვისებები.....	112
3.7. დეფორმაციების თავსებადობის პირობების დამაკმაყოფილებელი ელემენტის თეორია	113
3.8. ზოგიერთი ელემენტის სიხისტის მატრიცები.....	114
3.9. ელემენტის თეორია, რომელიც აკმაყოფილებს წონასწორობის პირობებს.....	120
3.10. გაანგარიშების მეთოდები	123
3.11. გადაადგილებათა მეთოდი.....	124
3.12. ძალთა მეთოდი.....	126
3.13. დატვირთვები კომპოზიტურ ფილაზე.....	130
3.14. მესამე თავის დასკვნები	145
ძირითადი დასკვნები	146
გამოყენებული ლიტერატურა	148

დანართი 1. ნახშირბადის ბოჭკოს შემცველი კომპოზიტიური მასალის
ექპერიმენტული გამოცდის დეტალური შედეგები159

ნახაზების ნუსხა

ნახაზი 1.1	25
ნახაზი 1.2	31
ნახაზი 1.3	41
ნახაზი 1.4	43
ნახაზი 1.5	44
ნახაზი 1.6	46
ნახაზი 1.7	58
ნახაზი 1.8	50
ნახაზი 1.9	52
ნახაზი 1.10	52
ნახაზი 1.11	52
ნახაზი 1.12	53
ნახაზი 1.13	56
ნახაზი 1.14	57
ნახაზი 1.15	59
ნახაზი 1.16	112
ნახაზი 1.17	115
ნახაზი 1.18	117
ნახაზი 1.19	122
ნახაზი 1.20	128
ნახაზი 1.21	129

ფიგურების ნუსხა

ფიგურა 2.1.....	61
ფიგურა 2.2.....	62
ფიგურა 2.3.....	62
ფიგურა 2.4.....	63
ფიგურა 2.5.....	69
ფიგურა 2.6.....	69
ფიგურა 2.7.....	70
ფიგურა 2.8.....	73
ფიგურა 2.9.....	74
ფიგურა 2.10.....	74
ფიგურა 2.11.....	75
ფიგურა 2.12.....	77
ფიგურა 2.13.....	78
ფიგურა 2.14.....	80
ფიგურა 2.15.....	80
ფიგურა 2.16.....	83
ფიგურა 2.17.....	86
ფიგურა 2.18.....	87
ფიგურა 2.19.....	91
ფიგურა 2.20.....	91
ფიგურა 2.21.....	92
ფიგურა 2.22.....	92
ფიგურა 2.23.....	92
ფიგურა 2.24.....	93
ფიგურა 2.25.....	93
ფიგურა 2.26.....	93
ფიგურა 2.27.....	95
ფიგურა 2.28.....	95

ფიგურა 2.29.....	98
ფიგურა 2.30.....	103
ფიგურა 2.31.....	103
ფიგურა 2.32.....	132
ფიგურა 2.33.....	133
ფიგურა 2.34.....	134
ფიგურა 2.35.....	135
ფიგურა 2.36.....	136
ფიგურა 2.37.....	137
ფიგურა 2.38.....	138
ფიგურა 2.39.....	139
ფიგურა 2.40.....	140
ფიგურა 2.41.....	141
ფიგურა 2.42.....	142
ფიგურა 2.43.....	143
ფიგურა 2.44.....	144
ფიგურა 2.45.....	145

ცხრილების ნუსხა

ცხრილი 2.1.	64
ცხრილი 2.2.	66
ცხრილი 2.3.	64
ცხრილი 2.4.	72
ცხრილი 2.5.	77
ცხრილი 2.6.	82
ცხრილი 2.7.	99
ცხრილი 2.8.	99
ცხრილი 2.9.	99
ცხრილი 2.10.	131

მადლიერება

ავტორი დიდი მადლობელია სამეცნიერო ხელმძღვანებლის, პროფესორის, საქართველოს მეცნიერებისა და ტექნიკის დარგის სახემწიფო პრემიის ლაურიატის გელა ყიფიანის, უნივერსიტეტის რექტორის პროფესორ სერგო ტეფნაძის, საინჟინრო ფაკულტეტის დეკან პროფესორ გივი ცირეკიძის, იმ კონსულტაციების, ყურადღებისა და პრაქტიკული დახმარებისათვის, რასაც მუდვიმად გრძნობდა სადისერტაციო ნაშრომზე მუშაობისას.

შესავალი

თემის აქტუალობა: ისეთი დარგების განვითარება როგორცაა ავიამშენებლობა, საავიაციო და კოსმოსური ტექნიკა, ქიმიური მრეწველობა, ხელსაწყოთ მშენებლობა და სხვა. შეუძლებელია მათემატიკური მოდელირების მაღალ ეფექტური საშუალებების გარეშე. ისინი გვადლევენ, არა მარტო ახალი ტექნიკური იდეებიდან კონკრეტულ გადაწყვეტილებაზე გადასვლის პროცესის დაჩქარების საშუალებას, არამედ მიღებული დამუშავებული ნიმუშების ხარისხის შესამოწმებელ ციკლს.

ახალი კონსტრუქციების ნიმუშების დამუშავების დროს, ამოსავალ წერტილს წარმოადგენს კონცეპტუალური მოდელი, რომელიც ერთმანეთთან ათანხმებს დასაპროექტებელი კონსტრუქციებისადმი აბსტრაქტულ მოთხოვნებს და მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების დონით განსაზღვრულ რეალურ შესაძლებლობებს. ეს მოდელი წარმოადგენს დამუშავებლის მიერ პროექტების პირველი ამოცანის შესრულების შედეგს - საძიებელი ტექნიკური გადაწყვეტილების პროტოტიპის არჩევას ან მისი არყოფნის დროს, შესაბამისი გამომგონებლური ამოცანის ამოხსნას. კონსტრუქციის შექმნის მოცემული სტადია არ შეიძლება იყოს ფორმალიზებული ისეთი სახით, რომ მისი ამოხსნა განხორციელდეს კომპიუტერის საშუალებით.

ახალი კონსტრუქციის დამუშავების შემდეგი ეტაპია, კონკრეტული ტექნიკური გადაწყვეტილების ფორმირება, რომელიც კონცეპტუალურ მოდელს ხორცს ასხამს „მასალაში“. გამოთვლითი ტექნიკის პერიფერიული საშუალებების გამოყენებით, ამ ეტაპზე შეიძლება გადაიჭრას დასამუშავებელი კონსტრუქციის ბაზური- გეომეტრიული მოდელის აგების პრობლემა. კონსტრუქციის გეომეტრიული მოდელი შეიცავს მისი ზომების კოორდინატული მიზმის, ცალკეული ელემენტების კონსტრუქციული მასალების მექანიკური მახასიათებლების აღწერას.

შემდეგ საჭიროა დასამუშავებელი კონსტრუქციის გარემოსთან ურთიერთობის მოდელის (ან მოდელების ერთობლიობის) ფორმირება. ამისათვის

საჭიროა ფუნქციონირების მოდელის აგება, კონსტრუქციის სიცოცხლის ყოველ ეტაპზე, რომელიც ასახავს რეალურ ფიზიკურ პროცესებს და დასაპროექტებელი ობიექტის ტრანსფორმაციებს ექსპლუატაციის პერიოდში.

ექსპლუატაციის პერიოდში კონსტრუქცია მნიშვნელოვანი ძალური და სითბური მოქმედების ქვეშ ექცევა. ამიტომ პროექტირების ერთ-ერთი ძირითადი ამოცანაა, კონსტრუქციის მდგრადობის აპრიორული შეფასება. აქ იგულისხმება, ექსპლუატაციის პერიოდში კონსტრუქციის ელემენტების დაშლის ან დაუშვებელი დეფორმაციების დროს, კონსტრუქციის შრომისუნარიანობის შენარჩუნების შეფასება. ამ მიზნით ფორმირდება კონსტრუქციის მოდელი, დეფორმირებული მყარი სხეულის მექანიკის ტერმინებში. მოდელის ფორმირება გულისხმობს დამაბულ-დეფორმირებული მდგომარეობის გათვლის მზა პროცედურის შერჩევას ან ახალი პროცედური შექმნას.

მოდელის დამუშავების დროს გვიხდება კომპრომისის შერჩევა. ფორმის სრულ და ადეკვატურ აღწერას ელემენტის მუშაობის და დატვირთვის პირობებს და თვით მოდელის სირთულის შორის. აქ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მოდელის მოქმნილობა ისეთი მომენტების მიმართ, როგორცაა დასაპროექტებელი ნიმუშის კონსტრუქციული თავისებურებები. გარეშე ზემოქმედებებისა და მასალების მრავალფეროვნება. ამის მიღწევა შეიძლება შესაბამისი ბიბლიოთეკების შექმნის გზით. შემდგომი რიცხვითი ექსპერიმენტის მაღალი სიზუსტის გარანტიაა: გასათვლელი ფრაგმენტების, დასატვირთი სქემის პროცედურების აღმწერი ბიბლიოთეკების გაფართოება და მოდელის საფუძველში ჩადებული უმნიშვნელოვანესი მათემატიკური მეთოდების რიცხვითი რეალიზაციის ალგორითმების სრულყოფა.

შედგენილი და გამოკვლეულია დიფერენციალური განტოლებათა სისტემა, რომელიც საშუალებას მოგვცემს არაწრფივი დეფორმაციის პირობებში მდგრადობის საკითხებს. განტოლებათა სხვადასხვა გამარტივებული ვარიანტები და საანგარიშო მოდელი ასახავს, ავიაშენებლობაში გამოცემული კონსტრუქციის ელემენტებს.

ამასთან დაკავშირებით, დეფორმაციისა და მდგრადობის პირობებში მყოფი საჰაერო ხომალდის ფრთის შემონაკერის კომპოზიციური მასალის გაანგარიშების პრობლემა, მეტად **აქტუალურია** და მოითხოვს გაანგარიშების განსაკუთრებული მეთოდების შემუშავებას. ფენოვანი კომპოზიციური მასალის გაანგარიშება მდგრადობაზე, ჯერ კიდევ არასაკმარისადაა დამუშავებული. ამჟამად საინჟინრო გათვლებისათვის, პრაქტიკულად არ არსებობს ფრთის შემონაკერის კომპოზიციური მასალის მდგრადობაზე გაანგარიშების შედარებით მარტივი და მოხერხებული ფორმულირება, კონსტრუქციის განსაკუთრებულობათა გათვალისწინებით.

ნაშრომის მიზანი: შეიქმნას დისკრეტულ-წიბოვანი, ფენოვან კონსტრუქციებზე ღუნვაზე და მდგრადობაზე გაანგარიშების ანალიზი. რიცხვითი მეთოდები, რომელიც საშუალებას მოგვცემს გამოვიკვლიოთ საჰაერო ხომალდის ფრთის შემონაკერის კონპოზიციური მასალის გაანგარიშება მდგრადობაზე; წიბოებით შემადგრებული ფენოვანი თხელკედლიანი სივრცითი კონსტრუქციების მეთოდის შემუშავება, გეომეტრიულად არაწრფივი დეფორმაციის პირობებში.

მეცნიერული სიახლე: კომპოზიციური ფენოვანი თხელკედლიანი სივრცითი კონსტრუქციების გეომეტრიული და გარე ზემოქმედების მოდელირების ფორმირება. დამაბულ დეფორმირებული მდგომარეობის ანალიზი მათემატიკური მოდელის შექმნის საფუძველზე; დიფერენციალური განტოლების შედგენის ზოგადი მეთოდები, მისი გამარტივების ხერხები, კერძო შემთხვევებში არაწრფივი დეფორმაციის პირობებში. საჰაერო ხომალდის ფრთის შემონაკერის კომპოზიციური მასალის გაანგარიშება სასრულ ელემენტთა მეთოდის გამოყენებით.

ნაშრომის პრაქტიკული ღირებულება მდგომარეობს დამუშავებული მეთოდის და პროგრამების გამოყენების შესაძლებლობაში ავიაშენებლობის, საავიაციო-კოსმოსური ტექნიკის კონსტრუქციების და აპარატების კომპოზიციური მასალების გაანგარიშებისათვის, წიბოების მქონე ფენოვანი კონსტრუქციების მდგრადობის ამოცანებისთვის, აგრეთვე ფენოვანი კონსტრუქციებისთვის, რომლებიც ავიაშენებლობაში გამოიყენება ტიპურ ანაკრებ ელემენტებად.

შედეგების უტყუარობა განპირობებულია იმით, რომ გადამწყვეტი განტოლებების ფორმირებისას გამოიყენება საყოველთაოდ მიღებული ჰიპოთეზები და დაშვებები, რომელთა კორექტულობა დამტკიცებულია. არაწრფივი განტოლებების გაწრფივებისთვის გამოყენებულია ცნობილი და ფართოდ აპრობირებული თანმიმდევრული დატვირთვის მეთოდი; გადმოცემულია თვითმფრინავის ფრთის კომპოზიტურ შემონაკერზე დატვირთვის მოდელირება არაერთგვაროვან ნაკადში, დატვირთვები შედარებულია კომპოზიტურ ფილაზე. უტყუარობა მტკიცდება აგრეთვე სხვადასხვა ავტორების მიერ მიღებული თეორიული და ექსპერიმენტული მეთოდების დამაკმაყოფილებელი თანადამთხვევით.

ნაშრომის აპრობაცია: დისერტაციის ძირითადი შედეგები მოხსენებული იქნა:

- მერვე საერთაშორისო კონფერენციაზე. „თანამედროვე პრობლემები არქიტექტურაში და მშენებლობაში.“ (ერევანი, სომხეთი. 2016 წ)
- საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის სტუდენტთა მე-11 საერთაშორისო სამეცნიერო ტექნიკურ კონფერენციაზე. (თბილისი. 2017წ)
- მეცხრე საერთაშორისო კონფერენციაზე, „თანამედროვე პრობლემები არქიტექტურაში და მშენებლობაში“ (ბათუმი 2017წ)
- მეთექვსმეტე საერთაშორისო კონფერენციაზე, „მოდელირება მექანიკაში“ (ოსტრავა, ჩეხეთის რესპუბლიკა, 2018წ)
- მეორე საერთაშორისო კონფერენციაზე, „სეისმიკა 2018“ (თბილისი 2018წ)
- მეორე საერთაშორისო სიმპოზიუმზე „სეისმომედეგობა და საინჟინრო სეისმოლოგია“ (თბილისი 2019წ)
- საერთაშორისო კონფერენციაზე „დიფერენციალური განტოლებები მექანიკაში“ (ლისაბონი, პორტუგალია. 2019წ)
- საქართველოს მათემატიკის კავშირის X საერთაშორისო კონფერენციაზე (ბათუმი, 2019წ)
- საერთაშორისო კონფერენციაზე „უწყვეტ გარემოთა მექანიკის მონათესავე პრობლემები“ (ქუთაისი, 2019წ)

პუბლიკაციები: დისერტაციის თემაზე გამოქვეყნებულია 7 სამეცნიერო ნაშრომი და 7 მოხსენებითი თეზისი.

ნაშრომის მოცულობა: დისერტაცია შედგება რეზიუმის, შესავლის, პირველი თავის, რომელიც ეძღვნება მიმოხილვას და ძრითადი ნაწილის მეორე და მესამე თავისაგან, დასკვნებისაგან, გამოყენებული ლიტერატურის და დანართისაგან. იგი შეიცავს 162 გვერდს, ლიტერატურა მოიცავს 116 დასახელებას.

თავი I

პრობლემის თანამედროვე მდგომარეობა

როგორც წესი, ფენოვანი კომპოზიტები მზადდება იმგვარად, რომ თითოეულ ფენას მასალის გარკვეული თვისებებით, სისქითა და ბოჭკოების ორიენტაციით, რომელიც მდებარეობს კომპოზიტის შუა სიბრტყის ერთ მხარეს, შეესაბამება მისგან მეორე მხარეს თანაბრად განლაგებული ისეთივე ფენა იგივე თვისებებით, სისქითა და ბოჭკოების ორიენტაციით. სიმეტრიულად წოდებულ ასეთ ფენოვან კომპოზიტებს, შერეული მემბრახულ-ღუნვითი სიხისტეების კოეფიციენტები, რომლებიც ჩვეულებრივ აღნიშნება მატრიცით B_{ij} , ნულის ტოლია. თუ აღნიშნული სიმეტრია დარღვეულია ფენების თუნდაც ერთი წყვილისათვის, მაშინ ფენოვან კომპოზიტს ეწოდება არასიმეტრიული. ამ შემთხვევაში, ერთი ან რამოდენიმე კოეფიციენტები B_{ij} განსხვავდება ნულისაგან, ე.ი. მოდებული მექანიკური დატვირთვების ზემოქმედებით მასალაში შეინიშნება მემბრახულ-ღუნვითი ურთიერთქმედება. გარდა ამისა, თერმული დატვირთვების ზემოქმედებისას ამგვარი ფენოვანი კომპოზიტი გამოავლენს საკმაოდ უჩვეულო თვისებებს, რომელთა ანალიზი წარმოადგენს ამ თავის საგანს. კერძოდ, განიხილება თავდაპირველად გამყარების ტემპერატურაზე, ბრტყელი არასიმეტრიულად დალაგებული ფენების პოლიმერულ შემკვრელზე პაკეტის გამრუდება გაგრძელებისას. არასიმეტრიული ფენოვანი კომპოზიტების ეს თვისება, მიუხედავად იმისა რომ მოულოდნელია, ნაკლებად არის შესწავლილი და ვერ კვლავ ფართო გამოყენებას.

ამ თავის მიზანს წარმოადგენს თეორიის დამუშავება, რომელიც აუცილებელია არასიმეტრიული ფენოვანი კომპოზიტების დეფორმირების მახასიათებლების შესაფასებლად როგორც ტემპერატურის ფუნქციისა, თანაც განსაკუთრებული ყურადღება ექცევა დეფორმაციებს სიბრტყეზე. თეორია და განხილული რიცხვითი შედეგები შემოიფარგლება არასიმეტრიული ორთოგონალური არმირებული ფენოვანი კომპოზიტების განხილვით. ამ მარტივი მაგალითებითაც კი შეიძლება გავიგოთ, თერმული დატვირთვების შედეგად

გამოწვეული დეფორმაციის ძირითადი კანონები და შევისწავლოთ მასალათა გეომეტრიისა და თვისებების გავლენა. ამ თავში მხარდაჭერილია კონცეფცია, რომ ფენოვანი ფირფიტების კონფიგურაცია, სიხისტე და სიმტკიცე, შესაძლებელია მორგებული იქნას კონკრეტული გამოყენების მოთხოვნებებზე. კონფიგურაციის მორგების შესაძლებლობა საკმაოდ მნიშვნელოვანია, იმის გათვალისწინებით, რომ უმეტეს კონსტრუქციებისათვის, განსაკუთრებით საავიაციო კონსტრუქციებისათვის, საჭიროა ელემენტები ბრტყელი ან სივრცითი სიმრუდით. ბრტყელი კონსტრუქცია არ არის ისეთი ეფექტური, როგორც გარსული და ჰპოვებს ნაკლებ გამოყენებას.

მოცემული თავი იწყება, ჯერ კომპოზიტების საინჟინრო მექანიკის მიმოხილვით და შემდეგ პოლიმერულ შემკვრელზე კომპოზიტების გამყარების პროცედურის საკმაოდ ზოგადი აღწერით. გამყარების პროცესის ასეთი მოკლე აღწერა, საჭიროა განსახილველი პრობლემის ილუსტრირებისათვის და მისი მექანიკური მხარის გასაგებად. მოცემულია, არასიმეტრიული ფენოვანი კომპოზიტებისგან გამტარებული ფირფიტების გამრუდების მაგალითები. შემდგომ მოყვანილია თეორია, რომელიც იძლევა საშუალებას გამოვიანგარიშოთ ორთოგონალურად არმირებული არასიმეტრიული ფენოვანი კომპოზიტების დეფორმაციები გამყარების ტემპერატურაზე, დაბლა გაგრილების დროს. შემდეგ ნაწილში აღწერილია რიცხვითი შედეგები, რომლებიც ასახავენ ტემპერატურის, ფენის მასალის თვისებების და ფირფიტების გეომეტრიის გავლენას. სადაც ეს შესაძლებელია, გამოთვლების შედეგები შედარებულია კლასიკოს ავტორთა მიერ ჩატარებულ ექსპერიმენტულ მონაცემებთან.

1.1 კომპოზიტების საინჟინრო მექანიკა

კომპოზიტების მექანიკა, როგორც დეფორმირებული გარემოს მექანიკის დამოუკიდებელი ნაწილია, იმყოფება ზრდის, განვითარებისა და ჩამოყალიბების ეტაპზე. მისი საკითხები დამუშავებულია სხვადასხვა სიღრმეებით, მრავალი საკითხი ჯერ კიდევ შორს არის დასრულებამდე. ეს ნათლად ჩანს მასალებიდან. საქმე იმაშია, რომ პერიოდს ლაბორატორიული იდეიდან პრაქტიკული

წარმოებამდე და თანამედროვე კონსტრუქციული ბოჭკოვანი მასალების გამოყენებამდე, დაახლოებით 15-20 წელი დასჭირდა. საკმარისია ითქვას, რომ ალუმინის დანერგვას თვითმფრინავის კონსტრუქციაში დასჭირდა 30 წელი და მომდევნო 40 წელი ჩვენ ჯერ კიდევ ვსწავლობთ კონსტრუქციების გაანგარიშებას ამ მასალისაგან. თუმცა, კომპოზიტების საინჟინრო მექანიკის განვითარებაში წარმატებები უდავოა. ამ პრობლემის გადასაჭრელად მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს სხვადასხვა ქვეყნების მეცნიერებმა. სწორედ ამიტომ, მუშაობის პროცესში გაჩნდა აზრი, შედგენილიყო ძირითადი პუბლიკაციების თუნდაც მოკლე მიმოხილვა, განსახილველ პრობლემაზე. მიმოხილვა დაფუძნებულია მაგალითებზე, რომლებიც ახლოსაა მიმოხილვის ავტორის სამეცნიერო ინტერესებზე და ბუნებრივია, არ აცხადებს პრეტენზიას ამომწურავ სისრულეზე.

ბოლო ათწლეულებში, კაცობრიობის ისტორიაში, პირველად გამოჩნდა მასალების წინასწარ მოცემული თვისებებით სამრეწველო წარმოების რეალური შესაძლებლობა. ეს შესაძლებლობა უკავშირდება კომპოზიციური მასალების, ან როგორც მათ უფრო ხშირად უწოდებენ მსოფლიო სამეცნიერო ლიტერატურაში, კომპოზიტების შექმნას, განვითარებას და უწყვეტ გაუმჯობესებას. კომპოზიტების შექმნა თანამედროვე ტექნოლოგიების საჭიროებებზე, ბუნებრივ რეაქციას წარმოადგენდა. ისინი ეფუძნება თავისი სიმარტივით უნიკალური არმირების იდეას, როდესაც ერთიანდება "პოლარული" თავისი მახასიათებლებით, მასალები - დამყოლი მატრიცა და ხისტი და მტკიცე არმატურა. ეს იდეა ბუნებისგან ძალიან გამარტივებული ფორმით არის ნასესხები. მცენარეთა ღეროები და ფოთლები, ადამიანებისა და ცხოველების ძვლები – წარმოადგენენ ბოჭკოებით არმირებულ ანიზოტროპულ მასალებს, ე.ი. კომპოზიტებს. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ არმირების იდეა უფრო სიღრმისეულია, ვიდრე უბრალოდ სიმტკიცე და ტექნოლოგიურობა. ეს ასევე მასალის საიმედოობის ამაღლებაა [88]. სავარაუდოდ, კომპოზიტები წარმოადგენენ ერთადერთ მასალებს, რომლებშიც სიმტკიცის ზრდას თან ახლავს რღვევის სიბლანტის ზრდა. კომპოზიტები, მკაცრად რომ ვთქვათ, არ წარმოადგენენ მასალებს კლასიკური გაგებით, ე.ი. საბოლოო პროდუქტს, მაგალითად მეტალურგიაში, მოცემული და გადამამუშავების

პროცესში პრაქტიკულად შეუცვლილი თვისებებით. ისინი წარმოადგენენ მასალების ფართო ოჯახს, რომლებიც იქმნებიან ნახევრად ფაბრიკატებიდან კონსტრუქციასთან ერთად. სწორედ კომპოზიტების მექანიკა წარმოადგენს სამეცნიერო საფუძველს მასალებისა და მათგან ნაწარმის ფორმირების ტექნოლოგიის, კონსტრუქციული თვისებების მთელი მრავალფეროვნობის გაგების, აღწერის, პროგნოზირებისა და კონტროლისათვის. ეს კარგად არის ნაჩვენები ვ.ვ. ბოლოტინის მიმოხილვაში [97], რომელიც მიძღვნილია კომპოზიტების მექანიკის და მათგან კონსტრუქციების გაანგარიშების პრობლემებს. კომპოზიტებისაგან კონსტრუქციების დაგეგმარების საკითხები, ოპტიმალური არმირება და ტექნოლოგიური პროცესის დაგეგმარება, წარმოადგენენ ერთიანი პრობლემის სამ მხარეს და არ შეიძლება იზოლირებულად განიხილებოდეს, რაც დასაშვებია კონსტრუქციების ლითონებისგან შექმნისას. ეს აზრი განსაკუთრებით მკაფიოდ გატარებულია ვ.დ. პროტასოვის [98, 52] და მისი მოწაფეების მიერ შემუშავებული მიმართულებების ნაშრომებში. განსახილველ სფეროში მიღებული ინფორმაცია უნდა იყოს დაყვანილი კონსტრუქტორებამდე და ინჟინრებამდე, არა მხოლოდ უმოკლეს ვადებში, მაგრამ აგრეთვე მიზნობრივი დანიშნულების კონსტრუქციების და მათი წარმოება მეთოდების შექმნისას გამოსადეგარი სახით. კომპოზიტური მასალების შემუშავებასთან და დანერგვასთან დაკავშირებით გამოვლენილი პერსპექტივების რეალიზაცია, განაპირობებს მათ საფუძველზე შექმნილი კონსტრუქციების გაანგარიშების, დაგეგმარების და გამოცდის მეთოდების განვითარებას. ამ საკითხების კომპლექსის გადაწყვეტას ემსახურება კომპოზიტების საინჟინრო მექანიკა. კომპოზიტების საინჟინრო მექანიკის ძირითადი პრობლემები ჩამოყალიბებულია ი.ფ. ობრაზცოვის [92] მიერ; მიმოხილვის ბიბლიოგრაფიაში მოყვანილია მექანიკის განსახილველ სფეროში დაწერილი ძირითადი წიგნები. განსაკუთრებით გამოვყოფთ წიგნს, “ პოლიმერული და კომპოზიტური მასალების განძლეობაზე” [87], რომელიც მოკლე დროში სამჯერ გამოიცა სსრკ-ში, თანაც მე-2 გამოცემა ითარგმნა აშშ და გერმანიაში. კომპოზიტების საინჟინრო მექანიკის განვითარებაში, პრინციპიალური წვლილი შეიტანეს იუ.ნ. რაბოტნოვმა, მისმა მოწაფეებმა და

თანამშრომლებმა. შემდგომ უფრო დეტალურადაა განხილული პრობლემები, რომელთა განვითარებაში მისი იდეები მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ. ამავდროულად ხაზი გავუსვათ, რომ 1979 წელს გამოცემულ დამხმარე სახელმძღვანელო [100] უნივერსიტეტებისათვის მყარი სხეულის მექანიკაში იუ.ნ. რაბოტნოვმა პირველად, როგორც ჩანს, ამ კურსის სახელმძღვანელოებისათვის შეიყვანა სპეციალური თავი "კომპოზიტების მექანიკა". დღეისათვის ევროპასა და აშშ-ში უკვე გამოჩნდნენ სპეციალიზირებული კურსები ამ საგანში უნივერსიტეტებისათვის. მაგალითის სახით მიუთითოთ რ. კრისტენსენის [82] და ბ.ე. პობედრიას [94] წიგნებზე, რომლებიც წარმოადგენენ ლექციათა ციკლებს კალიფორნიის უნივერსიტეტის ასპირანტებისა სტენფორდში [82] და მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტის სტუდენტებისათვის. ვ.ვ. ვასილევმა განახორციელა დამხმარე სახელმძღვანელოს შექმნის წარმატებული მცდელობა, კომპოზიტებისაგან კონსტრუქციების კურსში [78].

თანამედროვე ბოჭკოვანი კომპოზიტები, წარმოადგენენ არაერთგვაროვან ანიზოტროპულ მასალებს. ბოჭკოვანი კომპოზიტების დრეკადობა და არადრეკადობა განისაზღვრება არმატურის (მინის, ბორის, ნახშირბადის და ორგანული ბოჭკოების) და მატრიც (პოლიმერული, ნახშირბადოვანი, ლითონის, კერამიკული) ტიპით, კომპოზიტში მათი ურთიერთქმედების ხარისხით და დატვირთვის კუთხით, არმირების მიმართულების მიმართ. კომპოზიტებს ახასიათებს ორი დონის არაერთგვაროვნება – მიკრო არაერთგვაროვნება (ბოჭკოებითა და შემკვრელთ შემდგარი მონოფენა) და მაკრო-არაერთგვაროვნება (პაკეტის სისქეზე ნებისმიერად დალაგებული მონოფენებისაგან შემდგარი ფენოვანი სტრუქტურა). აქედან გამომდინარეობს კომპოზიტების მექანიკის ორი მიმართულებით: მიკრო და მაკრო მექანიკა.

სტრუქტურულად არაერთგვაროვანი გარემო, თავისი ფიზიკურ-მექანიკური ქცევით, მნიშვნელოვნად უფრო მდიდარია ერთგვაროვან მასალაზე. შესაძლო სიტუაციების მრავალფეროვნობა კომპოზიტების დეფორმირებისა და რღვევის დროს, ამ მასალების შესწავლას მიმზიდველად აქცევს მყარი სხეულის მექანიკის

სხვადასხვა სფეროების სპეციალისტებისათვის. მაგალითად, ბოჭკოვან კომპოზიტებში მარმირებელი ელემენტების დონეზე ყოველთვის არსებობენ მიკროდეფექტები – ბზარები გამოწვეული არა მხოლოდ ტექნოლოგიის არასრულყოფილების, არამედ გადაცდომებით მასალის იდეალიზებული მოდელებისაგან. გარდა "კანონიერი" ნახაზით მოცემული საზღვრების გამოიყენება გ.ი. ბარენბლატის მიერ [68] შემოთავაზებული მოდელი, – ბზარები კომპოზიტებში შეადგენენ სხეულის საერთო საზღვრის ნაწილს. ბუნებრივია, დატვირთვის ზრდასთან ერთად, ბზარებს შეუძლიათ განვითარდნენ კომპოზიტების დეფექტების არსებობის და სხვა გაყოფის დამატებითი საზღვრების გამო, რომლებიც ეწინააღმდეგებიან ბზარების გავრცელებას, წარმოადგენენ რღვევის მექანიკის საინტერესო ობიექტს. ნაშრომების რაოდენობა ამ სფეროში მუდმივად იზრდება. მივუთითოთ ვ.კ. ტამუჟისა და მის მოწაფეების ნამუშევრები, კერძოდ, წიგნი [84] და რღვევის მექანიკაში ორი სიმპოზიუმის ნამუშევრი [105,99]. პრინციპიალურს წარმოადგენს ვ.დ. პროტასოვისა და ვ.კ. ტამუჟის [80] ხელმძღვანელობით განხორციელებული კომპოზიტური კონსტრუქციების ტიპური ელემენტების, რღვევის აღწერის სტრუქტურული მიდგომა. მიღწეულია პროგრესი კომპოზიტების რღვევის პროცესის მოდელირებაში [93].

ცენტრალურ მომენტს ბოჭკოვანი კომპოზიტების მექანიკაში, როგორც არაერთხელ გაამახვილა ყურადღება იუ.ნ. რაბოტნოვმა, რომელიც წარმოადგენს მასალის სტრუქტურის არსებით გათვალისწინებას მარმირებულ ელემენტების დონეზე – გარემოება, რომელიც არ არის დამახასიათებელი მყარი სხეულის კლასიკურ მექანიკისთვის. მარმირებელი ელემენტების დონეზე იქმნება მასალათა მექანიკური თვისებები; ბოჭკოების დალაგების მართვით, შესაძლებელია გარკვეულ ფარგლებში ვმართოთ მასალათა გამძლეობის ველები, "მოვარგეოთ" ისინი მოქმედ ძალებზე. უფრო მეტიც, ამ გზით იქმნება თვით მასალის ოპტიმალური დაგეგმარების პრინციპების შემუშავების შესაძლებლობები. სწორედ კომპოზიტებმა მოახდინეს მყარი სხეულის მექანიკის ამ განშტოების მატერიალიზება, რომელიც ბოლო პერიოდში ინტენსიურად ვითარდება. საკმარისია აღვნიშნოთ, ვ.ვ. ვასილევისა და ი.ფ. ობრაზცოვის [92], ვ.დ.

პროტასოვისა [98] გ.ა. ტეტერსისა და რ.ბ. რიკარდის [112], ს.ბ. ჩერევაკის [115] შრომებში; დაწვრილებითი ბიბლიოგრაფია მოცემულია კრებულში [52]. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ კომპოზიტების – მიმდინარე და სამომავლო – ფიზიკური თვისებების და ფორმირების ტექნოლოგიური პროცესების თეორიული საფუძვლების საწყისები, ასევე მდებარეობს მარმირებელი სტრუქტურული ელემენტების დონეზე. ამავე დონეზე გამოვლინდება რღვევის მრავალრიცხოვანი თავისებურებები (როგორცაა განშრევა, ბოჭკოების დანაწევრება და სხვ.), კომპოზიტების თვისებების სპეციფიკური თავისებურებები, როგორცაა ბლანტდრეკადობა პოლიმერული და პლასტიკურობა ლითონის მატრიებისათვის. სტრუქტურულ დონეზე განხორციელებულ ფიზიკურ-მექანიკური მოვლენების წარმოდგენებზეა დაფუძნებული კომპოზიტებისაგან კონსტრუქციების რესურსისა და საიმედოობის პროგნოზირება [74].

კომპოზიტური მასალების მეცნიერებაში დაისახა ახალი ტენდენციები, დაკავშირებული მრავალფუნქციური დანიშნულების კონსტრუქციების შექმნის სურვილთან. აქედან გამომდინარე, ჩატარებულია კვლევები კომპოზიტების მიკრომექანიკის დარგში, რომლებიც შეისწავლიან შიდა ველებს გარემოში დისკრეტული სტრუქტურით (ნაკლოვანებების გათვალისწინებით), ექსპლუატაციის პროცესში მასალების ეფექტური თვისებების ცვლილება, კავშირი მარმირებელი ელემენტების დონეზე სტრუქტურისა და ურთიერთობის თბოფიზიკური, ელექტროტექნიკური, მაგნიტური და სხვა თვისებებს შორის. გ.ა. ვანინის მიერ განზოგადებულია ამ მიმართულებით სამუშაოთა დიდი ციკლი [76].

მონოფენისა და სისქით ერთგვაროვანი ფენებისაგან $[0^\circ]$, $[0,90^\circ]$, $[\pm 0]$ შედგენილი მასალების აღწერისას, არაერთგვაროვნების განხილვიდან გამორიცხვა, ხორციელდებოდა ბოჭკოვანი კომპოზიტების დაყვანით ანიზოტროპულ გარემომდე; ეფექტური დეფორმირებადი მახასიათებლების განსაზღვრამ შეადგინა არმირებული გარემოთა თეორია ვ.ვ. ბოლოტინის და იუ.ნ. ნოვიჩკოვის [73] გ.ა. ვანინის [75], რ.მ. კრისტენსენის [82] ცნობილი მონოგრაფიები, ვ.ლ. ბიდერმანის ნაშრომებში, მაგალითად [69]). ამ მეთოდს აქვს ანალოგი: წიბოვანი ფირფიტების და გარსების განხილვისას მიღებულია სტრინგერების და შპანგოუტები

საანგარიშო სქემების დაყვანით კონსტრუქციულად ანიზოტროპულ გარემოში [114]. კომპოზიტების პრინციპიალურს წარმოადგენს სტრუქტურულ დონეზე დაბრუნების შესაძლებლობა და აუცილებლობა, მაგალითად, სიმტკიცის ამოცანებში [88].

ენერგეტიკული პრინციპის შემოღება - გადამწყვეტი წვლილი შეიტანეს ვ.ვ. ბოლოტინის და მისი სკოლის ნაშრომებმა [73] (იქვე დაწვრილებითი ბიბლიოგრაფია) - ააღორძინა ინტერესი კარგად დამუშავებულ ანიზოტროპული სხეულის დრეკადობის თეორიასთან. ამ მიმართულებით ნაწარმოების უმრავლესობა შეიცავს მითითებებს ს.გ. ლეხნიცკის წიგნებზე [85], რომელმაც ვ.ვ. ბოლოტინის შენიშვნის მიხედვით გაასწრო თავის დროს.

გაანგარიშების მეთოდების დამუშავებას, წინ უძღოდა თანამედროვე ტიპის კომპოზიტების კონსტრუქციული თვისებების შესწავლა. მიღებული იქნა საიმედო რიცხვითი მონაცემები; ყველაზე სრულყოფილი მოცემულია გ.მ. გუნიანის წიგნში [69]. ამ მონაცემებმა მოგვცა საშუალება, შევაფასოთ არა მხოლოდ თვისებები არმირების მიმართულებით, არამედ აგრეთვე ძვრისა და განივი წინაღობა. აღმოჩნდა, რომ ბოჭკოვანი კომპოზიტების უმრავლესობას, ახასიათებს დრეკადი და სიმტკიცითი თვისებების მნიშვნელოვანი ანიზოტროპია და არმატურის გასწვრივ გაჭიმვისას რეკორდულ თვისებებთა ერთად, ცუდად ეწინააღმდეგება ფენათაშორის ძვრას და განივი წინაღობის.

არაერთგვაროვანი კომპოზიტის ჩანაცვლება ეფექტური ერთგვაროვანი ანიზოტროპული სხეულით, წარმატებულად გამოიყენება სიხისტის, მდგრადობის, კოჭების, ფირფიტების და გარსების რხევების ამოცანების გადასაწყვეტად. დამახასიათებელი მომენტია - კირხჰოფ - ლიავის ტიპის ტრადიციული კინემატიკური ჰიპოთეზებზე უარის თქმა და დაზუსტებული ამონახსნების ძიება, რომლებიც შეიძლება "გრძნობდნენ" კომპოზიტების ცუდ წინაღობას ძვრაზე და განივ ძალაზე. ამ სფეროში განმსაზღვრელია ს.ა. ამბარცუმიანის ნამუშევრები; განსაკუთრებით გამოვყოთ წიგნი [67] და მიმოხილვა [66]. ძირითადი ყურადღება გამახვილდა ბოჭკოვანი კომპოზიტების ძვრაზე წინაღობის შესწავლას,

განსაკუთრებით კი სიბრტყეებში, სადაც იგი ძირითადად განისაზღვრება მატრიცის მიერ (ე.წ. ფენათაშორისი ძვრა). ლაპარაკია კომპოზიტების ძვრაზე წინააღმდეგობის შესწავლაზე, აღრიცხვაზე და მართვაზე. ძვრების აღრიცხვამ გამოიწვია ღეროების [111], ფირფიტების [97, 67], და გარსების [76, 66] გაანგარიშების დაზუსტებული მეთოდების შემუშავება, რომლებიც ითვალისწინებს ბოჭკოვანი კომპოზიტების ამ თავისებურებას, და ძვრაზე და განივ ცუდი წინააღმდეგობის აღმოფხვრის გზების ძიებას. პერსპექტივებია – და ეს არის ერთ-ერთი მთავარი გზა – სივრცული არმირების სქემებზე გადასვლა [116]. შემუშავებულია და დაყვანილია პრაქტიკულ რეალიზაციამდე, ფენოვანი კონსტრუქციების რიცხვითი ანალიზის მეთოდები კომპოზიტების სპეციფიკური თვისებების გათვალისწინებით; გამოვეყნოთ ნ.ა. ალფუტოვის და მისი მოწაფეების წიგნი [116]. პროგრესი მიღწეულია კომპოზიტური კონსტრუქციების თხელკედლიანი ელემენტების გაანგარიშებაში. უკნასკნელ წლებში, ა.ე. ბოგდანოვიჩის მიერ [70] დაიხვეწა ორთოტროპული თხელკედლიანი გარსების დაზუსტებული თეორია, რომელიც ითვალისწინებს გეომეტრიული არაწრფივობას, განივი ძვრების დეფორმაციებს, ფორმის საწყის არასრულყოფილებას. შემუშავებულია არასტაციონარული დეფორმირების და ბოჭკოვანი კომპოზიტებისაგან ცილინდრული გარსების ფენობრივი რღვევის გაანგარიშების მეთოდი, ვიბრაციულ და იმპულსური მკუმშავი ძაბვების დროს.

წარმატებები კომპოზიტების მექანიკის განვითარებაში, იძლევა საშუალებას შეიქმნას განზოგადებული ნაშრომები კომპოზიტებისაგან კონსტრუქციების გაანგარიშების მეთოდებზე. განსაკუთრებით გამოვეყნოთ ვ.ვ. ვასილევის წიგნი [77], რომელშიც ორგანულად არის შერწყმული, თანამედროვე ბოჭკოვანი კომპოზიტების კონსტრუქციული თვისებების თავისებურებების გათვალისწინება და საწყისი განტოლებების საინჟინრო სიზუსტე, რაც გვაძლევს საშუალებას პრაქტიკაში მოვახდინოთ კომპოზიტების მაღალი პოტენციური შესაძლებლობების რეალიზება.

ცალკეული მიმართულებად ჩამოყალიბდა ნამუშევრები, სქელკედლიანი კონსტრუქციების გასაანგარიშებლად მონოლითურობაზე და ენერგოტეკვალობაზე.

ცუდი წინაღობა განივი ძალისა, დიდწილად განსაზღვრავს კომპოზიტებისაგან სქელკედლიანი დახვეული ნაკეთობების მონოლითურობას. ნათქვამმა მოითხოვა, რადიალური ძაბვების განსაზღვრის დაზუსტებული მეთოდები და ტექნოლოგიური და კონსტრუქციული მეთოდების შემუშავება, რომლებიც აღმოფხვრიან განშრევების საშიშროებას; ამ მიმართულებით ნამუშევრების მიმოხილვა მოცემულია ვ.ვ. ბოლოტინის [72] მოხსენებაში, [55] განზოგადებულ ლატვიის სსრ მეცნიერებათა აკადემიის პოლიმერების მექანიკის ინსტიტუტის ნამუშევრებში, ვ.ტ. ტომაშევსკის ნაშრომებში, კერძოდ მოხსენებაში მექანიკოსების V ყრილობაზე ალმა-ატაში [113], ვ.ლ. ბლაგონადეჟინის და თანამშრომლების ნამუშევარში [71].

კომპოზიტები აღმოჩნდნენ პერსპექტიული მასალები ენერჯის ინერციული დამგროვებლების – მქნევარებისათვის, რომელიც იძლევიან საშუალებას დავაგროვოთ დიდი რაოდენობით ენერჯია მასის ერთეულზე. ენერგოტევადობით დაგეგმარება, დიზაინი, არ ჯდება მანქანათა ნაწილების გაანგარიშების ტრადიციულ მეთოდების ჩარჩოებში. აღნიშნულმა მოითხოვა, კომპოზიტებისაგან სხვადასხვა სახის ენერგოტევადი ელემენტები ანალიზის [95] გარდა მიდგომების ძიება, რომლებიც იძლევიან საშუალებას გამოვავლინოთ მბრუნავი დეფორმირებადი სხეულებით კინეტიკური ენერჯის დაგროვების საერთო კანონზომიერებები (გ.გ. პორტნოვი [96]).

თანამედროვე კომპოზიტების სპეციფიკური თვისებები – არაერთგვაროვნება, ანიზოტროპია, არადრეკადობა – მოითხოვენ უფრო სპეციალიზებული ხასიათის თეორიების აგების გზების ძიებას, ვიდრე დრეკადობის თეორია და ანიზოტროპული სხეულის რეოლოგია, რომლებიც ითვალისწინებენ რეალურ სტრუქტურას. ამ ამოცანის წინაშე მდგარი სირთულეები აშკარაა. ამიტომ აღნიშნული ამოცანისათვის აუცილებელია საინჟინრო მიდგომა. მოდელები სიღრმე უნდა შეესაბამებოდეს კომპონენტების თვისებებზე ინფორმაციის სიზუსტეს, მათ შეფუთვის და მასალასთან ურთიერთქმედებას. ამასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს ა.მ. სკუდრეს და ფ.ი

ბულავის მიერ შესრულებული ნამუშევრები [106] არმირებული პლასტიკების სტრუქტურულ თეორიაში.

რიგი ამოცანებისათვის, როდესაც მარმირებელი ბოჭკოების და ძირითადი ძაბვების ტრაექტორია არ ემთხვევა ერთმანეთს, არსებითია მასალის ბლანტდრეკადობის გათვალისწინება. დიდი როლი შეასრულეს იუ.ნ. რაბოტნოვის ნამუშევრებმა მემკვიდრეობითი სხეულების მექანიკის სფეროში, რაც შეჯამებულია მონოგრაფიაში [102]. საქმე იმაშია, რომ პოლიმერული მატრიცა კომპოზიტებს ხდის ძალიან მგრძნობიარეს ნიმუშის ძალურ და ტემპერატურულ ისტორიასთან - დამზადების ტექნოლოგიასთან და შემდგომი ექსპლუატაციის რეჟიმთან. კომპოზიტების ტექნოლოგიური უპირატესობა რიგ შემთხვევებში, განსაკუთრებისას, გაუმართლებლად იყო გაფართოებული. ტექნოლოგიების შესაძლებლობები დიდია, მაგრამ არა შეუზღუდავია. ტექნოლოგიური შეზღუდვები ბევრად უფრო დიდ როლს თამაშობენ კონსტრუქციის დაგეგმარებისას კომპოზიტებისგან, ვიდრე ლითონებისგან. განსაკუთრებით მგრძნობიარეა ფორმირების პარამეტრებთან მატრიცით განსაზღვრული მახასიათებლები, როგორცაა ფენათაშორისი ძვრის და განივი წინაღობა. აქედან გამომდინარე, ინტერესი პრობლემისათვის "ტექნოლოგია - სიმტკიცე" [97, 110], "მზარდი" სხეულის თეორიის შექმნისათვის, დახვევის მექანიკისა და შემდგომი გამყარებისათვის, და აგრეთვე არმატურის ოპტიმალური დალაგების კანონების, ფორმირების და გამყარების რეჟიმების ძიებისათვის; ამ მიმართულების ნამუშევრები დაწვრილებით განიხილება [72, 55]. არასაკმარისად არის შესწავლილი ნახევრადფაბრიკატების მზა ნაკეთობად გარდაქმნის პროცესი და სქელკედლიანი ნაკეთობების გამყარებისას, განშრეების საშიშროების აღმოფხვრა [103].

არმირებული პლასტიკების ცოცვადობა, ძირითადად განპირობებულია პოლიმერული შემკვრელის ცოცვადობით. ბოჭკოების, ბოჭკოები, გარდა ორგანულისა, პირველ მიახლოებაში შესაძლებელია განიხილებოდეს როგორც მყიფე. 1948 წელს შემოთავაზებულმა სინგულარული ცოცვადობის ბირთვმა ფუნქციების სახით ჰპოვა ფართო გამოიყენება მყარი დეფორმირებადი სხეულის

მექანიკაში და საერთო აზრით წარმოადგენს ყველაზე უნივერსალურ ბირთვს-ვოლტერას წრფივ მემკვიდრეობით თეორიაში. ეს მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ბირთვების ფართო შესაძლებლობები, რომლებიც უზრუნველყოფენ კონსტრუქციული მასალების რეოლოგიური თვისებების საჭირო სიზუსტეს და ავტორისა და მისი თანამშრომლების მიერ გულმოდგინეთ დამუშავებული შესაბამისი ოპერატორების აღგებრა.

უკანასკნელ ხანს დიდი ყურადღება ექცევა რღვევის მექანიკის პრობლემას, მათ შორის კომპოზიტების რღვევის სპეციფიკურ სახეობებს, როგორცაა მატრიცაში ბოჭკოების დაბზარვა, და ა.შ., სხვადასხვა მექანიზმების გაგებას და რღვევის პრობემების ჩამოყალიბებას. საკმარისია აღინიშნოს იუ.ნ. რაბოტნოვისა და ა.ნ. პოლილოვის რიგი ნამუშევრები, რომელთა განზოგადება მოცემულია [102], და იუ.ვ. სუვოროვას შრომები [108] კომპოზიტების დეფორმირებასა და რღვევის არაწრფივ მოდელებში. იუ.ნ. რაბოტნოვის რედაქტირებით გამოშვებულმა ენციკლოპედიური გამოცემის "რღვევა" 7 ტომის თარგმანმა [112] შეასრულა მნიშვნელოვანი როლი სპეციალისტების გაცნობაში საზღვარგარეთ კომპოზიტების რღვევის მექანიკაში მიღწეულ წარმატებებთან.

იუ.ნ. რაბოტნოვმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა მყიფე მასალების ხანგრძლივი სიმტკიცის თეორიის განვითარებაში [104]. შემოთავაზებულია რღვევის მოდელი, რომლის შესაბამისად მყიფე მასალაში ხანგრძლივად მოქმედი დატვირთვისას წარმოიქმნება ბზარები, რომლებიც იზრდება დროთა განმავლობაში და გარკვეულ მომენტში წარმოიქმნება მაგისტრალური ბზარი და ხდება რღვევა. ბზარების ზრდის პროცესის შესაფასებლად E მიღებულია დაზიანებადობის პარამეტრი. აღნიშნული იდეები აღმოჩნდნენ ნაყოფიერები არმირებული პლასტიკების ცოცვადობის სტრუქტურული თეორიის განვითარებისათვის. განსახილველი პროცესების აღწერისათვის ა.მ. სკუდრამ და მისმა თანამშრომლებმა [107, 59] გამოიყენეს იუ.ნ. რაბოტნოვის მიერ შემოღებული ინტეგრალური ბირთვები და დაზიანებადობის ფუნქცია.

კომპოზიტების დეფორმირების და რღვევის მოდელები ძირითადად ეყრდნობიან საწყის ინფორმაციას, რომელიც მიღებულია მონოფენის ან მთლიანად პაკეტის მექანიკური გამოცდებიდან. აქედან გამომდინარეობენ გაზრდილი მოთხოვნები ამ ინფორმაციის სიზუსტისა და უტყუარობის მიმართ. კომპოზიტების მექანიკური თვისებები, განსხვავებით ლითონებისგან, ხასიათდება ექსპერიმენტული მუდმივების მეტი რაოდენობით. მათი განსაზღვრა დაკავშირებულია არსებით მეთოდურ სირთულეებთან. პრაქტიკაში გამოიყენება ნიმუშების დამზადების, ექსპერიმენტების მეთოდიკის მრავალი ფორმა, ზომები და ტექნოლოგიები. ეს იწვევს შედეგების შეუდარებლობას და ქმნის კომპოზიტების კონსტრუქციული შესაძლებლობების შესახებ წინააღმდეგობრივ გარემოს. მექანიკური გამოცდების პრობლემისადმი რეალისტური მიდგომა მოითხოვს კომპოზიტების სიმტკიცისა და სიხისტის განმსაზღვრელი მახასიათებლებისა და განსაზღვრის მეთოდების ზუსტ რეგლამენტაციას, აძლიერებს არსებული მეთოდების კრიტიკული ანალიზის, მათი შეფასებისა და განზოგადების აუცილებლობას. წიგნში [109] გაკეთებულია მცდელობა შეირჩეს და შეფასდეს მსოფლიო გამოცდილების გათვალისწინებით (პირველ რიგში ამერიკის შეერთებული შტატების), თანამედროვე ბოჭკოვანი კომპოზიტების ბრტყელ და რგოლისებურ ნიმუშების გაჭიმვაზე, კუმშვაზე, ძვრაზე და ღუნვაზე გამოცდების ყველაზე პერსპექტიული მეთოდები, რომელიც გამოვიდა სამი გამოცემით და ითარგმნა ამერიკის შეერთებულ შტატებში. გამოცდების მეთოდების შერჩევა და მათი გამოყენება, სფეროების დასაბუთება სხვადასხვა კლასის კომპოზიტებისათვის ეყრდნობა მდიდარ ფაქტობრივ მასალას.

კონსტრუქციული მასალების პრობლემა გლობალური პრობლემაა; მისდამი ინტერესი გამოვლენილია ბევრ ქვეყანაში. იუ.ნ. რაბოტნოვის ბოლო პროექტს კომპოზიტების საინჟინრო მექანიკის სფეროში, იყო კომპოზიტების საერთაშორისო ცნობარის ოთხტომეულის გამოცემა.

ს. ტ. მილეიკოსთან ერთად, მან მიიზიდა ამ ურთულესი იდეის განხორციელებისათვის ლონდონის სამეფო საზოგადოების წევრი ა. კელი და რიგი წამყვანი უცხოელი სპეციალისტები, კომპოზიტების მექანიკის და ტექნოლოგიის

დარგებში. სიცოცხლის განმავლობაში იუ.ნ. რაბოტნოვის სიცოცხლეშივე გამოვიდა ორი ტომი: ტომი 4 მიძღვნილი კომპოზიტების ტექნოლოგიებს და ტომი 3- მიძღვნილი კომპოზიტების რღვევისადმი. 1986 წელს მკითხველმა მიიღო ტომი 1- მაღალი სიმტკიცის ბოჭკოებისათვის. ბოლოს 1988 წელს გამოვიდა ტომი 2 - კომპოზიტებისაგან კონსტრუქციების გაანგარიშების მეთოდებზე. მოკლედ დავახასიათოდ ეს ტომები.

ტომი 1. კომპოზიტების მაღალი კუთრი სიმტკიცე და სიხისტე განპირობებულია მაარმირებელი ბოჭკოებისაგან, რომლებიც ქმნიან მასალის მზიდ კარკასს. ამომწურავ ინფორმაციას კომპოზიტებში გამოყენებული თანამედროვე მაღალი სიმტკიცის, მაღალმოდულურ ბოჭკოების ყველა ტიპზე შეიცავს პირველი ტომი, რომელშიც მოთავსებული 28 სტატია დაჯგუფებულია სამ ნაწილად ბოჭკოების არაორგანულად, ნახშირბადად და ორგანულად ტრადიციული კლასიფიკაციის მიხედვით. ტომის პირველ ნაწილში, სადაც შეკრებილია სტატიები ყველა სახის არაორგანულ ბოჭკოებზე, ყურადღებას იპყრობს სილიკონის კარბიდის ბოჭკოების და მათი სამრეწველო წარმოების ტექნოლოგიის ერთ-ერთი შემქმნელის მიმოხილვითი სტატია. შეიმღება ითქვას, რომ ამ ბოჭკოს უნიკალური თვისებების გამო, უახლოეს წლებში ისინი დაიკავებენ ერთ-ერთ წამყვან ადგილს ბოჭკოვანი კომპოზიტების ტექნოლოგიაში, რაც გამოიწვევს ხარისხობრივ ცვლილებებს თანამედროვე ტექნიკის ბევრ დარგში.

ტომის მეორე და მესამე ნაწილი შეიცავს სტატიებს, რომლებიც მიძღვნილია ნახშირბადოვანი და ორგანული ბოჭკოების მიღების ტექნოლოგია და გამოყენების სხვადასხვა ასპექტებს და წარმოადგენს ინტერესს შესაბამისი ბოჭკოების ცალკეული სახეობების მიღების მეთოდების, სტრუქტურისა და თვისებებთან დაკავშირებული საკითხების სპეციალიზაციის გამო. შემდგომ მოდის ტომის 1 სრული სარჩევი.

ტომი 2. თანამედროვე ბოჭკოვანი კომპოზიტებისაგან დამზადებულ რთული კონსტრუქციების მაღალი ღირებულება და ხშირად უნიკალურობა, ასევე მზიდუნარიანობის დაკარგვის სახეობების და ფორმების მრავალფეროვნება, რაც

განპირობებულია მასალების ტიპების და არმირება სქემების მრავალფეროვნობით, განსაკუთრებით აქტუალურს ქმნის დაგეგმარების ადეკვატური მეთოდების შექმნის პრობლემას, რაც იძლევა საშუალებას შემცირდეს ნატურული ექსპერიმენტების რაოდენობა.

ეს ტომი უკვე მზადდებოდა დასაბეჭდად ერთდროულად მასში შეტანილი უცხოური ავტორების სტატიების თარგმანთან, როდესაც დარჩენილი ტომები დიდი ხნის წინ იყო დაბეჭდილი. ეს ნაწილობრივ განპირობებული იყო იმით, რომ მასში შესული სტატიები დაკავშირებულია კომპოზიტების გამოყენებითი მექანიკის დაგეგმარების მიმდინარე პრაქტიკისათვის ძალზე აქტუალურ საკითხებს. ტომი დაყოფილია ორ ნაწილად, რომელთაგან ერთი, რომელიც ეძღვნება ფენოვან კომპოზიტების თავისებურებებთან დაკავშირებულ ეფექტების ანალიზს, მათი ზეგავლენის შეფასებას კომპოზიტებისაგან დამზადებულ კონსტრუქციების მზიდუნარიანობაზე და მეორე ნაწილი - ტიპური კონსტრუქციების გაანგარიშებას და დაგეგმარებას. შემდგომ მოდის ტომი 2-ის სრული სარჩევი.

ტომი 3. რღვევის პროცესში შესაძლო სიტუაციებს მრავალფეროვნება გულისხმობს, კომპოზიტების რღვევის მექანიზმების ყოველმხრივ მიდგომას. ეს ტომი მოიცავს, ფართო სპექტრს კომპოზიტებისაგან დამზადებული კონსტრუქციების მზიდუნარიანობის შეფასებასთან და რღვევის პროგნოზირების პრობლემასთან საკითხების ფართო სპექტრს. არმირებული პლასტიკების რღვევის მიკრომექანიკასთან, კომპოზიტების დეფექტების სხვადასხვა ორიენტაციით დინამიკასთან, კომპოზიტის კომპონენტებში ფაზათაშორისი და ფაზათაშიგნითი ბზარებით დამაბული მდგომარეობასთან დაკავშირებულ სტატიები, იძლევიან ბოჭკოვანი კომპოზიტების რღვევის მექანიკის თანამედროვე მდგომარეობის საკმაოდ სრულ და ობიექტურ წარმოდგენას. დანარჩენი სტატიები, ეძღვნება კომპოზიტების თვისებების ექსპერიმენტული შეფასების და მათი აღწერის ფენომენოლოგიური კრიტერიუმების საშუალებით აქტუალურ საკითხებს. თუმცა ტომის რვა სტატია არ არის და სრულად ვერ ამოწურავს პრობლემის

მრავალფეროვნებას, ისინი აუცილებლად იპოვიან მათ დაინტერესებულ მკითხველს. შემდგომ მოდის ტომი 3-ის სრული სარჩევი.

ტომი 4. როდესაც საქმე ეხება კომპოზიტურ მასალას, ყოველთვის იგულისმევა კონკრეტულ ნაწარმი და მისი საწყისი მასალებიდან - მარმირებელი ბოჭკოებისა და შემკვრელისაგან მიღების ხერხი. ამგვარად, გადამუშავების ტექნოლოგია, რომლის პროცესში ყალიბდება თანამედროვე კომპოზიტის თვისებების მთელი კომპლექსი, წარმოადგენს კომპოზიციის მექანიკის სისტემის შემადგენელ რგოლს. მასალათა ტექნოლოგიების საკითხები ყოველთვის აქტუალურია და თანამედროვე ტექნოლოგიების უმნიშვნელოვანესი სფეროების განვითარებაში საკვანძო ადგილი უკავიათ. ბოლო, მეოთხე ტომი წარმოადგენს მთელი გამოცემის ლოგიკური დასასრულს. მასში შეტანილი სტატიები ტექნოლოგიური ნაშრომების გამოქვეყნების სპეციფიკური ხასიათის გამო, ატარებენ ან შემეცნებით ხასიათს ან განაზოგადებენ უკვე დასრულებული და გამოქვეყნებული შრომების შედეგებს, ფართოდ გამოყენებულ მასალებზე. სტატიების უდიდესი მნიშვნელობა პირველ რიგში მდგომარეობს იმაში, რომ იძლევიან საშუალებას გამოიყოს ძირითადი თეორიული და ექსპერიმენტული პრობლემები, დაკავშირებული თანამედროვე კომპოზიტორთა ტექნოლოგიასთან და შემდგომი განვითარების პერსპექტივებთან.

წარმოდგენილი მიმოხილვისა და ტომის შინაარსიდან ჩანს, რომ ყველა ავტორს, რომლებიც მონაწილეობდნენ მრავალტომეულის შედგენაში, კარგად იცნობენ ჩვენს ქვეყანაში და საზღვარგარეთ, თარგმნიან, აქვთ მსხვილი შრომები. ჩამოთვლილი შრომებიდან, ბევრი ფართოდ არის მოხსენიებული სხვადასხვა პუბლიკაციებში. ეს ყველაფერი მიუთითებს მეცნიერების ფუნდამენტურ წვლილს კომპოზიტების მექანიკაში. კომპოზიტების ფართო სამრეწველო გამოყენება საჭიროებს ცოდნას, გაგებას და უნარს.

1.2. ფენოვანი კომპოზიტების გამყარების რეჟიმის გავლენა ფირფიტების სიმრუდეზე

ცხელი გამყარების შემკვრელის საფუძველზე, ფენოვანი კომპოზიტებისაგან დამზადებული ფირფიტები, ჩვეულებრივ მზადდება ცხელი დაწნევის მეთოდით ან ავტოკლავში. ორივე შემთხვევაში, ფირფიტა იქმნება წინასწარ გაჟღენთილი მასალის შრეობრივად დალაგებით ბალიშად წოდებულ ბრტყელ ფოლადის ფირფიტაზე. დალაგების პროცესში გამოიყენება დამხმარე ფენები (გამყოფი ფენა; ჭარბი შემკვრელის შთამნთქმელი ფენები და სხვ.), რომლებიც არანაირ ინტერესს არ წარმოადგენენ ამ თვალსაზრისით განხილვაში. ფენის წინასწარ განსაზღვრული რაოდენობის დალაგების შემდეგ, პაკეტს დაედება მეორე ფოლადის ფირფიტა და ხშირად ევაკუუმირდება. მომდევნო ეტაპზე აწყობილი პაკეტი განიცდის გამყარებას მაღალი ტემპერატურისა და წნევის ზემოქმედებით. გამყარების რეჟიმი, განისაზღვრება გამოყენებული შემკვრელების ნაირსახეობის მიერ.

საჭირო დროის გასვლის შემდეგ, შემკვრელის მთლიანად გამყარდება და ტემპერატურა ნელა ამცირებენ ოთახის ტემპერატურამდე. მოდებული წნევის მოხსნის შემდეგ ფენოვანი კომპოზიტი მზად არის პრესისა და ავტოკლავიდან გამოსაღებად. სიმეტრიული ფენოვანი კომპოზიტის შემთხვევაში, გაცივებული ფირფიტა, ფოლადის ფირფიტების მოცილების შემდეგ, ბრტყელია. თერმული გაფართოების განსხვავებული კოეფიციენტების და სხვადასხვა ფენების დრეკადი თვისებები გამო, კომპოზიტში გაციების შემდეგ შეიძლება განვითარდეს მნიშვნელოვანი ნარჩენი ძაბვები, რომელთა მაღალმა დონემ შეიძლება გამოიწვიოს მასალის დაზარვა. სიმეტრიული ფენოვანი კომპოზიტში, ბზარები პრაქტიკულად წარმოადგენს ერთადერთ ნიშანს, რომელიც ცხადყოფს ნარჩენი ძაბვების არსებობაზე. თუ ფენოვანი კომპოზიტი არასიმეტრიულია, ფოლადის ფილების მოცილება გაციების შემდეგ იწვევს საგრძნობ ნარჩენი მოვლენების, კერძოდ, გამყარებული ფირფიტის გამრუდებას. ფენის დალაგების თანმიმდევრობიდან გამომდინარე, შესაძლებელია სიბრტყეზე მნიშვნელოვანი დეფორმაციების წარმოქმნა, რომლების მრავალჯერ აღემატებიან ფირფიტის სისქეს.

მიუხედავად არასიმეტრიული ფენოვანი კომპოზიტების შესაძლო დალაგების მრავალსახეობისა, ექსპერიმენტებში დაფიქსირდა მხოლოდ ფირფიტის უნაგირა და ცილინდრული კონფიგურაციები, რომლებიც შეესაბამებიან სიბრტყიდან დეფორმირებას. ეს გარემოება განხილულია ნაშრომში [88], რომელშიც განხილულია ორი სახის ფირფიტები: სხვადასხვა სისქის ფენების ორთოგონალური დაწყობით $(0_4/90_4)_T$, $(0_{10}/90_{10})_T$ და ირიბკუთხა დაწყობით $(0/60/90_4)_T$ და $(+45_2/-45_2)_T$. მიმართულებები უნაგირა ზედაპირის ან ცილინდრის ძირითადი სიმრუდის ხაზების გასწვრივ შეიძლება არ ემთხვეოდეს ფენოვანი ფირფიტის მხარეების მიმართულებებს.

მოყვანილი მაგალითებიდან გამომდინარეობს, რომ არასიმეტრიული დალაგების ფენოვანი კომპოზიტების ფირფიტების ზომები წარმოადგენენ მნიშვნელოვან მახასიათებლებს, რომლებიც განსაზღვრავენ ფირფიტების კონფიგურაციას, მათი გაგრილებისას გამყარების ტემპერატურიდან ოთახის ტემპერატურამდე.

არასიმეტრიული კომპოზიტებისაგან ფირფიტების კიდევ ერთი დამახასიათებელი თვისება უკავშირდება ცილინდრულ კონფიგურაციას. ზოგიერთი ფირფიტა შესაძლებელია იძულებით გადაყვანილ იქნას, ერთი ცილინდრული კონფიგურაციიდან მეორეში. ამავე დროს, არსებობენ ფირფიტები, რომლებიც იღებენ მხოლოდ ერთადერთ შესაძლო ცილინდრულ კონფიგურაციას. მეორეს მხრივ, უნაგირა კონფიგურაცია ყოველთვის ერთადერთია. შემდგომ იქნება ნაჩვენები, როგორ არის შესაძლებელი დადგინდეს, წარმოადგენს კონფიგურაცია ცილინდრულს ან უნაგირას, ხოლო ცილინდრულის შემთხვევაში დადგინდეს, წარმოადგენს თუ არა ის ერთადერთ შესაძლოს მოცემული ფირფიტისათვის არასიმეტრიული დალაგებით. გარდა ამისა, შესაძლოა ვაჩვენოთ, რომ ოთახის ტემპერატურაზე ცილინდრული ფორმის მქონე ფირფიტას შეუძლია გამყარების ტემპერატურაზე მიიღოს უნაგირა კონფიგურაცია.

მოყვანილი მაგალითებიდან გამომდინარეობს, რომ რიგი მახასიათებლებისა, რომლების დამახასიათებელია მხოლოდ არასიმეტრიული

ფენოვანი კომპოზიტებისათვის, შეუძლებელია ვიწინასწარმეტყველოთ მეთოდის მეშვეობით, რომელსაც ჩვეულებრივ უწოდებენ ფენოვანი ფირფიტების კლასიკურ თეორიას და რომელიც გადმოცემულია ცნობილ მონოგრაფიებში, მაგალითად [31, 17, 41]. არასიმეტრიული ფენოვანი კომპოზიტების ქცევის ახსნის გასაღებს წარმოადგენს ის ფაქტი, რომ გადაადგილებები სიბრტყიდან, რომლების განსაზღვრავენ ფირფიტების კონფიგურაციას, მრავალჯერ აღემატება მათ სისქეს. ნებისმიერი თეორიას, რომელიც არ ითვალისწინებს დიდი ჩაღუნვებით გამოწვეულ გეომეტრიული არაწრფივობას, მიყვევართ ამგვარ ამოცანებში მცდარ შედეგებამდე. შემდეგ ქვეთავში განვითარებულია თეორია, რომელიც ითვლის გეომეტრიული არაწრფივობის ზეგავლენას და განმარტავს არასიმეტრიული კომპოზიტებისაგან დამზადებული ფირფიტების უჩვეულო ქცევას.


1.3 თეორიების მიმოხილვა

შესასწავლი პრობლემა სქემატურად წარმოდგენილია ნახ. 1.1-ზე. ფენოვანი ფირფიტა, ბრტყელი და არადეფორმირებული გამყარების გაზრდილ ტემპერატურაზე, წარმოდგენილია ნახ. 1.1 (ა)-ზე მიღებულ კოორდინატთა სისტემასთან x_1, x_2, x_3 ერთად. კოორდინატთა სისტემის სათავე მდებარეობს არადეფორმირებული ფენოვანი ფირფიტის გეომეტრიულ ცენტრში. როგორც აღინიშნა შესავალში, ამ თავშის შეისწავლება მხოლოდ ორთოგონალურად არმირებული ფენოვანი კომპოზიტები. ეს ნიშნავს, რომ ფირფიტის ფენებში ბოჭკოების მიმართულება ემთხვევა x_1 ღერძის ან x_2 ღერძის მიმართულებას. ფირფიტის ჩამოთვლილი კონფიგურაციები ოთახის ტემპერატურაზე ნაჩვენებია ნახ. 1.1 (ბ) - (დ)-ზე; უნაგირა ზედაპირი – ნახ. 1.1. (ბ) და ცილინდრული – ნახ. 1.1 (გ) და (დ). შეიძლება წარმოვიდგინოთ, რომ ზოგიერთი ფენოვანი ფირფიტებისთვის ცილინდრული კონფიგურაციები ერთმანეთში გადადიან მექანიზმის მეშვეობით, თუმცა არსებობენ ერთადერთი შესაძლო კონფიგურაციის მქონე ფირფიტები. რადგან განხილული ფენოვანი კომპოზიტები ორთოგონალურად არიან არმირებულნი, უნაგირა ზედაპირების და ცილინდრების ძირითადი სიმრუდის ხაზები მიმართულია შერჩეული

კოორდინატა სისტემა ღერძების გასწვრივ. ფენოვანი კომპოზიტები, ორთოგონალურად არმირებულნი კოორდინატა სისტემაში, რომელთა ღერძები არ შეესაბამებიათა ფირფიტის მხარეების მიმართულებებს, მოცემულ წიგნში არ განიხილება.

მთავარ მიზანს წარმოადგენს, არასიმეტრიული ფენოვანი კომპოზიტებისაგან ფირფიტების ქცევის ყველაზე მნიშვნელოვანი მექანიზმების დადგენა, რაც უნდა იქნეს გათვალისწინებული მათი თერმომექანიკური გაგრილების ანალიზისას, რათა რაც შეიძლება ზუსტად მოხდეს გადასვლის მოდელირება საწყისი ბრტყელი კონფიგურაციიდან (ნახ. 1.1 (ა)) დეფორმირებულ კონფიგურაციამდე (ნახ. 1.1 (ბ), (გ), (დ)). ამ თვალსაზრისით, დიდი მნიშვნელობა აქვს იმ ფაქტს, რომ ფენოვანი ფირფიტის ზომები ახდენენ გავლენას იმაზე, გადადის თუ არა გაგრილებისას ბრტყელი ფორმიდან (ნახ. 1.1 (ა)) უნაგირა ფორმამდე (ნახ. 1.1 (ბ)) ან ცილინდრულ ფორმამდე (ნახ. 1.1 (გ)). გარდა ამისა, აუცილებელია გავითვალისწინოთ სხვა ცილინდრულ კონფიგურაციაზე გადასვლის შესაძლებლობა (ნახ. 1.1 (დ)). მათემატიკურად უკანასკნელი პრობლემა ნიშნავს, ძირითადი განტოლებების ჯერადი ამონახსნების არსებობას (ე.ი. ორი გაწონასწორებული კონფიგურაციისა ერთი და იგივე ტემპერატურაზე). ამოცანა ჯერადი ამონახსნებით არ შეიძლება იყოს წრფივი. იგი უდავოდ უნდა იყოს არაწრფივი.

ნახ.1.1.



ნახ. 1.1. გეომეტრია და მიღებული ტერმინოლოგია: (ა) ფენოვანი ფირფიტა ბრტყელ გამყარების ტემპერატურაზე; (ბ) უნაგირა კონფიგურაციის ფენოვანი ფირფიტა ოთახის ტემპერატურაზე; (გ) ცილინდრული ფენოვანი ფირფიტა ოთახის ტემპერატურაზე; (დ) ფენოვანი ფირფიტის სხვა შესაძლო ცილინდრული კონფიგურაცია ოთახის ტემპერატურაზე.

ენერგეტიკული მიდგომის საფუძველზე მუშავდება თეორია, რომელიც აღწერს არასიმეტრიული ფენოვანი კომპოზიტების ქცევას. ამ მიდგომის არსი მარტივია. კონფიგურაცია (ან კონფიგურაციები), რომელიც აღინიშნება მოცემული ფენოვანი ფირფიტისთვის მოცემულ ტემპერატურაზე, – წარმოადგენს კონფიგურაციას, რომელიც შეესაბამება ფენოვანი კომპოზიტის საერთო პოტენციური ენერჯის მინიმუმს. იგულისხმევა, რომ ფენოვან კომპოზიტზე გამყარების ეტაპზე მოდებული მექანიკური ძალები, არ ასრულებენ მუშაობას კომპოზიტზე როცა ტემპერატურა მცირდება გამყარების ტემპერატურიდან-ოთახის ტემპერატურამდე. ამრიგად, საერთო პოტენციური ენერჯია უნდა ჩაითვალოს მხოლოდ დეფორმაციის ენერჯიად, გაციებულ ფენოვან კომპოზიტში.

დეფორმაციის ენერჯის სიმკვრივე, რომელიც ითვალისწინებს თერმული გაფართოების ზეგავლენას, განისაზღვრება ფორმულით

$$\omega = \frac{1}{2} \bar{c}_{ij} (e_i e_j - \alpha_i e_j \Delta T), \quad i, j = 1, \dots, 6. \quad (1)$$

აქ \bar{c}_{ij} – სიხისტის მატრიცა კოორდინატთა სისტემაში x_1, x_2, x_3 ; e_i – მასალის თერმული გაფართოების წრფივი კოეფიციენტები სისტემაში x_1, x_2, x_3 . ტემპერატურის ცვლილება განისაზღვრება სიდიდით ΔT ; დადებითი ΔT შეესაბამება ტემპერატურის ზრდას. იგულისხმევა, რომ \bar{c}_{ij} და α_i არ არიან დამოკიდებული ტემპერატურაზე. ეს მოსაზრება არ წარმოადგენს მნიშვნელოვან შეზღუდვას ანალიზის დროს. სიბრტყიდან დიდი დეფორმაციების გამო, რომლებიც დაკავშირებულია ტემპერატურის ცვლილებასთან, გამოიყენება გრინის დეფორმაციების ტენზორი განსხვავებით მცირე დეფორმაციების ტენზორისა დრეკადობის წრფივ თეორიაში. ამ მოსაზრებას დეფორმაციების ტენზორთა

სახეობასთან მიმართებაში, წარმოადგენს ერთადერთ გადაცდომას ფენოვანი ფირფიტების კლასიკური თეორიიდან, რომელიც გამოყენებულია ამ თეორიის დამუშავებისას. იგულისხმევა, რომ კირჭოფის ჰიპოთეზა სამართლიანია და თითოეული ფენა იმყოფება ბრტყელ დამაბულ მდგომარეობაში. უკანასკნელი ვარაუდი იმას ნიშნავს, რომ დეფორმირების ენერჯის სიმკვრივის გასაანგარიშებელ განტოლებაში (1) ითვალისწინება დეფორმაციის მატრიცის მხოლოდ სამი კომპონენტი: e_1 , e_2 და e_6 . დეფორმაციის ეს სამი კომპონენტი შემდეგნაირად განისაზღვრება [60]:

$$\begin{aligned} e_1 &= e_1^0 - x_3 \frac{\partial^2 u_3^0}{\partial x_1^2}, \\ e_2 &= e_2^0 - x_3 \frac{\partial^2 u_3^0}{\partial x_2^2}, \\ e_6 &= e_6^0 - x_3 \frac{\partial^2 u_3^0}{\partial x_1 \partial x_2}, \end{aligned} \quad (2)$$

სადაც

$$\begin{aligned} e_1^0 &= \frac{\partial u_3^0}{\partial x_1} + \frac{1}{2} \left(\frac{\partial u_3^0}{\partial x_1} \right)^2, \\ e_2^0 &= \frac{\partial u_3^0}{\partial x_2} + \frac{1}{2} \left(\frac{\partial u_3^0}{\partial x_2} \right)^2, \end{aligned} \quad (3)$$

სიდიდეები e_1^0 , e_2^0 , e_6^0 –

ფენოვანი

ფირფიტის

შუა

$$e_1^0 = \frac{1}{2} \left(\frac{\partial u_1^0}{\partial x_2} + \frac{\partial u_2^0}{\partial x_1} + \frac{\partial u_3^0}{\partial x_1} \frac{\partial u_3^0}{\partial x_2} \right).$$

სიბრტყეს

დეფორმაციებია; u_1^0 , u_2^0 და u_3^0 – მატერიალური წერტილის გადაადგილებებია შესაბამისად x_1 , x_2 და x_3 მიმართულებებით. კვადრატული წევრები განტოლებებში (3) აღწერენ სიბრტყიდან (u_3^0) განპირობებულ გეომეტრიულად არაწრფივ ეფექტებს.

ბრტყელი დამაბული მდგომარეობის დაშვებით და განტოლებაში (1) შემოკლებული ჩანაწერის გახსნით, მივიღებთ დეფორმაციის ენერჯის სიმკვრივისათვის შემდეგ გამოსახულებას:

$$\omega = \frac{1}{2} C'_{11} e_1^2 + C'_{12} e_1 e_2 + 2C'_{66} e_6^2 + \frac{1}{2} C'_{22} e_2^2 -$$

$$-(C'_{11}\alpha_1 + C'_{12}\alpha_2)e_1\Delta T - (C'_{12}\alpha_1 + C'_{22}\alpha_2)e_2\Delta T, \quad (4)$$

სადაც C' - დაყვანილი სიხისტეებია კოორდინატთა სისტემაში x_1, x_2, x_3 .
 ორთოგონალურად არმირებული ფენოვანი კომპოზიტებისათვის, კომპონენტები C'_{16}, C'_{26} და α_6 ნულის ტოლია.

ფენოვანი კომპოზიტის მთლიანობაში განხილვით მივიღებთ სრული პოტენციური ენერჯის შემდეგ გამოსახულებას:

$$W = \int_{x_1=-\frac{L_1}{2}}^{\frac{L_1}{2}} \int_{x_2=-\frac{L_2}{2}}^{\frac{L_2}{2}} \int_{x_3=-\frac{h}{2}}^{\frac{h}{2}} \omega dx_1 dx_2 dx_3. \quad (5)$$

მოყვანილი მოცულობითი ინტეგრალის ინტეგრირების ზღვრები ასახავენ იმ ფაქტს, რომ გამყარების მომატებულ ტემპერატურაზე ბრტყელ ფენოვან ფირფიტას ჰქონდა სიგრძე L_1 მიმართულებით x_1 , სიგრძე L_2 მიმართულებით x_2 და სისქე h მიმართულებით x_3 . შეგახსენებთ, რომ კოორდინატთა სისტემის სათავე მდებარეობს ფირფიტის გეომეტრიულ ცენტრში.

სრული პოტენციური ენერჯისა მინიმალური მნიშვნელობის დასადგენად განტოლებები (2) და (3) ჩასმული იყო განტოლებაში (4), ხოლო მიღებული შედეგი - განტოლებაში (5). ვინაიდან x_3 კოორდინატა წარმოდგენილია ცხადი სახით, ინტეგრირებას x_3 მიმართ C'_{ij} ერთად მივყევართ ფენოვანი კომპოზიტის მემბრანული, ლუნვით-მემბრანული და ლუნვითი სიხისტეების კომპონენტებთან A_{ij}, B_{ij} და D_{ij} . გარდა ამისა, ინტეგრირება x_3 შედეგად იძლევა ეფექტური თერმულ ძალებს N_1^T და N_2^T და მომენტებს M_1^T და M_2^T სიბრტყეში. ეს ეფექტური თერმული დატვირთვები შემდეგნაირად განისაზღვრება:

$$N_1^T = \Delta T \int_{-\frac{h}{2}}^{\frac{h}{2}} (C'_{11}\alpha_1 + C'_{12}\alpha_2) dx_3, \quad (6\text{ა})$$

$$N_2^T = \Delta T \int_{-\frac{h}{2}}^{\frac{h}{2}} (C'_{12}\alpha_1 + C'_{22}\alpha_2) dx_3, \quad (6\text{ბ})$$

$$M_1^T = \Delta T \int_{-\frac{h}{2}}^{\frac{h}{2}} (C'_{11}\alpha_1 + C'_{12}\alpha_2)x_3 dx_3, \quad (6\text{გ})$$

$$M_2^T = \Delta T \int_{-\frac{h}{2}}^{\frac{h}{2}} (C'_{12}\alpha_1 + C'_{22}\alpha_2)x_3 dx_3. \quad (6\text{დ})$$

მაშინ სრული პოტენციური ენერჯიეს გამოსახულება მიიღებს შემდეგ სახეს

$$W = \int_{x_1=-\frac{L_1}{2}}^{\frac{L_1}{2}} \int_{x_2=-\frac{L_1}{2}}^{\frac{L_1}{2}} \omega(A_{ij}, B_{ij}, D_{ij}, N_1^T, N_2^T, M_1^T, M_2^T, u_1^0, u_2^0, u_3^0, x_1, x_2) dx_1 dx_2. \quad (7)$$

სტანდარტული მნიშვნელობების W მოძებნას ცვლილებების u_1^0 , u_2^0 და u_3^0 შესაბამისად მივეყვართ დიფერენციალურ განტოლებებთან და სასაზღვრო პირობებთან, რომლების განსაზღვრავენ ფენოვანი ფირფიტის კონფიგურაციას

მოცემულ ტემპერატურაზე. ეს განტოლებები იქნებიან არაწრფივი დიფერენციალური განტოლებები კერძო მწარმოებლებით u_1^0 , u_2^0 და u_3^0 მიმართ როგორც ფუნქციების x_1 და x_2 . ეს განტოლებები არ იქნა გამოყვანილი, რადგანაც ითვლება, რომ, განსაკუთრებული შემთხვევების გარდა, შესაძლებელია ამ განტოლების მხოლოდ მიახლოებითი რიცხვითი გადაწყვეტილებები, მაგალითად სასრულ განსხვავებების ან სასრული ელემენტების მეთოდით. გარდა ამისა, პირველი ვარიაცია უზრუნველყოფს ინფორმაციას მხოლოდ გაწონასწორებულ კონფიგურაციებზე, რომლებიც შეიძლება არსებობდნენ ან არ არსებობდნენ ლაბორატორიულ ექსპერიმენტში [21].

რადგან ამოცანა არაწრფივია, ხოლო ექსპერიმენტში რეგისტრირდება ჯერადი კონფიგურაციები აუცილებელია განიხილოს გაწონასწორებული კონფიგურაციების მდგრადობის პრობლემა. მდგრადობის განტოლებებისათვის ამონახსნების მიღებას წონასწორობის განტოლებებთან ერთად, მივყევართ მნიშვნელოვანი განზომილების ამოცანასთან. ამიტომ რიცხვითი გაანგარიშებები და განსაზღვრავი პარამეტრების შესწავლა, დაკავშირებულია გამოთვლით სირთულეებთან. შემოთავაზებული მიდგომა მდებარეობს რიტცის გაგებით მიახლოებითი ამონახსნების ძიებაში, რომლების გამომდინარეობენ დეფორმირების ენერჯის გამოსახულებიდან (განტოლება (7)) და რომლების ახდენენ ამ გამოსახულების მინიმიზირება დასაშვები გადაადგილების ველების საფუძველზე.


სიბრტყიდან გადაადგილების დასაშვები ფორმა

$$u_1^0(x_1, x_2) = \frac{1}{2}(ax_1^2 + bx_2^2) \quad (8)$$

უცნობებთან ერთად და განსაზღვრავს დაქვემდებარებული მუდმივები a და b აღწერენ ფენოვანი კომპოზიტის შესაძლო კონფიგურაციებს. ასეთი ფუნქციონალური დამოკიდებულება განსაზღვრავს u_1^0 -სათვის a და b პარამეტრებისაგან გამომდინარე სხვადასხვა კონფიგურაციებს: როდესაც $a = -b$,

მაშინ იქნება უნაგირა კონფიგურაცია (ნახ. 1 (ბ).); როდესაც $a > 0$, $b = 0$ (ნახ. 1 (გ)) ან $a = 0$, $b < 0$ (ნახ. 1 (დ)), მაშინ იქმნება ცილინდრული კონფიგურაცია. სიბრტყეებში $u_1^0(x_1, x_2)$ და $u_2^0(x_1, x_2)$ გადაადგილებებისათვის ფუნქციონალური დამოკიდებულების შერჩევა არ არის აშკარა. მაგრამ, ნახ. 2 იძლევა გარკვეულ წარმოდგენას ამ ორი გადაადგილებისთვის ფუნქციონალური დამოკიდებულების შერჩევის შესახებ. ნახ. 2-ზე წარმოდგენილია ფენიანი დეფორმირებული კომპოზიტის განივი კვეთა სიბრტყეში x_1, x_3 . არ არის არსებითი დაკავშირებულია თუ არა ეს განივი კვეთი ცილინდრთან ან უნაგირა ზედაპირთან. ნახაზზე წარმოდგენილია ფენოვანი კომპოზიტის საწყისი ბრტყელი განივი კვეთი გამყარების ტემპერატურაზე და ამ კომპოზიტის განივი კვეთი უფრო დაბალ ტემპერატურაზე სიბრტყიდან დეფორმირების შემდეგ. ნახაზიდან ნათელია, რომ წერტილი A სიბრტყიდან დეფორმაციის გამო განიცდის მნიშვნელოვან გადაადგილებას კოორდინატის x_1 შემცირების მიმართულებით. კერძოდ, წერტილი A გადაადგილდება შემდეგი სიდიდით

$$u_1^0 = \rho \sin \theta - x_1, \tag{9}$$



ნახ. 1.2. ტემპერატურის ცვლილებით განპირობებული დეფორმირებული ბრტყელი ფენოვანი ფირფიტის სქემა

სადაც x_1 – არის A წერტილის კოორდინატა ოთახის ტემპერატურაზე უფრო მაღალი გამყარების ტემპერატურის დროს, და ρ და θ – წარმოადგენენ ნახ. 6-ზე მითითებულ გეოგრაფიულ პარამეტრებს. გახსნის მცირე კუთხეებისთვის

$$\sin \theta = \theta = -\frac{\theta^3}{3!}. \quad (10)$$

თუ დეფორმაციები სიბრტყეში (თაღოვანი) იგულისხმევა მცირეებად, მაშინ რკალის სიგრძეზე წერტილების O და A შორის უდრის $\rho\theta$ ან

$$\rho\theta = x_1. \quad (11)$$

საბოლოოდ, განტოლების (8) მივიღებთ

$$\frac{1}{\rho} \approx a. \quad (12)$$

ამიტომაც განტოლებების (9) — (12) კომბინირებით მივიღებთ

$$u_1^0 = -\left(\frac{a^2}{6}\right)x_1^3. \quad (13)$$

თუმცა, თერმული ეფექტები ახდებებ ზეგავლენას დეფორმირებული ფენოვანი კომპოზიტის რკალის OA (ნახ. 2) სიგრძეზე. მსგავსად ფენოვანი ფირფიტების კლასიკური თეორიისა, იგულისხმევა, რომ თერმული გაფართოების (ან შეკუმშვის) გავლენა კოორდინატის x_1 მიმართულებით წრფივია x_1 მიმართდა

$$u_1^0 = cx_1 - \frac{a^2}{6}x_1^3, \quad (14)$$

დაედება გადაადგილებას, რომელიც განპირობებულია დატრიალებით, ე.ი.

სადაც c – წარმოადგენს უცნობი მუდმივას.

მსგავს მსჯელობას სიბრტყის x_2, x_3 -ის მიმართ მივყევართ გამოსახულებამდე

$$u_2^0 = dx_2 - \frac{b^2}{6}x_2^3, \quad (15)$$

სადაც d – არის უცნობი მუდმივი და b განისაზღვრება განტოლებით (8).
სიდიდეები a, b, c, d განისაზღვრებიან ენერჯიის ფუნქციონალის მინიმიზაციის პროცესში.

(8), (14) და (15) გამოყენებით, განტოლებები (3) შეიძლება დავიყვანოთ შემდეგ სახემდე

$$e_1^0 = c, \quad e_2^0 = d, \quad e_6^0 = \frac{abx_1x_2}{2}. \quad (16)$$

ორთოგონალურად არმირებული ფენოვანი კომპოზიტების ტემპერატურის ცვლილებით გამოწვეული გეომეტრიულად არაწრფივი დეფორმაციების დროს, არ არსებობენ შუა სიბრტყის ძვრის დეფორმაციები e_6^0 . შეიძლება დავამტკიცოთ, რომ ეს ასევე სამართლიანია დიდი გეომეტრიულად არაწრფივი დეფორმაციების შემთხვევაში. დამოკიდებულებები (16) ეწინააღმდეგებიან ამ მტკიცებულებას ($e_6^0 \neq 0$ განტოლებაში (16)), ამიტომ გამოსახულებები (14), (15) u_1^0 და u_2^0 -სათვის უნდა მოდივიცირდნენ, რათა უზრუნველყონ პირობის $e_6^0 = 0$ შესრულება.

$$\begin{aligned} u_1^0 &= cx_1 - \frac{a^2}{6}x_1^3 - \frac{ab}{4}x_1x_2^2, \\ u_2^0 &= dx_1 - \frac{b^2}{6}x_1^3 - \frac{ab}{4}x_1^2x_2. \end{aligned} \quad (17)$$

საბოლოოდ გამოსახულებებს u_1^0 და u_2^0 -სათვის მოდიფიცირების შემდეგ ექნებათ შემდეგი სახე დამოკიდებულებები (17) ერთად (8) აყალიბებენ გადაადგილების სავარაუდო ველებს ასიმეტრიული ფენოვანი კომპოზიტებისათვის, რომლებიც არიან დეფორმირებულნი მასალის ტემპერატურის ცვლილების გამო მისი გამყარების ტემპერატურის მიმართ. ეს განტოლებები შეიძლება შეიცვალოს ჩავსვით (2) - (5), ხოლო ისინი, თავის მხრივ - განტოლებაში (7) შემდგომი ინტეგრირებით კოორდინატების x_1 და x_2 მიმართ. ამგვარი ჩასმას მივყევართ შემდეგი სახის გამოსახულებამდე W -სათვის:

$$W = W(A_{ij}, B_{ij}, D_{ij}, N_1^T, N_2^T, M_1^T, M_2^T, L_1, L_2, a, b, c, d) \quad (18)$$

შემდგომ მოიძებნება ფუნქციონალის სტაციონარული მნიშვნელობები W -სათვის სიდიდეების a, b, c, d ვარიაციების მიხედვით. განტოლების (18) ინტეგრირება კოორდინატებით x_1 და x_2 საკმაოდ რთულია და მივყევართ რთულ გამოსახულებასთან W -სათვის. მაგრამ პირველი ვარიაცია სიდიდეების a, b, c და d მიმართ იძლევა შემდეგი სახის გამოსახულებას

$$\delta W = f_1 \delta a + f_2 \delta b + f_3 \delta c + f_4 \delta d, \quad (19)$$

სადაც

$$= f_i(A_{ij}, B_{ij}, D_{ij}, N_1^T, N_2^T, M_1^T, M_2^T, L_1, L_2, a, b, c, d), \quad i=1, \dots, 4.$$

წონასწორობის მდგომარეობაში

$$f_i = 0, \quad i=1, \dots, 4. \quad (20)$$

განტოლებები (20) შეადგენენ ოთხ ალგებრაულ განტოლებებს უცნობებისათვის a, b, c და d . ეს განტოლებები არაწრფივია a და b მიმართ და წრფივია c და d მიმართ; მათ აქვთ შემდეგი სახე

$$f_1(a, b, c, d) = -C_1cb + C_2ab^2 + 2C_3ab - B_{11} + \\ + D_{11}a - C_4cb + 2C_5ab^2 - C_6ab +$$

$$+D_{12}b - C_7db + C_8ab^2 + C_9ab + \quad (21\text{ს})$$

$$+M_1^T + \frac{1}{48}L_2^2bN_1^T + \frac{1}{48}L_1^2bN_2^T = 0,$$

$$\begin{aligned} f_2(a, b, c, d) = & -C_1ac + C_2a^2b + 2C_3a^3 - C_4ac + \\ & + 2C_5a^2b + D_{12}a - C_6da - C_7db + \\ & + C_8a^2b + 2C_9ab - B_{22}d - D_{22}b + \end{aligned} \quad (21\text{ბ})$$

$$+ \frac{1}{48}L_2^2aN_1^T + \frac{1}{48}L_1^2aN_2^T + M_2^T = 0, \quad (21, \text{ბ})$$

$$\begin{aligned} f_3(a, b, c, d) = & A_{11}c - C_1ab - B_{11}a + A_{12}d - \\ & - C_4ab - N_1^T = 0, \end{aligned} \quad (21, \text{გ})$$

$$\begin{aligned} f_4(a, b, c, d) = & A_{12}c - C_6ab - B_{21}d + A_{22}d - \\ & - C_7ab - N_2^T = 0. \end{aligned} \quad (21, \text{დ})$$

ამ განტოლებებში

$$\begin{aligned} C_1 &= \frac{1}{48}A_{11}L_2^2, & C_2 &= \frac{1}{1280}A_{11}L_2^4, \\ C_3 &= \frac{1}{48}B_{11}L_2^2, & C_4 &= \frac{1}{48}A_{12}L_1^2, \\ C_5 &= \frac{1}{2304}A_{12}L_1^2L_2^2, & C_6 &= \frac{1}{48}A_{12}L_2^2, \\ C_7 &= \frac{1}{48}A_{22}L_1^2, & C_8 &= \frac{1}{1280}A_{22}L_1^4, \\ C_9 &= \frac{1}{48}B_{22}L_1^2. \end{aligned} \quad (22)$$

უნდა აღინიშნოს, რომ $L_1 = L_2 = 0$ შემთხვევაში მუდმივები C_1, \dots, C_9 უდრიან ნულს და განტოლებები (21) დაიყვანება ფენოვანი ფირფიტების კლასიკურ თეორიამდე, ე.ი. გეომეტრიულად წრფივ შემთხვევამდე. ნათელია, რომ აქ დამუშავებული

მეთოდისათვის ფენოვანი ფირფიტა ნულოვანი ზომებით წარმოადგენს კლასიკური თეორიის ფენოვანი ფირფიტების სინონიმს.

რიცხვითი შედეგების მისაღებად აუცილებელია განტოლების (21) რიცხვითი გადაწყვეტა. ეს შეიძლება გაკეთდეს სხვადასხვა გზით, მაგალითად, ნიუტონის ტიპის ალგორითმის გამოყენებით, ან სიდიდეების c და d -ს გამოსახვით a და b -ის მეშვეობით (21გ) და (21დ) საშუალებით. c და d -თვის ნაპოვნი გამოსახულებები შეიძლება ჩაისვას განტოლებებში (21ა), (21ბ) და მიღებულ იქნას ორი არაწრფივი განტოლება a და b -სათვის, რომელიც შეიძლება ამოხსნილ იქნეს ნიუტონის მეთოდით. და საბოლოოდ, ეს ორი განტოლება შეიძლება გაერთიანდეს ერთში a ან b -ს მიმართ, როგორც (3)-ში. გაერთიანებულ განტოლებას a -ს მიმართ აქვს შემდეგი სახე

$$(S^2U_1)a^5 + (S^2U_1)a^4 + (2SU_1U_2)a^3 + (STV_2 + 2SU_2V_1)a^2 + (SV_2^2 - T^2U_2 + U_1U_2^2)a + (U_2^2V_1 - TU_2V_2) = 0, \quad (23,ა)$$

სადაც

$$b = -\frac{Ta + V_2}{Sa^2 + U_2}. \quad (23ბ)$$

განტოლებებში (23) გამოყენებულია შემდეგი სიდიდეები:

$$\begin{aligned} S &= \frac{1}{2880}(A_{11}L_2^4 + A_{22}L_1^4), & T &= D_{12} + \frac{A_{12}B_{11}B_{22}}{A_{11}A_{22} - A_{12}^2}, \\ U_1 &= D_{11} - \frac{A_{22}B_{11}^2}{A_{11}A_{22} - A_{12}^2}, & U_2 &= D_{22} - \frac{A_{11}B_{22}^2}{A_{11}A_{22} - A_{12}^2}, \\ V_1 &= M_1^T - \frac{B_{11}(A_{22}N_1^T - A_{12}N_2^T)}{A_{11}A_{22} - A_{12}^2}, & V_2 &= M_2^T - \frac{B_{22}(A_{11}N_2^T - A_{12}N_1^T)}{A_{11}A_{22} - A_{12}^2}. \end{aligned} \quad (24)$$

მოსალოდნელია, რომ არაწრფივი ალგებრული განტოლებებს ((21) ან (23)) აქვთ ჯერადი ფესვები, და შესაბამისად, ფენოვანი კომპოზიტი მოცემული ΔT -ს დროს ჯერადი კონფიგურაციაა. ეს უზრუნველყოფს ჯერადი ცილინდრული კონფიგურაციების შესაძლებლობის პროგნოზირებას. კონკრეტული ფენოვანი კომპოზიტისათვის ტემპერატურის მოცემული ცვლილებით გამყარების შემდეგ, ე.ი. მოცემული $A_{ij}, B_{ij}, D_{ij}, N_1^T, N_2^T, M_1^T, M_2^T$ დროს, შესაძლებელია განისაზღვროს სიბრტყიდან დეფორმაციები მოძებნილი სიდიდეებით a და b , და აგრეთვე დეფორმაციები c და d , რომლების ამ შემთხვევაში არ წარმოადგენენ დიდ ინტერესს. ადრე უკვე აღინიშნა, რომ განტოლებების (21) ამოხსნები გაწონასწორებულია. მოცემულ ტემპერატურაზე ერთი ან მეტი ამონახსნები შეიძლება შეესაბამებოდეს არამდგრადი წონასწორობა. აქედან გამომდინარე, ყოველი ამონახსნისათვის საჭიროა მეორე ვარიაციის გამოკვლევა. მაგრამ თავდაპირველად მიზანშეწონილია წარმოვადგინოთ რიცხვითი შედეგები, რომლებიც მიეკუთვნებიან კონკრეტული ფენოვანი კომპოზიტების გაწონასწორებულ კონფიგურაციებს. ამგვარად, მდგრადობის საკითხები წარმოდგენილი უნდა იყოს კონტექსტში კონკრეტული ფენოვანი კომპოზიტების კონკრეტული კონფიგურაციებით.

1.4 . მდგრადობის საკითხები

იმისათვის, რომ განტოლებათა სისტემის (21) რომელიმე კერძო ამონახსნმა განსაზღვროს მდგრადი წონასწორობის მდგომარეობა, ამ ამონახსნის შესაბამისი საერთო პოტენციური ენერგია უნდა იყოს მინიმალური. თუ საერთო პოტენციური ენერგია არ არის მინიმალური, მაშინ წონასწორობა მდგომარეობა არამდგრადია და კონკრეტული გაწონასწორებული კონფიგურაცია ფიზიკურად არარეალიზებადია. ფენოვანი ფირფიტის მდგრადი წონასწორობის კონფიგურაცია, რომელიც აღიწერება ოთხი ფუნქციების $f_i, i=1, \dots, 4$ (21) სისტემით, განისაზღვრება f_i ფუნქციების კერძო წარმოებულების განმსაზღვრელის გამოკვლევით:

$$\begin{bmatrix} \frac{\partial f_1}{\partial a} & \frac{\partial f_1}{\partial b} & \frac{\partial f_1}{\partial c} & \frac{\partial f_1}{\partial d} \\ \frac{\partial f_2}{\partial a} & \frac{\partial f_2}{\partial b} & \frac{\partial f_2}{\partial c} & \frac{\partial f_2}{\partial d} \\ \frac{\partial f_3}{\partial a} & \frac{\partial f_3}{\partial b} & \frac{\partial f_3}{\partial c} & \frac{\partial f_3}{\partial d} \\ \frac{\partial f_4}{\partial a} & \frac{\partial f_4}{\partial b} & \frac{\partial f_4}{\partial c} & \frac{\partial f_4}{\partial d} \end{bmatrix}$$

ეს საკითხი განხილულ იქნა ნაშრომში [54]. ფენოვანი ფირფიტის გაწონასწორებული კონფიგურაცია მასალის გარკვეული თვისებებით, დაწყობის თანმიმდევრობით, ზომებით და განსაზღვრული ტემპერატურისას მდგრადია მაშინ და მხოლოდ მაშინ, როდესაც ეს მატრიცა არის დადებითად განსაზღვრული. (აქ შესწავლილი შემთხვევებისთვის, მატრიცის განმსაზღვრელი არ უდრის ნულს). თუ მატრიცა არ არის დადებითად განსაზღვრული, მაშინ გაწონასწორებული კონფიგურაცია არამდგრადია. ამდენად, უნდა შემოწმდეს ნებისმიერი შტოს ყოველი წერტილი ზემოთ მოყვანილ ნახაზებზე.

მითითებული მეთოდიკის გამოყენებით დადგინდა, რომ ფენოვანი ფირფიტებისათვის დაწყობით $(0_4/90_4)_T$ (ნახ. 1,3–1,6) უნაგირა ტიპის ნებისმიერი გაწონასწორებული კონფიგურაცია არამდგრადია, თუ იგივე პირობებში შეიძლება არსებობდეს ცილინდრული კონფიგურაციები. თუ უნაგირა კონფიგურაცია ერთადერთი შესაძლოა, მაშინ იგი მდგრადია. ამ ნახაზებზე ყველა ცილინდრული კონფიგურაციები მდგრადია. ამიტომ ყველა უნაგირა ფიგურაციები შტოზე AB ნახ. 3 მდგრადია და იარსებებენ ოთახის ტემპერატურაზე, ხოლო ყველა უნაგირა კონფიგურაციები შტოზე BD არამდგრადია. ფენოვანი ფირფიტებისათვის გვერდების სიგრძეებით არანაკლები 90 მმ უნაგირა კონფიგურაცია არ შეინიშნება და ნებისმიერი ორი ცილინდრული კონფიგურაცია კი შეინიშნება. თავდაპირველად ბრტყელი ფენოვანი ფირფიტის გაგრილებისას გამყარების ტემპერატურიდან A'B' ტრაექტორიის გასწვრივ (ნახ. 1.4 და 1.5), ვითარდება მყარი უნაგირა კონფიგურაცია. როდესაც ფირფიტა გაგრილდება ტემპერატურაზე დაბლა, რომელიც შეესაბამება განშტოების წერტილს B', უნაგირა კონფიგურაცია წყვეტს არსებობას, რადგან იგი არამდგრადი ხდება. ფენოვანი ფირფიტა

დეფორმირდება ან ცილინდრში, რომელიც წარმოდგენილია ტრაექტორიით B'C', ან ცილინდრში, რომელიც წარმოდგენილია ტრაექტორიით B'E'. ამის საპირისპიროდ, პატარა ზომების ფირფიტის გაგრილებისას (ნახ. 1.6) დეფორმირდება მდგრად უანგირა კონფიგურაციაში და ინარჩუნებს მას გამყარების ტემპერატურის ქვემოთ არსებული ყველა მის ტემპერატურაზე.

ანალიზით მიღებული ინფორმაციიდან შეუძლებელია დადგინდეს, ორ შესაძლო ცილინდრული კონფიგურაციებიდან ნახ. 1.3–1.5 რომელი შეინიშნება. რადგან ეს კონფიგურაციები მდგრადია, ისინი შეესაბამებიან საერთო პოტენციური ენერჯის მინიმუმებს, რომლებიც ადგილობრივი იმ გაგებით, რომ ვარიაციები განისაზღვრება სწავლობს ამ კონფიგურაცია, რომლების წარმოადგენენ ლოკალურებს იმ გაგებით, რომ განსაზღვრული არიან აღნიშნული კონფიგურაციების ვარიაციების შესწავლის გზით, ე.ი. დასაშვები გადაადგილებები განმარტებით წარმოადგენენ მცირეებს ამიტომ, ნებისმიერი კონფიგურაცია შესაძლებელია. სინამდვილეში, ფენოვანი ფირფიტის მცირე ნაკლოვანებები ან სივრცობრივად ერთგვაროვანი ტემპერატურის მცირე რხევები აიძულებენ ფენოვან ფირფიტას, აირჩიოს ერთი ან მეორე ცილინდრული კონფიგურაცია.

არასიმეტრიული კომპოზიტებისაგან ფენოვანი ფირფიტების გაწონასწორებული კონფიგურაციების განსაზღვრის საშუალებებით და მათი მდგრადობის შეფასებით, გამოვიკვლიეთ მასალის თვისებების, და წყობის თანმიმდევრობის და სხვა პარამეტრების ზემოქმედება.

1.5 . რიცხვითი მეთოდის გამოყენების საკითხები

კონკრეტული კომპოზიტისაგან ფენოვანი კომპოზიტისათვის რიცხვითი შედეგები, თვალნათლივ ასახავენ ძირითადი ურთიერთკავშირებს ფენოვანი ფირფიტის კონფიგურაციისა და მის ზომებს შორის, აგრეთვე მის გამყარების ტემპერატურის მიმართ. შესავალში ნაჩვენებია, რომ ერთნაირი სტრუქტურის, მაგრამ სხვადასხვა სისქის ფირფიტებს გამყარების შემდეგ აქვთ განსხვავებული

კონფიგურაცია. ეს ფაქტი წარმოადგენს გამყარების შემდეგ, ფენოვანი ფირფიტის კონფიგურაციაზე მისი ზომის ზეგავლენის შესწავლის მიზნს. მეორეს მხრივ, რადგან ფენოვანი კომპოზიტის ტემპერატურის გაზრდა და შემცირება გამყარების ტემპერატურის მიმართ ადვილად არის მისაღწევი, სხვადასხვა მკვლევარებმა [29, 30], ფაქტობრივად გამოიყენეს იგი როგორც ფენოვანი კომპოზიტის გამყარების ტემპერატურის განსაზღვრის მეთოდი. გარდა ამისა, ამგვარი მეთოდი გამოყენებულია შრომებში [60, 30] ბოჭკოვანი არმირებული კომპოზიტების ქცევაზე ტენიანობისა და ტემპერატურის ზემოქმედების შეფასებისას.

ურთიერთკავშირი ფენოვანი ფირფიტა ზომისა და მისი კონფიგურაციის შორის ოთახის ტემპერატურაზე (20°C) ილუსტრირებულია ნახ. 1.3-ზე. შედეგები აღებულია ნაშრომიდან [29]. ფენოვან ფირფიტას აქვს კვადრატის ფორმა ($L_1 = L_2 = L$); გვერდის სიგრძე გადაზომილია ჰორიზონტალურ ღერძზე. a და b სიდიდეები ამ ფიგურის ორი ნაწილის ვერტიკალურ ღერძებზეა გადაზომილი. ფირფიტა აგებულია სქემით $(0_4/90_4)_T$ და აქვს შემდეგი მახასიათებლები:

$$E_1 = 115 \text{ gpa}; \quad E_2 = 8 \text{ gpa}; \quad \nu_{12} = 0.28;$$


$$\alpha_1 = -0.106 \cdot 10^{-6} / ^\circ\text{C}; \quad \alpha_2 = 25.6 \cdot 10^{-6} / ^\circ\text{C},$$

ფენის სისქე=0.175 მმ; გამყარების ტემპერატურა=121°C.

შემდგომი განხილვის მოხერხებულობისათვის ამგვარი თვისებების მქონე ფენებისაგან შემდგარი ფენოვანი კომპოზიტები აღვნიშნოთ A ტიპის კომპოზიტებად. მოყვანილი თვისებები დამახასიათებელია ფირმა Hercules –ის მიერ წარმოებული მასალისათვის AS4/1908 ბოჭკოების 50%-ანი მოცულობითი შემცველობით.

ნახ. 1.3.-დან ნათელია ორი თავისებურებები. პირველი, ამონახსნებში არსებობს a, b და მხარის სიგრძეს შორის ურთიერთკავშირით განპირობებული სიმეტრია. მეორეც, თუ ფენოვანი ფირფიტის მხარის სიგრძეზე აღემატება გარკვეულ კრიტიკულ სიგრძეს, არსებობს სამი შესაძლო გაწონასწორებული ამონახსნები ოთახის ტემპერატურაზე. ნახაზიდან ჩანს, რომ კრიტიკული სიგრძეა

90 მმ. როდესაც $L=0$, არსებობს მხოლოდ ერთი ამონახსნი, რომელიც შეესაბამება უნაგირა კონფიგურაციას ($b = -a$). ეს კონფიგურაცია რეალურად იწინასწარმეტყველება, თუ გაანგარიშებაში უგულებელყოფილია გეომეტრიული არაწრფივობა. ნახაზზე შესაბამის ამონახსნი აღნიშნულია წერტილით A. როდესაც ფენოვანი ფირფიტის მხარის სიგრძე იზრდება ნულიდან, ვთქვათ, 50 მმ-დე, ამონახსნები რჩება ცალსახა, და ნაწინასწარმეტყველი კონფიგურაცია იქნება უნაგირა. მაგრამ უნაგირის სიმრუდე მცირდება წრფივი გაანგარიშებით ნაწინასწარმეტყველ სიმრუდესთან შედარებით.




ნახ. 1.3. სიმრუდის დამოკიდებულება $(0_4/90_4)_T$ სტრუქტურის კვადრატული A ტიპის ფენოვანი ფირფიტის გვერდის სიგრძისაგან L ოთახის ტემპერატურაზე გარკვეული კრიტიკული სიგრძის დროს, ამონახსნი დაიყოფა (წერტილი B ნახ. 3-ში). ამ კრიტიკული მნიშვნელობაზე დიდ ფირფიტის მხარეების სიგრძეებისას, იწინასწარმეტყველება სამი გაწონასწორებული კონფიგურაციების არსებობა, თითოეული რომელთაგან წარმოდგენილია ნახაზზე ამონახსნების სხვადასხვა შტოებით, რომლებიც აღინიშნება როგორც BC, BD და BE. BD განშტოება წარმოადგენს უნაგირა კონფიგურაციის გაგრძელებას. დანარჩენი ორი ამონახსნების განშტოებები მნიშვნელოვნად განსხვავდებიან უნაგირა კონფიგურაციისაგან.

გარდამავალ ზონის განხილვამდე განშტოების წერტილის სიახლოვეს ($75 \text{ მმ} \leq L \leq 150 \text{ მმ}$), აღვნიშნოთ, რომ განშტოებადი BC შეესაბამება ფენოვან ფირფიტებს დიდი დადებითი სიმრუდით x_1 ღერძის მიმართულებით და დაბალი ან საერთოდ არარსებული სიმრუდით x_2 ღერძის მიმართულებით. განშტოება BE, პირიქით, შეესაბამება ფენოვან ფირფიტებს მცირე ან საერთოდ არარსებული სიმრუდით x_1 ღერძის მიმართულებით და დიდი უარყოფითი სიმრუდით x_2 ღერძის მიმართულებით. განშტოებებთან BC და BE დაკავშირებული კონფიგურაციები, შეიძლება განიხილებოდეს ცილინდრულებად, რომლებიც შეესაბამება ნახ. 1(გ) და 1(დ). კონფიგურაციის ამგვარი ცვლილება ფენოვანი კომპოზიტის ზომასთან მიმართებაში იყო განხილული შესავალში. მოცემული რვაფენიანი კომპოზიტური ფირფიტისათვის (ნახ. 1.3) 90 მმ აღმატებულ მხარეთა სიგრძეებით, გაგრილებისას შესაძლებელია ერთზე მეტი გაწონასწორებული კონფიგურაცია. ცხადია, ყველა კონფიგურაცია არ გამოჩნდება ერთდროულად და ზოგი მათგანი არამდგრადი გაწონასწორებული კონფიგურაციებია და არასოდეს არ გამოვლინდებიან. ეს საკითხი შემდგომ განიხილება.

გამოყვანილი განტოლებები, გვაძლევს საშუალებას ვიწინასწარმეტყველოთ აგრეთვე სხვა ფენოვანი კომპოზიტის ფირფიტის კონფიგურაციის, ზომაზე დამოკიდებულების არანაკლებ საინტერესო ეფექტები. ნახ. 1.4.-1.6. ასახულია A ტიპის კომპოზიტის ფირფიტის კონფიგურაციის ტემპერატურაზე დამოკიდებული ცვლილება, ნაჩვენებია სიმრუდის დამოკიდებულება ტემპერატურაზე სამი ფირფიტისათვის, ზომებით შესაბამისად $125 \times 125 \text{ მმ}$ (ნახ. 4), $300 \times 300 \text{ მმ}$ (ნახ. 1,5), და $50 \times 50 \text{ მმ}$ (ნახ. 1.6.). როგორც ადრე, თითოეული ნახაზი შედგება ორი ნაწილისაგან. სიმრუდეები გადაზომილია ვერტიკალური ღერძის გასწვრივ და ფენოვანი კომპოზიტის ტემპერატურა ჰორიზონტალური ღერძის გასწვრივ.


სიმრუდეები აგებულია ტემპერატურათა დიაპაზონისათვის, ოთახის ტემპერატურიდან (20°C) გამყარების ტემპერატურამდე (121°C). ფენოვანი ფირფიტის კონფიგურაციის ცვლილების ხასიათს, შეიძლება დავაკვირდეთ

როგორც მისი გამყარების ტემპერატურაზე ზემოთ გაცხელებისას, აგრეთვე მისი გაგრილების დროს. აქ განიხილება მხოლოდ უკანასკნელი სიტუაცია.



ნახ. 1.4. ტემპერატურის სიმრუდის დამოკიდებულება ფენოვანი ფირფიტისათვის (125×125 მმ) დაგებით $(0_4/90_4)_T$ A ტიპის კომპოზიტისაგან

როგორც ნათელია ნახ. 1.4-დან, ფენოვანი ფირფიტის ზომებით 125×125 მმ სიმრუდეები გამყარების ტემპერატურაზე (წერტილი A') უდრის ნულს და გამოჩნდებიან ტემპერატურის შემცირებისას. განშტოების წერტილამდე B' სიმრუდეები მცირეა და საპირისპირო ნიშანისაა, ამიტომ ფენოვანი ფირფიტა იძენს უნაგირა კონფიგურაციას. გაწონასწორებული ამონახსნები შეიძლება მიყვეს სამიდან ერთ-ერთ ტრაექტორიას, რომლებიც აღინიშნება B'C', B'D' და B'E'-თი. თუ ფენოვანი ფირფიტა შეესაბამება ტრაექტორიას B'C', მაშინ სიმრუდე x_1 ღერძის მიმართულებით იზრდება, ხოლო სიმრუდე x_2 ღერძის მიმართულებით მცირდება. მეორეს მხრივ, ტრაექტორიის B'E' მსვლელობისას აღინიშნება საპირისპირო სურათი - სიმრუდე x_1 მიმართულებით მცირდება და x_2 მიმართულებით იზრდება მოდულით. თუ მესამე შესაძლებლობის შესაბამისად ფენოვანი ფირფიტა გაგრილებისას მიყვება ტრაექტორიას B'D', მაშინ მისი კონფიგურაცია რჩება უნაგირად, მაგრამ ჩაზნექვა ტემპერატურის შემცირებისას კიდევ უფრო გაღრმავდება.



ნახ. 1.5. ტემპერატურის სიმრუდის დამოკიდებულება ფენოვანი ფირფიტისათვის (300×300 მმ) დაგებით $(0_4/90_4)_T$ A ტიპის კომპოზიტისაგან

სიმრუდის დამოკიდებულება ტემპერატურისაგან ფენოვანი ფირფიტისათვის 300×300 მმ (ნახ. 1.5) მსგავსია განხილულისა ნახ. 1.4-ზე. თუმცა, უფრო დიდი ზომის ფირფიტისათვის, განსხვავებები კონფიგურაციებში, რომლებიც წარმოდგენილია ამონახსნიის სხვადასხვა შტოებით, უფრო მკაფიოა. თავდაპირველად, ტემპერატურის შემცირებისას, ჩნდება თანაბარი სიდიდის, მაგრამ სიმრუდის საპირისპირო ნიშნის ფირფიტები. თუმცა, როდესაც ტემპერატურა ხდება გამყარების ტემპერატურაზე მხოლოდ 10 °C ნაკლები. თუ ტემპერატურა შემდგომი შემცირებისას ფენოვანი ფირფიტა მიყვება ტრაექტორიას B'C', მაშინ სიმრუდე x_1 მიმართულებით აგრძელებს ზრდას, მაშინ როდესაც x_2 ღერძის მიმართულებით პრაქტიკულად ქრება. ეს შეესაბამება ცილინდრულ კონფიგურაციას, რომელიც სქემატურად არის წარმოდგენილი ნახ. 1.1(გ). პირიქით, თუ ფირფიტის კონფიგურაციის ცვლილება გაგრძელებისას მიყვება ტრაექტორიას B'E', სიმრუდე x_2 ღერძის მიმართულებით იზრდება მოდულით, ხოლო სიმრუდე x_1 მიმართულებით პრაქტიკულად მცირდება ნულამდე. ეს შეესაბამება ნახ. 1.1(დ)


წარმოდგეილ ცილინდრულ კონფიგურაციას. ტრაექტორია B'D' შეესაბამება ფენოვან ფირფიტას უნაგირა კონფიგურაციით, რომელსაც აქვს თანაბარი სიდიდის, მაგრამ სიმრუდის საპირისპირო ნიშნის მქონე სიმრუდეები. იმ შემთხვევაში, თუ ფენოვანი ფირფიტისათვის 125×125 მმ განშტოებებით B'C' და B'E' წარმოდგენილი განშტოებები არ არის მთლიანად ცილინდრული, მაშინ ფირფიტისათვის 300×300 მმ, დაწყებული გარკვეული ტემპერატურიდან, ამ განშტოებების შესაბამისი კონფიგურაციები უკვე პრაქტიკულად ცილინდრულია.

მცირე ზომის ფენოვანი ფირფიტის (ნახ. 1.6) დამოკიდებულება სიმრუდისა და ტემპერატურის შორის სავსებით განსხვავებულია. ამ ფირფიტისთვის არსებობს მხოლოდ ერთი კონფიგურაცია (უნაგირა), რომელიც იქმნება ფირფიტის გაგრილებისას გამყარების ტემპერატურიდან ოთახის ტემპერატურამდე. ამონახსნი არ განეშტოება. ფაქტიურად, დამოკიდებულება სიმრუდისათვის და ტემპერატურის შორის თითქმის წრფივია. შეგახსენებთ, რომ გაგრილების პროცესის დროს, ფენოვანი კომპოზიციური ფირფიტა თავსდება შემზღვეველ საყრდენ ფირფიტებს შორის. ამიტომ ნახ. 1.4–1.6 ნაჩვენებია დეფორმაციული ქცევა, პრაქტიკაში არ გვხდება. თუმცა, თუ ფენოვან ფირფიტას ამოვიღებთ საყრდენი ფირფიტებიდან, ხელმეორედ გავაცხელებთ გამყარების ტემპერატურამდე და შემდეგ გავაგრილებთ, მაშინ მისი კონფიგურაციის ცვლილება სწარმოებს ნახ. 1.4–1.6-ზე მოცემული აღწერის მიხედვით. რიცხვითი შედეგების გამოყენებით, რომლებიც ხელმისაწვდომია ფენოვანი ფირფიტებისათვის არსებული კომპოზიტებისაგან დაწყობით $(0_4/90_4)_T$, საინტერესო გამოვიკვლიოთ a და b სიდიდეების ზღვრული მნიშვნელობები დიდი და პატარა ზომის ფირფიტებისათვის. ფენოვანი კომპოზიტისათვის დაწყობით $(0_4/90_4)_T$ სამართლიანია შემდეგ ფარდობები: $A_{22} = A_{11}$, $D_{22} = D_{11}$, $B_{22} = -B_{11}$. განტოლებათაგან (6) გამომდინარეობს, რომ $N_2^T = N_1^T$ და $M_2^T = -M_1^T$. შედეგად, განტოლებიდან (24) გამომდინარეობს, რომ $U_2 = U_1$ და $V_2 = -V_1$. ინფორმაციას სასურველი ზღვრულ მნიშვნელობებზე იძლევა განტოლება (23). მცირე ზომის

ფენოვანი ფირფიტებისათვის ($L_1 \rightarrow 0$, $L_2 \rightarrow 0$ და $S = 0$), იხ. განტოლება (24), განტოლებიდან (23) გამომდინარეობს

$$a = \frac{24 (Q_{11}Q_{22} - Q_{12}^2)(\alpha_1 - \alpha_2)\Delta T}{h (Q_{11}^2 + 14Q_{11}Q_{22} + Q_{22}^2 - 16Q_{12}^2)} \quad (25a)$$

$$b = -a, \quad (25b)$$



ნახ. 1.6. ტემპერატურის სიმრუდის დამოკიდებულება ფენოვანი ფირფიტისათვის (50×50 მმ) დაგებით $(0_4/90_4)_T$ A ტიპის კომპოზიტისაგან

დიდი ზომის ფენოვანი ფირფიტებისთვის განტოლებაში (23) დომინირებს პირველი ორი წევრი და შესაბამისად

$$a = -\frac{U_1}{V_1} = \left\{ \frac{24}{h} \frac{(Q_{11}Q_{22} - Q_{12}^2)(\alpha_1 - \alpha_2)\Delta T}{Q_{11}^2 + 14Q_{11}Q_{22} + Q_{22}^2 - 16Q_{12}^2} \right\} \times \left\{ \frac{Q_{11} + Q_{22} - 2Q_{12}}{Q_{11} + Q_{12}} \right\}, \quad (26a)$$

$$b = 0. \quad (26b)$$

განტოლებაში (26a) ფიგურულ ფრჩხილებში მოთავსებული პირველი წევრი წარმოადგენს ფორმულით (25a) აღწერილ წრფივ ამონახსნს და მეორე წევრი ფიგურულ ფრჩხილებში ნებისმიერი კომპოზიტური მასალისათვის, ოდნავ აღემატება ერთს. ამრიგად, ფართო არანულოვანი სიმრუდის ზღვრული მნიშვნელობა დიდი ზომის ფენოვანი ფირფიტებისათვის, წარმოადგენს ასიმპტოტურ მნიშვნელობას, რომელიც ოდნავ აღემატება წრფივ პროგნოზს. მეორე სიმრუდე დიდი ზომების ფენოვანი ფირფიტებისათვის უდრის ნულს.

ნაწინასწარმეტყველ კონფიგურაციაზე ან ფენოვანი ფირფიტის კონფიგურაციაზე ისეთი პარამეტრების, როგორცაა კომპოზიტის თვისებები, ფირფიტის სისქე ან ფენების დაწყობის თანმიმდევრობა, ზეგავლენის გამოკვლევამდე უნდა იქნეს შესწავლილი ნაწინასწარმეტყველი კონფიგურაციების მდგრადობა. მხოლოდ ამის შემდეგ ნახ. 1.4–1.6-ზე წარმოდგენილი ინფორმაცია ნამდვილად იქნება დასრულებილი.

1.5.1 ტემპერატურის ზეგავლენა მასალების თვისებებზე


მასალის თვისებების ზეგავლენას კონფიგურაციის ცვლილებაზე გამოვიკვლევთ შემდეგი თვისებების მქონე ფენებისაგან დამზადებული ფირფიტების განხილვით:

$$E_1 = 181 \text{ gpa}, E_2 = 10.3 \text{ gpa}, \nu_{12} = 0.28,$$

$$\alpha_1 = -0.106 \cdot 10^{-6}/^{\circ}\text{C}, \quad \alpha_{12} = -25.8 \cdot 10^{-6}/^{\circ}\text{C},$$

ფენის სისქე = 0.100 მმ; გამყარების ტემპერატურა = 177°C

შემოთავაზებულ მასალას აქვს უფრო მაღალი გამყარების ტემპერატურა ადრე განხილულთან შედარებით და უფრო ხისტია როგორც ბოჭკოების მიმართულებით, აგრეთვე მათთან პერპენდიკულარულად. მოსალოდნელია, რომ ეს გარემოებები მოახდენენ გავლენას სიმრუდის ტემპერატურაზე და ფირფიტის გვერდის სიგრძეზე დამოკიდებულებაზე. ზემოთ აღნიშნული თვისებების მქონე ფენებით შექმნილ კომპოზიტებს ვუწოდებთ B ტიპის კომპოზიტებს. ეს თვისებები ტიპური მასალისათვის ბოჭკოებით T300 და შემკვრელით 5208 ბოჭკოების 60% მოცულობითი შემცველობით [32].



ნახ. 1.7. სიმრუდის დამოკიდებულება გვერდის სიგრძეზე კვადრატული ფენოვანი ფირფიტებისათვის დაწყობით $(0_4/90_4)_T$ B ტიპის კომპოზიტისათვის ოთახის ტემპერატურაზე


სიმრუდის დამოკიდებულება გვერდის სიგრძეზე კვადრატული ფენოვანი ფირფიტებისათვის დაწყობით $(0_4/90_4)_T$ B ტიპის კომპოზიტისათვის ოთახის ტემპერატურაზე მოყვანილია ნახ. 1.7. ნაჩვენებია გამრუდება მხოლოდ ღერძის x_1 მიმართულებით, რადგან დამოკიდებულება ღერძის x_2 მიმართულებით, როგორც ნახ. 1.3-ზე, სიმეტრიულია. როგორც ჩანს ნახ. 1.3 და 1.7 შედარებით, გადასვლა A მასალისაგან B-ზე არ იწვევს კონფიგურაციის მნიშვნელოვან ცვლილებებს. ძირითადი განსხვავებები ეხება დიდი ზომის ფენოვანი ფირფიტები სიმრუდის

სიდიდეს და ფირფიტის გვერდის სიგრძეს, რომელიც შეესაბამება განშტოების წერტილს. A ტიპის მასალასთან შედარებით გამრუდების სიდიდე ფირფიტის გვერდის მოცემული სიგრძეზე ოდნავ მეტია, ხოლო გვერდის სიგრძე, რომელიც შეესაბამება განშტოების წერტილს, ოდნავ ნაკლებია. მდგრადობის ანალიზი იძლევა იგივე შედეგებს, როგორც A მასალის ფირფიტისათვის.

ნახ. 1.7 ნაჩვენებია ფენოვანი ფირფიტის სიმრუდე ზომებით 60×60 მმ. ეს მნიშვნელობა აღებულია ნაშრომიდან [54], რომელშიც შეისწავლება კომპოზიციური მასალის T300 ბოჭკოების და 5208 შემკვრელის საფუძველზე გამყარების ტემპერატურის საკითხი. როგორც ჩანს, თეორია დამაკმაყოფილებლად აღწერს ექსპერიმენტული შედეგებს სიმრუდის სიდიდის შეფასებით. თუმცა, მართლაც მნიშვნელოვანია, რომ ფირფიტის როგორც ნაწინასწარმეტყველი, ისე რეალური კონფიგურაციები უნაგირაა.

1.5.2. ფენოვანი ფირფიტის სისქის გავლენა დანარჩენ პარამეტრებზე

ნახ. 1.8 ნაჩვენებია კომპოზიტისაგან დაწყობით $(0_4/90_4)_T$ ლერძის x_1 მიმართულებით ფენოვანი ფირფიტებისათვის სიმრუდის დამოკიდებულება გვერდის სიგრძეზე. კომპოზიტური მასალა მიეკუთვნება B ტიპს [58]. ნახ. 7 და 8 განლაგებული დამოკიდებულებების შედარება, იძლევა საშუალებას შეფასდეს სისქის გავლენა, რადგან ფირფიტების დანარჩენი პარამეტრები იდენტურია.



ნახ. 1.8. სიმრუდის დამოკიდებულება გვერდის სიგრძეზე L , კვადრატული ფენოვანი ფირფიტებისათვის დაწყობით $(0_2/90_2)_T$ B ტიპის კომპოზიტისაგან ოთახის ტემპერატურაზე

ცხადია ორი განსხვავება. პირველი, უფრო თხელ ფირფიტას აქვს ორჯერ მეტი სიმრუდე. ეს ნათლად ჩანს თუნდაც სიდიდეების შედარებით, რომლებიც დაკავშირებულია ფირფიტებთან ზომებით 150×150 მმ კომპოზიტების დალაგებით $(0_2/90_2)_T$ და $(0_4/90_4)_T$. მეორე განსხვავება წარმოადგენს განშტოების წერტილის ადგილმდებარეობას. ფენოვან ფირფიტებთან კომპოზიტისგან დაწყობით $(0_2/90_2)_T$ დაკავშირებული ამონახსნების განშტოება ხდება, როდესაც ფირფიტის გვერდის სიგრძე აღწევს 36 მმ. უფრო სქელ ფენოვან ფირფიტას უნდა ჰქონდეს ორჯერ მეტი წრფივი ზომები იმისათვის, რომ უნაგირა კონფიგურაცია შეიცვალოს ცილინდრულით. თუ ძირითად განტოლებებს ჩავწერთ უგანზომილებო სახით, შეიძლება ვაჩვენოთ, რომ ფენოვანი ფირფიტებისათვის კომპოზიტებისაგან დალაგებით $(0_n/90_n)_T$, $n=1, 2, \dots$, გადასვლა უნაგირა კონფიგურაციიდან ცილინდრულზე ხდება სიდიდის $L/h = 72$ დროს.


ზოგიერთი ფენოვანი ფირფიტებისათვის ხელმისაწვდომი ექსპერიმენტული შედეგები, ასევე წარმოდგენილია ნახ. 1.8. ერთი ექსპერიმენტული წერტილი შეესაბამება ფირფიტის კონფიგურაციას ზომებით 100×100 მმ, მეორე კი წარმოადგენს 11 ფირფიტის ზომებით 150×150 მმ გაზომვების საშუალოს. 11 ნიმუშის მონაცემების გაფანტვა ნაჩვენებია ვერტიკალური ზოლით. ყველა

გამოცდილ ნიმუშ ჰქონდათ ცილინდრული კონფიგურაცია, რომელიც იყო ნაწინასწარმეტყველი.


1.5.3. ფენოვანი ფირფიტის გვერდების სიგრძეების შეფარდების გავლენა მის კონფიგურაციაზე

აქამდე განიხილებოდა მხოლოდ კვადრატული ფირფიტები განიხილება, ე.ი., რომლებსაც აქვთ გვერდების თანაბარი სიგრძეები ღერძების x_1 და x_2 -ის მიმართულებით. ფირფიტის გვერდების სიგრძეების შეფარდების გავლენა მის კონფიგურაციაზე ილუსტრირებულია ნახ. 1.9–1.12 [2]. ფარდობა L_2/L_1 განისაზღვრება როგორც გვერდების სიგრძეების შეფარდება ღერძების x_2 და x_1 მიმართულებით. a და b სიდიდეების ცვლილებისას სიმეტრიის არსებობის გამო გვერდის სიგრძესთან ჩვენ ვაჩვენებთ მხოლოდ a სიდიდის ცვლილებას. გარდა ამისა, გამოვიყენოთ გვერდის სიგრძე L_1 ღერძის x_1 მიმართულებით ძირითადი ცვლადის სახით.

 პულსაცია, რაც კარგად ჩანს ძაბვების სათანადო მრუდებზე, ამასთან მეორე სახის
 სასზღვრო პირობის დროს, ადგილი აქვს ძაბვების ზრდის პროცესს,
 პულსაციასთან ერთად.




ფიგურა 2.26. გადაადგილებები
 P=40 კვ.-ის დროს, მასალა
 ნახშირბადბიჭკო -
 HEXCEL_AS4C,




3.2. თვითფმრინავის ფრთის ამოცანა რიცხვითი ამოხსნისათვის დისკრეტულ განსაკუთრებულობათა მეთოდით

განვიხილოთ იზოლირებული პროფილის სიბრტყის პარალელური გარსდენა [86]. თვითონ პროფილი ჩავთვალოთ უძრავი. პროფილის ქვეშ ვიგულისხმობთ ცილინდრული ზედაპირი, რომელიც მიიღება O_z ღერძის პარალელური ბრუნვით მიმართული O_{xy} სიბრტყის პარალელურად (ფიგურა 2.27) რადგანაც შეშფოთებული გამრბენი ნაკადის პარამეტრები არ არის დამოკიდებული Z პარამეტრზე, ამიტომ პროფილს შემდეგში ყოველთვის გამივსახავთ O_{xy} სიბრტყეზე მხოლოდ L წირით [86] თუ L წირი გახსნილი მარტივი კონტურია (ფიგურა 2.27.) მაშინ პროფილს უწოდებენ თხელს.



ფიგურა 2.27



ფიგურა 2.28

თუ L წირი მარტივი, შეკრული, უბან-უბან გლუვი კონტურია (ფიგურა.2.28) მაშინ უწოდებენ სივრცითს.

როგორც ცნობილია, ცირკულაციური გარსდენის დროს, $y(x)$ ინტენსიობის განაწილების მიმართ L-ზე, თხელი პროფილისათვის, მიიღება შემდეგი სახის პირველი გვარის სინგულარული ინტეგრალური განტოლება.

$$\frac{1}{2\pi} \int_{-1}^{+1} \frac{y(t)}{t_0} dt + \frac{1}{2\pi} \int_{-1}^{+1} k(t_0, t) y(t) dt = f(t_0), t_0 \in [-1, +1] \quad (27)$$

სადაც $k(t_0, t)$, $f(t)$ L-ზე მოცემულია ცნობილი ფუნქციები, ხოლო $L=ab$ გლუვი, გახსნილი კონტურია, რომელიც მოცემულია პარამეტრული სახით

$$x = x(t), y = y(t), t \in [-1, +1]$$

[86] -ში ამ ამოცანის რიცხვითი ამოსხნისათვის გამოიყენება კლასიკური დისკრეტულ განსაკუთრებულობათა მეთოდი. მაგრამ როგორც აღვნიშნეთ ამ მეთოდს არ გააჩნია სიზუსტის მაღალი რიგი, ამასთან ზუსტ და მიახლოებით ამოსნას შორის შეფასება მიიღება, მხოლოდ $[-1+\epsilon]$ $[1+\epsilon]$ შუალედში და ინტეგრირების წირის ბოლოებში ამ მეთოდით შეუძლებელია შეფასების მიღება, მეორის მხრივ, სწორედ ამ ბოლოებშია არსებითი ამონასხნებზე ინფორმაციის მიღება. ამიტომ ჩვენ ამ ამოცანას ვხსნით კუბლაშვილის მიერ აგებული ალგორითმით, [83] რომელსაც გააჩნია სიზუსტის უფრო მაღალი რიგი და

შესაბამისი შეფასება, სამართლიანია თანაბრად მთელ ჩაკეტილ წირზე, ბოლოების ჩათვლით.

L თხელი პროფილის მდორე გარსდენის დროს (ცირკულაციური ამოცანა) უნდა ავიღოთ (28)ის ამოხსნა, რომელიც ნულის ტოლი ხდება L წირის ხ ბოლოზე. ასეთი ამოხსნა ერთადერთია და აქვს შემდეგი სახე [79].

$$y(t) = \sqrt{\frac{1-t}{1+t}} \varphi(t), t \in [-1, +1]$$

სადაც $\varphi(t)$ ფუნქციას არ გააჩნია განსაკუთრებულობა L წირზე.

გადავწეროთ (28) განტოლება მისი ექვივალენტური ფორმით

$$\frac{1}{2\pi} \int_{-1}^{+1} \frac{1-t}{1+t} \frac{\varphi(t) dt}{t-t_0} + \frac{1}{2\pi} \int_{-1}^{+1} \frac{1-t}{1+t} k(t_0) \varphi(t) dt = f(t_0), t_0 \in L \equiv t_0[-1, +1] \quad (28)$$

მახასიათებელი ნაწილის შებრუნებით მოცემული განტოლება შეიძლება

$$\begin{aligned} \varphi(t_0) + \frac{1}{2\pi} \int_{-1}^{+1} \frac{1-t}{1+t} \left[\frac{1}{2\pi} \int_{-1}^{+1} \frac{1+t}{1-t} \frac{k(t_1, t)}{t_1 - t_0} \right] \varphi(t) dt \\ = \frac{1}{2\pi} \int_{-1}^{+1} \frac{1+t}{1-t} \frac{f(t)}{t - t_0} dt \end{aligned} \quad (29)$$

მივიყვანოთ სახეზე [79].

(29) განტოლება შევცვალოთ მიახლოებითი ალგორითმით, [83] მაშინ $\varphi(t_{vj})$ -ს მიმართ $\{t_{vj}\} \{v=1, 2, \dots, n; j=1, 2, \dots, m\}$ წერტილებში მივიღებთ წრფივ განტოლებათა სისტემას. უფრო დაწვრილებით ამ განტოლებას ექნება შემდეგი სახე:

$$\varphi(t_{vj}) + \sum_{i=1}^n \sum_{s=1}^m q_{is} A_n(t_{is}, t_{vj}) \varphi_n(t_{is}) = g(t_{vj}) \quad (30)$$

$$A_n(t_{is}, t_{vj}) = \left\{ \left[1 + \sum_{\sigma=1}^n \sum_{\substack{k=1 \\ k \neq j}}^m \frac{p_{\sigma k}}{t_{\sigma k} - t_{vj}} + \sum_{\substack{k=1 \\ k \neq j}}^m \frac{p_{vk}}{t_{vk} - t_{vj}} \right. \right. \\ \left. \left. - p_{vj} \sum_{\substack{k=1 \\ k \neq j}}^m d_{vk}(t_{vj}) \right] k(t_{vj}, t_{is}) - \sum_{\sigma=1}^n \sum_{\substack{k=1 \\ k \neq j}}^m \frac{p_{\sigma k}}{t_{\sigma k} - t_{vj}} k(t_{\sigma k}, t_{is}) \right. \\ \left. - \sum_{\substack{k=1 \\ k \neq j}}^m \frac{p_{vk}}{t_{vk} - t_{vj}} k(t_{vk}, t_{is}) \right. \\ \left. + p_{vj} \sum_{\substack{k=1 \\ k \neq j}}^m d_{vk}(t_{vj}) k(t_{vk}, t_{is}) \right\}, \quad (31)$$

$$g_n(t_{vj}) = \left\{ \left[1 + \sum_{\sigma=1}^n \sum_{\substack{k=1 \\ k \neq j}}^m \frac{p_{\sigma k}}{t_{\sigma k} - t_{vj}} + \sum_{\substack{k=1 \\ k \neq j}}^m \frac{p_{vk}}{t_{vk} - t_{vj}} \right. \right. \\ \left. \left. - p_{vj} \sum_{\substack{k=1 \\ k \neq j}}^m d_{vk}(t_{vj}) \right] f(t_{vj}) - \sum_{\sigma=1}^n \sum_{\substack{k=1 \\ k \neq j}}^m \frac{p_{\sigma k}}{t_{\sigma k} - t_{vj}} f(t_{\sigma k}) \right. \\ \left. - \sum_{\substack{k=1 \\ k \neq j}}^m \frac{p_{vk}}{t_{vk} - t_{vj}} f(t_{vk}) + p_{vj} \sum_{\substack{k=1 \\ k \neq j}}^m d_{vk}(t_{vj}) f(t_{vk}) \right\} \quad (32)$$

(v=1.2...n; j=1.2...m)

$$p_{\sigma k} = \begin{cases} p_{\sigma k}, k = 2, 3, \dots, m-1; \sigma = 1, 2 \dots n \\ p_{\sigma 1} + p_{\sigma-1 m}; k = 1; \sigma 1, 2 \dots n \end{cases}$$


$$d_{vk} = \frac{\prod_{\substack{j=1 \\ j_0 \neq k; j}}^m (t_{vj} - t_{vj})}{\prod_{\substack{j=1 \\ j_0 \neq k}}^m (t_{vj} - t_{vj})} \quad (33)$$

$$p_{\sigma k} = \frac{1}{2\pi} \int_{\tau_\sigma}^{\tau_{\sigma+1}} \sqrt{\frac{1-t}{1+t}} \prod_{\substack{j=1 \\ j \neq k}}^m \frac{(t - t_{\sigma j})}{(t_{\sigma k} - t_{vj})} dt$$

$$p_{is} = \frac{1}{2\pi} \int_{\tau_i}^{\tau_{i+1}} \sqrt{\frac{1+t}{1-t}} \prod_{\substack{j=1 \\ j \neq i}}^m \frac{(t - t_{ij})}{(t_{is} - t_{ij})} dt$$

როგორც აღვნიშნეთ როცა $f, k \in H_a^{(r)}(L) (\frac{1}{2} < a \leq 1)$ და (27) განტოლებას აქვს ერთადერთი ამონახსნი, მაშნ (30) სისტემა ცალსახად ამოხსნადია და ზუსტ და მიახლოებით ამონახსებს შორის ადგილი აქვს შემდეგ შეფასებას $O(\ln n / n^{r+\alpha+\beta+1/2}) (\frac{1}{2} < a \leq 1)$.

ჩვენ ჩავატარეთ რიცხვითი ექპერიმენტი თხელი პროფილის ცირკულარული გარსდენის დროს, რომელიც განლაგებულია დედამიწასთან [86], ამასთან პროფილი განლაგებულია $y=0$ წრფეზე და აღიწერება $y=-H$ წირით (ფიგურა 2.29.)



ფიგურა 2.29

ამ დროს პროფილის $y(x)$ ინტენსივობის მიმართ მიიღება განტოლება

$$\frac{1}{2\pi} \int_{-1}^{+1} \gamma(t) \left[\frac{1}{t-t_0} + \frac{t_0-t}{(t-t_0)^2 + 4H} \right] dt = \dot{V}(t_0).$$

სადაც $\dot{V}(t_0)$ მოძრავი ნაკადის სიჩქარეა. ალგორითმის რეალიზებისთვის შევადგინოთ პროგრამა mathematica 4.1 სიმბოლურ ენაზე.[83]

ქვემოთ (ცხრილები 2.7., 2.8., 2.9.) მოყვანილია $\varphi(x)$ -ის გამოთვლის მნიშვნელობები შემდეგი მონაცემებით.

ცხრილი 2.7. $n=3$ $m=2$ $H=1$ $\dot{V} = 2$ (ზუსტი ამონახსნია $\varphi = 2$)

t_{vj}	-1	-0,3333	0,3333	1
$\varphi(t_{vj})$	2,02	2,00	2,00	1,99

ცხრილი 2.8. $n=3$ $m=4$ $H=1$ $\dot{V} = 2$

t_{vj}	-1	-0,78	-0,56	-0,33	-0,11	-0,11	0,33	0,56	0,78	1
$\varphi(t_{vj})$	2,02	2,02	2,01	2,01	2,01	2,00	1,99	1,99	1,99	1,99

ცხრილი 2.9. $n=5$ $m=2$ $H=1$ $\dot{V} = 2$

t_{vj}	-1	-0,6	-0,2	0,2	0,6	1
$\varphi(t_{vj})$	2,02	2,01	2,01	2,00	2,00	1,99

როგორც ამ ცხრილებიდან ჩანს, ჩვენს მიერ აგებული ალგორითმი $n=3, n=5$ -ისთვის კი აღწევს საკმაოდ მაღალ სიზუსტეს.

3.3. თხელი პროფილის ამოცანის რიცხვითი ამოხსნა მომატებული რიგის სიზუსტით დისკრეტულ განსაკუთრებულობათა მეთოდით

როგორც აღვნიშნეთ წინა პარაგრაფში აღნიშნული ამოცანა მიიყვანება შემდეგი სახის I გვარის სინგულარული ინტეგრალურ განტოლებაზე

$$\frac{1}{2\pi} \int_{-1}^{+1} \sqrt{\frac{1-t}{1+t}} \frac{\varphi(t) dt}{t-t_0} + \frac{1}{2\pi} \int_{-1}^{+1} \sqrt{\frac{1-t}{1+t}} k(t_0, t) \varphi(t) dt = f(t_0), \quad (34)$$

სადაც $k(t_0, t), f(t_0)$ გლუვ გახსნილ $L=ab$ კონტურზე ცნობილი H კლასის ფუნქციებია.

ვისარგებლოდ იმით, რომ $\frac{1}{2\pi i} \int_{-1}^{+1} \sqrt{\frac{1-t}{1+t}} \frac{dt}{t-t_0} = \frac{1}{2}$ და (34) ინტეგრალური

განტოლება გადავწეროთ შემდეგი სახით:

$$\varphi(t_0) + \frac{1}{2\pi} \int_{-1}^{+1} \sqrt{\frac{1-t}{1+t}} \frac{\varphi(t) - \varphi(t_0)}{t-(t_0)} + \frac{1}{2\pi} \int_{-1}^{+1} \sqrt{\frac{1-t}{1+t}} k(t_0, t) \varphi(t) dt = f(t_0), \quad (35)$$

ნებისმიერი ნატურალური n -სთვის $[-1; +1]$ შუალედი დავყოთ $2n$ ტოლ ნაწილად, წერტილებით:

$$s_\sigma = -1 + \frac{2}{2n} (\sigma - 1) \quad (\sigma = 1.2 \dots 2n + 1)$$

და აღვნიშნოთ

$$\tau_\sigma = t(s_\sigma) \quad (\sigma = 1.2 \dots 2n + 1)$$

შევცვალოთ

$$\frac{1}{\pi} \int_{-1}^{+1} \sqrt{\frac{1-t}{1+t}} \frac{\varphi(t) - \varphi(t_0)}{t-(t_0)} dt$$

აგებული მანპროქსიმირებული გამოსახულებით, $D_n^{(\frac{1}{2}; -\frac{1}{2})} \left[\bar{S}^{(\frac{1}{2}; -\frac{1}{2})} \varphi \right]; t_o$, ხოლო

რეგულარული $\frac{1}{2\pi} \int_{-1}^{+1} \sqrt{\frac{1-t}{1+t}} k(t_o, t) \varphi(t) dt$ ნაწილი ჩვეულებრივი კვადრატული

ფორმიტ. მივიღებთ (34)-ის შესაბამის მიახლოებით განტოლებას:

$$\varphi(t_o) + D_n^{(\frac{1}{2}; -\frac{1}{2})} \left[\bar{S}^{(\frac{1}{2}; -\frac{1}{2})} \varphi \right]; t_o + (K_n \varphi)(t_o) = 2f(t_o) \quad (36)$$

(36) მიახლოებით განტოლებაში პირველ შემთხვევაში ვიგულისხმობთ, რომ

საინტერპოლაციო კვანძით წერტილებია კენტინდექსიანი $\{\tau_{2\sigma-1}\}$

$(\sigma = 1.2 \dots 2n + 1)$ წერტილები, ხოლო t_o პარამეტრის მნიშვნელობად ე.წ.

სათვლელ წერტილებად ავიღოთ შემდეგი პოლინომის ფესვები:

$$p_1 \prod_{j=2}^{n+1} (t_j - t) + \sum_{\sigma=1}^{n-1} (p_{2\sigma-1} + p_{1_{2\sigma-1}}) \frac{\prod_{j=2}^{n+1} (\tau_{2j} - t)}{\tau_{2j+1} - t} + p_{1_{2n-1}} \prod_{j=2}^n (\tau_{\sigma-2j-1} - t) - \left(\prod_{j=1}^{n+1} (\tau_{2j-1} - t) \right) = 0$$

როგორც ექსპერიმენტალურმა გამოთვლებმა აჩვენა აღნიშნული პოლინომების ფესვები ემთხვევა

$$\tau_{2j} = t_{0j} = \frac{\tau_{2j-1} + \tau_{2j+1}}{2} \quad (j = 1, 2 \dots n - 1)$$

წერტილებს. ე.ი. $\{\tau_\sigma\}$ $(\sigma = 1.2 \dots 2n + 1)$ დაყოფის ლუწინდექსიან

წერტილებს, გარდა $t_{0n} = \tau_{2n}$ წერტილთან. კერძოდ $|\tau_{2n+1} - t^*| = O\left(\frac{1}{2}\right)$.

აღნიშნულიდან გამომდინარე სათვლელ t_o წერტილებად შეგვიძლია ავიღოთ

წერტილთა $\{t_{01}, t_{02}, t_{03} \dots t_{0n-1}, t^*\}$ სისტემა.

შემდეგ, (36) მიახლოებით განტოლებაში ვიგულისხმობ, რომ

საინტერპოლაციო კვანძით წერტილებად აღებულია $[\tau_{2j}, t^*]$ $(j = 1.2 \dots n - 1)$

$$\left[1 - \frac{p_1 \left(\frac{1}{2^i} - \frac{1}{2}\right)}{\tau_1 + \tau_{2j}} \sum_{\sigma=1}^{n-1} \frac{p_{1_{2\sigma-1}} \left(\frac{1}{2^i} - \frac{1}{2}\right) + p_{1_{2\sigma+1}} \left(\frac{1}{2^i} - \frac{1}{2}\right)}{\tau_{2\sigma+1} + \tau_{2j}} - \frac{p_{1_{2\sigma-1}} \left(\frac{1}{2^i} - \frac{1}{2}\right)}{\tau_{2\sigma+1} - \tau_{2j}} \right] \varphi(\tau_{2j}) + \frac{p_1 \left(\frac{1}{2^i} - \frac{1}{2}\right)}{\tau_1 - \tau_{2j}} \varphi(\tau_j) +$$

$$\sum_{\sigma=1}^{n-1} \frac{p_{1_{2\sigma-1}} \left(\frac{1}{2^i} - \frac{1}{2}\right) + p_{1_{2\sigma+1}} \left(\frac{1}{2^i} - \frac{1}{2}\right)}{\tau_{2\sigma+1} - \tau_{2j}} \varphi(\tau_{2\sigma+1}) + \frac{p_{2n-1} \left(\frac{1}{2^i} - \frac{1}{2}\right)}{\tau_{2n+1} - \tau_{2j}} \varphi(\tau_{2\sigma+1}) = f(\tau_{2\sigma}) \quad j = \overline{1, n}$$

$$\left[1 - \frac{p_2 \left(\frac{1}{2^i} - \frac{1}{2}\right)}{\tau_2 + \tau_{2j-1}} - \sum_{\sigma=1}^{n-1} \frac{p_{2\sigma} \left(\frac{1}{2^i} - \frac{1}{2}\right) - p_{2\sigma+2} \left(\frac{1}{2^i} - \frac{1}{2}\right)}{\tau_{2\sigma+2} - \tau_{2j-1}} - \frac{p_{2n-2} \left(\frac{1}{2^i} - \frac{1}{2}\right)}{\tau_{2n} - \tau_{2j-1}} \right] \varphi(\tau_{2j-1}) + \frac{p_2 \left(\frac{1}{2^i} - \frac{1}{2}\right)}{\tau_2 + \tau_{2j-1}} \varphi(\tau_2)$$

$$+ \sum_{\sigma=1}^{n-1} \frac{p_{2\sigma} \left(\frac{1}{2^i} - \frac{1}{2}\right) - p_{2\sigma+2} \left(\frac{1}{2^i} - \frac{1}{2}\right)}{\tau_{2\sigma+2} - \tau_{2j-1}} \varphi(\tau_{2\sigma+2}) + \frac{p_{1_{2n-2}} \left(\frac{1}{2^i} - \frac{1}{2}\right)}{\tau_{2n} - \tau_{2j-1}} \varphi(\tau_{2\sigma})$$

$$= f(\tau_{2j-1}), \quad j = \overline{1, n+1}$$

სადაც

$$p_{1_{2\sigma-1}} \left(\frac{1}{2^i} - \frac{1}{2}\right) = \frac{1}{\pi i} \int_{\tau_{2\sigma-1} \tau_{2\sigma+1}} \sqrt{\frac{t-a}{t-b}} \frac{(\tau_{2\sigma+1} - t)}{(\tau_{2\sigma+1} \tau_{2\sigma-1})} dt,$$

$$p_{2\sigma+1} \left(\frac{1}{2^i} - \frac{1}{2}\right) = \frac{1}{\pi i} \int_{\tau_{2\sigma-1} \tau_{2\sigma+1}} \sqrt{\frac{t-a}{t-b}} \frac{(t - \tau_{2\sigma-1})}{\tau_{2\sigma+1} - \tau_{2\sigma-1}} dt$$

$$p_{1_{2\sigma}} \left(\frac{1}{2^i} - \frac{1}{2}\right) = \frac{1}{\pi i} \int_{\tau_{2\sigma} \tau_{2\sigma+2}} \sqrt{\frac{t-a}{t-b}} \frac{(\tau_{2\sigma+2} - t)}{(\tau_{2\sigma+2} - \tau_{2\sigma})} dt$$


$$p_{1_{2\sigma+2}} \left(\frac{1}{2^i} - \frac{1}{2}\right) = \frac{1}{\pi i} \int_{\tau_{2\sigma} \tau_{2\sigma+1}} \sqrt{\frac{t-a}{t-b}} \frac{(t - \tau_{2\sigma+1})}{(\tau_{2\sigma+1} - \tau_{2\sigma})} dt$$

($\sigma=1, 2, \dots, n-1$).


წერტილები ხოლო სათვლელ წერტილებას $\{\tau_{2j-1}\}$ ($j = 1, 2, \dots, n+1$). მაშინ (36) მიახლოებითი განტოლებიდან მიიღება ორი დამოუკიდებელი წრფივ განტოლებათა სისტემა $\{\varphi(\tau_1), \varphi(\tau_2) \dots \varphi(\tau_{2n+1})\}$ უცნობების მიმართ. მიღებული სისტემას ექნება შემდეგი სახე:

ამ სისტემის ამოხსნით მივიღებთ (35) განტოლების ამონახსნს $\{\tau_{2j-1}\} (j = 1, 2, \dots, 2n + 1)$ წერტილებში, შემდეგ ინტერპოლაციით შეგვიძლია აღვადგინოთ უწყვეტი ამონახსნი.

შენიშვნა 1. ვთქვათეხლა თხელი L პროფილი არის უბან-უბან გლუვი (ფიგურა 2.30)



ფიგურა 2.30.



ფიგურა 2.31.

ფიგურა 2.30 გახსნილი მარტივი უბან-უბან გლუვი პროფილის სტაციონალური გარსდენა დამართი კუთხით (ფიგურა 2.31.) და ვთქვათ K წერტილი არის ერთ-ერთი კუთხის წერტილი. დავუშვათ, რომ ლოკალურად ეს კუთხე არის წრფივი და ამ კუთხის უდიდესი მნიშვნელობებია β , $\pi < \beta < 2\pi$. ასეთ შემთხვევაში ცნობილია [86], რომ დისკრეტულ $\gamma(M)$ ინტენსიობას K წერტილში აქვს $\rho^{\frac{\pi}{\beta}-1}$ ტიპის განსაკუთრებულობა, სადაც ρ -მანძილია, M წერტილიდან K წერტილამდე. ამასთან (35) განტოლებაში t_0 არ ემთხვევა იმ მნიშვნელობებს, რომლებიც შეესაბამება L წირის კვანძებსა და ბოლოებს. $f(t_0)$ ფუნქციას აქვს პირველი გვარის წყვეტის წერტილი, ხოლო $K_1(t_0, t)$ გულს განტოლებაში ამ წერტილებში აქვს არაინტეგრებადი განსაკუთრებულობა. ასეთ შემთხვევაში ამ განტოლებების ამოსახსნელად უნდა გამოვიყენოთ ხხხ ჩვენს მიერ აგებულ სქემები. რომლებიც ითვალისწინებენ K_1, f ფუნქციის აღნიშნულ თვისებებს.

შენიშვნა 2. ვთქვათ L წარმოადგენს Oy და Ox ღერძებს $[0,1]$ მონაკვეთების გაერთიანებას. (ფიგურა 29) ე.ი. $x=0, y=-t, t \in [-1,0]$ და $x=t, y=0, t \in [0,1]$. ვთქვათ $\bar{U}_0 = \bar{i}$ მაშინ $f(t_0) = \bar{U}_0 n_{M_0}^- = 1, t_0 \in [-1,0]$ და $f(t_0) = 0, t_0 \in [0,1]$. განვიხილოთ $K(t_0, t)$ და $K_1(t_0, t)$ გულები კოორდინატთა სათავის მიდამოში, მაშინ $t_0 \in [1,0]$, ხოლო $t_0 \in [0,1]$ მივიღებთ. რომ

$$K_1(t_0, t) = \frac{-t_0(t_0 - t)}{t_0^2 + t^2},$$

$$K_1(t_0, t) = \left(\frac{-t_0}{t_0^2 + t^2} - \frac{1}{t_0 - t} \right) \frac{1}{2\pi}$$

ეხლა ჩანს, რომ $K(t_0, t)$ ფუნქცია შემოსაზღვრულია $O(0,0)$ წერტილის მიდამოში, მაგრამ არ არის უწყვეტი, ხოლო $K_1(t_0, t)$ არაინტეგრებადია ამ წერტილის მიდამოში. აქაც ბუნებრივია უნდა გამოვიყენოთ მათემატიკური მოდელით აგებული ანგორითმები. ბოლოს განვიხილოთ პროფილების „ჭიშკარი“ $[-b, b] * y_k$ მონაკვეთის სისტემისა, სადაც $Y_k = kl, k=0 \pm 1, \pm 2, \dots, L$ ფიქსირებული დამატებითი რიცხვია, ხოლო $[-b, b]$ არის Ox ღერძის მონაკვეთი.

ვთქვათ გამრბენი ნაკადი შემოუსაზღვრელია, რადგანაც ამ დროს ნებისმიერი პროფილის გარსდენის პირობა ერთიდაიგივეა, პროფილის ყველა ფენაზე ინტენსიობა დამოკიდებულია x კოორდინატზე და არ არის დამოკიდებული Y_k -ზე, $k=0 \pm 1, \pm 2, \dots$. ამიტომ გაუქონავობის პირობა საკმარისია შესრულდეს ერთ-ერთ პროფილზე, მაგალითად Ox ღერძე განლაგებულ პროფილზე, მაშინ 0-ოვანი პროფილის გაუმტარებლობას ექნება სახე:

$$\frac{1}{2\pi} \sum_{k=-\infty}^{\infty} \int_{-b}^{+b} \sqrt{\frac{x_0 - x}{(x_0 - x)^2 + y_k^2}} y(x) dx = f(x_0) \quad x_0 \in (-b, b) \quad (37)$$

ვისარგებლოდ კომპლექსური პოტენციალის ცნებით, შეიძლება დავწეროთ

$$\sum_{k=-\infty}^{\infty} \frac{1}{2\pi} \frac{x_0 - x}{(x_0 - x)^2 + y_k^2} = \frac{1}{2l} \operatorname{cth} \frac{\pi}{l} (x_0 - x) \quad (38)$$

ამიტომ (37) განტოლება შეიძლება ჩავწეროთ შემდეგი სახით:

$$\frac{1}{2\pi} \int_{-b}^{+b} \frac{\gamma(x) dx}{x_0 - x} + \frac{1}{2l} \int_{-b}^b K(x_0, x) \gamma(x) dx = f(x_0) \quad (39)$$

სადაც

$$K(x_0, x) = \frac{(x_0 - x) \operatorname{cth} \frac{\pi}{l} (x_0 - x) - \frac{1}{\pi}}{(x_0 - x)}$$

არის ანალიზური ფუნქციაა. ამ განტოლებისათვის, ასევე შეგვიძლია ვეძებოთ ამონახსნი, რომელიც შეესაბამება ცირკულაციურ და არაცირკულაციურ გასდენას.

3.4. სასრულ ელემენტთა მეთოდის გამოყენებით კომპოზიტებისაგან შემდგარი კონსტრუქციის გაანგარიშება

ტექნიკის იმ დარგში, სადაც პირველად იქნა დასახული (წარმოებული) მრავალფენოვანი, კერძოდ სამფენოვანი გარსების ამოცანის გაანგარიშება და სადაც ეს კონსტრუქციები პირველად იქნა გამოყენებული იყო ავიაცია. მეტნაკლებად კარგი შედეგების შემდეგ იყო ტექნოლოგიური და საწარმოო პრობლემების პერიოდი, რომლის გამო ამ კონსტრუქციების მიმართ ინტერესმა განიცადა გარკვეული მერყეობა. ამჟამად ეს კონსტრუქციები ფართოდ და ეფექტურად გამოიყენება ავიაციაში, ათეულობით ტიპის სერიული და საცდელი თვითმფრინავების თუ სხვადასხვა დანიშნულების საფრენ აპარატებში. სადაც გაანგარიშება ხდება სასრულ ელემენტთა მეთოდით.

გაანგარიშების მეთოდები დისკრეტული ელემენტების გამოყენებით, რომლებსაც ზოგჯერ უწოდებენ სასრული ელემენტების მეთოდებს ან მატრიული გაანგარიშების მეთოდებს, მაღალსიჩქარიანი კომპიუტერების დანერგვასთან ერთად ფართო პოპულარობა მოიპოვა. ძირითადი იდეა მდებარეობს

კონსტრუქციის წარმოდგენაში დისკრეტული ელემენტების სიმრავლის სახით, რომელთა თვისებების მიმართ გარკვეულ გამარტივებულ ვარაუდებს ითვალისწინებს. ამ მეთოდის კერძო შემთხვევაა, როდესაც კონსტრუქციის წინააღმდეგობა გაჭიმვაზე და ძვრაზე დაიყოფა, მოდელეებულია ღეროებითა და ძვრაზე მომუშავე პანელებით, ზოგჯერ მას უწოდებენ გაანგარიშებას შეყურსული პარამეტრის მეთოდით, რადგან უცნობი სიდიდეების დადგენა მოითხოვს ალგებრული განტოლებების სასრული სისტემის ამოხსნას. ბოლო ათწლეულში სწრაფად განვითარდა მეთოდები და მათი შესაბამისი საანგარიშო პროგრამები, უპირველეს ყოვლისა საავიაციო ტექნიკის გამოანგარიშების საჭიროებების დაკმაყოფილების მიზნით. თუმცა, ბოლო დრომდე, გაანგარიშებები სასრული ელემენტების მეთოდით ვითარდებოდა მხოლოდ იზოტროპული მასალებისგან დამზადებული კონსტრუქციებისათვის. კომპოზიციური მასალების მზარდი გამოყენება, რომლებსაც ახასიათებს თვისებების ანიზოტროპია, მოითხოვს კომპოზიტების თავისებურებების გათვალისწინებით სასრული ელემენტის მეთოდის შემდგომ განვითარებას.

განიხილება სასრული ელემენტების გაანგარიშების პრინციპები და ნაჩვენებია, თუ როგორ შეიძლება ამ პრინციპების გამოყენება კომპოზიტებისაგან დამზადებული კონსტრუქციების გაანგარიშებისას. ძირითადი დებულებები განიხილება ზოგადი დასმით. განსახილველი პრინციპები დაიყოფა ორ კატეგორიად: ელემენტების თეორიად და კონსტრუქციის მაიდეალიზებული ელემენტების კომბინაციის ანალიზის მეთოდებად. იდეალიზებული კონსტრუქციების ანალიზის მეთოდები დამოუკიდებელია მისი მასალის ანიზოტროპიისაგან, ხოლო ელემენტის თვისებები აუცილებლად უნდა შეესაბამებოდეს ამ ანიზოტროპიას.

უნდა აღინიშნოს, რომ აუცილებელია სასრული ელემენტის პრობლემების გადაჭრის არსებული მეთოდების გამოიჯვნა ამ მეთოდების გამოყენების შესაძლებლობებიდან. სასრული ელემენტის მეთოდების გამოყენება მოითხოვს საკმაოდ რთული კომპიუტერული პროგრამების მომზადებას. რაც უფრო რთული იქნება განსახილველი პრობლემა, მით უფრო მეტი უცნობი უნდა განისაზღვროს

წრფივი ალგებრული განტოლებების შესაბამისი რაოდენობის ამოხსნით. კომპიუტერების ოპერატიული მეხსიერების შეზღუდვებისა და მასში გამოყენებული ცვლადების რაოდენობის გათვალისწინებით, სასრულებული ელემენტის მეთოდით დიდი და რთული ამოცანების ამოხსნა გადაიქცევა უკიდურესად რთულ პრობლემად. სასრული ელემენტის მეთოდების გამოსაყენებლად, შემუშავდა მთელი რიგი გამოთვლითი სისტემები. შეგვიძლია აღვნიშნოთ აშშ-ს მთავრობის მხარდაჭერით შემუშავებული და შესაბამისად ყველაზე გავრცელებული სამი სისტემა. FORMAT სისტემა [34] შემუშავდა Douglas Aircraft Company-ს მიერ Air Force Flight Dynamics ლაბორატორიის მხარდაჭერით; MAGIC [16] სისტემა შემუშავდა Bell Aerospace ფირმის მიერ Air Force Flight Dynamics ლაბორატორიის მხარდაჭერით და NASTRAN სისტემა [32] შემუშავდა ძირითადად Computer Science Corporation-ის მიერ NASA-ს მხარდაჭერით. თითოეული ეს სისტემა შეიცავს კომპოზიტებით დამზადებული კონსტრუქციების გაანგარიშებისთვის შესაფერის ელემენტებს.

სასრული ელემენტის მეთოდების აღწერისას, ჩვეულებრივ, გამოიყენება მატრიცული ჩაწერა. ამასთან, მატრიცული აპარატის წინასწარი შესწავლის საჭიროების თავიდან ასაცილებლად გამოიყენება აღნიშვნების ტენზორული სისტემა. განტოლებები შეიძლება გაიშალოს შემოკლებული ჩაწერის ორი წესის გამოყენებით.

1. არაგანმეორებადი ინდექსები საერთოა განტოლების ყველა წევრისთვის;
2. განმეორებადი ინდექსები მიუთითებს ყველა ინდექსის მნიშვნელობებზე დაჯამებას.

ინდექსებისათვის ლათინური ანბანი გამოიყენება იმ შემთხვევაში, როდესაც მათი ცვალებადობის დიაპაზონი არ აღემატება მართკუთხა კოორდინატების რაოდენობას; ყველა სხვა შემთხვევაში ინდექსებისთვის გამოიყენება ბერძნული ანბანი.

3.5. ძირითადი განტოლებები

სასრული ელემენტების მეთოდი ემყარება დრეკადობის თეორიის ფუნდამენტურ განტოლებებს. ამ განტოლებების გამოყენებისას

კომპოზიციებისაგან დამზადებული კონსტრუქციებთან მიმართებაში, უნდა აღინიშნოს, რომ 15 განტოლებიდან 9 რჩება იგივე, იზოტროპული მასალებისგან დამზადებული კონსტრუქციების ანალიზის დროს, ე.ი. გადაადგილება და დეფორმაცია შორის კავშირის 6 განტოლებაა.

$$\varepsilon_{ij} = \frac{1}{2} \left(\frac{\partial u_i}{\partial x_j} + \frac{\partial u_j}{\partial x_i} \right) \quad (40)$$

და წონასწორობის სამი განტოლება

$$\frac{\partial \sigma_{ij}}{\partial x_j} + f_i = 0, \quad (41)$$

სადაც f_i — მოცულობითი ძალებია, რჩება უცვლელად.

ძაბვათა და დეფორმაციათა შორის კავშირის ექვსი განტოლება შეიძლება იყოს არსებითად განსხვავებული კომპოზიტებისგან დამზადებული კონსტრუქციების გაანგარიშებისას. ანიზოტროპიის ზოგად შემთხვევაში კავშირი ძაბვათა და დეფორმაციათა შორის მოცემულია ჰუკის განზოგადებული კანონის სახით:

$$\sigma_{ij} = C_{ijmn} \varepsilon_{mn} \quad (42)$$

და

$$\varepsilon_{ij} = S_{ijmn} \sigma_{mn}, \quad (43)$$

სადაც

$$C_{ijmn} = C_{j\alpha mn} = C_{ij\alpha\beta} = C_{mnij}$$

და

$$S_{ijmn} = S_{j\alpha mn} = S_{ij\alpha\beta} = S_{mnij}.$$

სამგანზომილებიანი ამოცანისა და ანიზოტროპიის ყველაზე საერთო სახის შემთხვევაში აუცილებელია 21 დამოუკიდებელი კონსტანტა C_{ijmn} .

იზოტროპული მასალის დახასიათებისას ანალოგიურ შემთხვევაში აუცილებელია მხოლოდ ორი დამოუკიდებელი სიდიდე:

$$\sigma_{11} = \frac{E}{(1+\nu)(1-2\nu)} [(1-\nu)\varepsilon_{11} + \nu\varepsilon_{22} + \nu\varepsilon_{33}]; \quad (44)$$

$$\sigma_{22} = \frac{E}{(1+\nu)(1-2\nu)} [\nu\varepsilon_{11} + (1-\nu)\varepsilon_{22} + \nu\varepsilon_{33}]; \quad (45)$$

$$\sigma_{33} = \frac{E}{(1+\nu)(1-2\nu)} [\nu\varepsilon_{11} + \nu\varepsilon_{22} + (1-\nu)\varepsilon_{33}]; \quad (46)$$

$$\sigma_{12} = \frac{E}{1+\nu} \varepsilon_{12}; \quad (47)$$

$$\sigma_{13} = \frac{E}{1+\nu} \varepsilon_{13}; \quad (48)$$

$$\sigma_{23} = \frac{E}{1+\nu} \varepsilon_{23}. \quad (49)$$

კომპოზიციებისაგან დამზადებული კონსტრუქციების უმეტესობის გამოთვლები, განსაკუთრებით რომელთა ანალიზისთვისაც მიზანშეწონილია სასრული ელემენტის მეთოდის გამოყენება, შეიძლება დაყვანილი იქნას ორგანზომილებიანი ამოცანის ამოხსნამდე. მაგალითად, ბრტყელი დაძაბული მდგომარეობის დროს

$$\sigma_{13} = \sigma_{23} = \sigma_{33} = 0 \quad (50)$$

აგრეთვე შემცირდება ექვსამდე, განსაზღვრებას დაქვემდებარებული დამოუკიდებელი მუდმივების რაოდენობა:

$$\begin{matrix} C_{1111} & C_{1112} & C_{1122} \\ & C_{1212} & C_{1222} \\ & & C_{2222} \end{matrix}$$

თუ არსებითაა C_{ijpq} ყველა ექვსივე სიდიდე, მაშინ ამგვარი შემთხვევა შეესაბამება ზოგადი ფორმის ანიზოტროპიას. ეს მიუთითებს კავშირის არსებობაზე ძვრასა და გაჭიმვას შორის. თუ C_{1112} და C_{1222} ნულის ტოლია, მაშინ ამგვარი შემთხვევა შეესაბამება ორთოტროპიას, ძვრასა და გაჭიმვას შორის კავშირის არარსებობას. ორთოტროპული ფენებისგან შემდგარი კომპოზიტისთვის, პაკეტის შესაბამისი სიხისტე შეიძლება გამოიხატოს მისი ორთოტროპული ღერძების თითოეული ფენის სიხისტის მეშვეობით:

$$C_{ijpq} = \frac{1}{t} \sum_{r=1}^N t^{(i)} a_{ri}^{(i)} a_{sj}^{(i)} a_{mp}^{(i)} C_{rsmn}^{(i)} \quad (51)$$

სადაც i — შრის ნომერია; N — შრეების საერთო რიცხვი; $t^{(i)}$ — i -ფენის სისქე; t — შრეების პაკეტის სისქე; a_{ij} — მიმართველი კოსინუსები, რომლებიც ახასიათებენ შრეების ორიენტაციას.

კოსინუსები a_{ij} , რომლებიც ახასიათებენ ფენის ღერძიდან (პირველადი)

მოზრუნებას კომპოზიტის ღერძების (მეორადი) მიმართ, მოყვანილია ცხრილში.

მიმართველი კოსინუსები დაშტრიხული და შტრიხ-პუნქტირული ღერძებს შორის

დაშტრიხული ღერძები	შტრიხ-პუნქტირული ღერძები		
	x_1	x_2	x_3
x'_1	a_{11}	a_{12}	a_{13}
x'_2	a_{21}	a_{22}	a_{23}
x'_3	a_{31}	a_{23}	a_{33}

აუცილებელია აღინიშნოს რომ ექვსიდან ოთხი დამოუკიდებელი კონსტანტას C_{ijpq} შეიძლება მიეცეს ფიზიკური ინტერპრეტაცია იუნგის მოდულის, პუასონის კოეფიციენტის და ძვრის მოდულის ტერმინებში:

$$C_{1111} = \frac{E_{11}}{(1 - \nu_{12} \nu_{21})}; \quad (52)$$

$$C_{1122} = \frac{\nu_{12} E_{22}}{(1 - \nu_{12} \nu_{21})}; \quad (53)$$

$$C_{2222} = \frac{E_{22}}{(1 - \nu_{12} \nu_{21})}; \quad (54)$$

$$C_{1212} = 2G_{12}, \quad (55)$$

$$\sigma_{11} = \frac{E}{1 - \nu^2} (\varepsilon_{11} + \nu \varepsilon_{22}); \quad (56)$$

ხოლო დანარჩენი ორი ახასიათებენ ურთიერთქმედებას ძვრასა და გაჭიმვას შორის, რაც შესაძლებელია შევადაროთ იზოტროპიის შემთხვევაში ჰუკის კანონთან დამაბული მდგომარეობისათვის:

$$\sigma_{22} = \frac{E}{1 - \nu^2} (\nu \varepsilon_{11} + \varepsilon_{22}); \quad (57)$$

$$\sigma_{12} = \frac{E}{1 + \nu} \varepsilon_{12}. \quad (58)$$

ძაბვასა და დეფორმაციებს შორის კავშირის განტოლების შედგენისას აუცილებელია მხედველობაში მივიღოთ არა მხოლოდ თითოეული ფენის თვისებები და ორიენტაცია, არამედ აგრეთვე კომპოზიტში მათი დაგების წესი.

თხელი ფირფიტებისთვის კორხჰოფ-ლავის ჰიპოტეზის გამოყენებით (სადაც z არის ფირფიტის მიმართ ნორმალური კოორდინატი)

$$\varepsilon_{ij} = \varepsilon_{ij}^0 + k_{ij}\varepsilon \quad (59)$$

და ძალებისა და მომენტების განსაზღვრით ფორმულებით

$$N_{ij} = \int_{-\frac{t}{2}}^{\frac{t}{2}} \sigma_{ij} dz; \quad (60)$$

$$M_{ij} = \int_{-\frac{t}{2}}^{\frac{t}{2}} \sigma_{ij} z dz; \quad (61)$$

$$N_{ij} = \varepsilon_{mn}^0 \int_{-\frac{t}{2}}^{\frac{t}{2}} C_{ijmn} dz + k_{mn} \int_{-\frac{t}{2}}^{\frac{t}{2}} C_{ijmn} z dz \quad (62)$$

კავშირის განტოლებები შეიძლება ჩაიწეროს როგორც:

$$M_{ij} = \varepsilon_{mn}^0 \int_{-\frac{t}{2}}^{\frac{t}{2}} C_{ijmn} z dz + k_{mn} \int_{-\frac{t}{2}}^{\frac{t}{2}} C_{ijmn} z^2 dz \quad (63)$$

$$\int_{-\frac{t}{2}}^{\frac{t}{2}} C_{ijmn} dz = 0 \quad (64)$$

იმ შემთხვევაში თუ ფენოვანი კომპოზიტის სტრუქტურა სიმეტრიულია საშუალო სიბრტყესთან მიმართ.

და მღუნავი ეფექტები შეიძლება განცალკევდეს სიბრტყეში დაძაბულ-დეფორმირებული მდგომარეობისაგან. თუ კომპოზიტი არ არის სიმეტრიული საშუალო სიბრტყის მიმართ, მაშინ ინტეგრალი არ უდრის ნულს და მხედველობაში უნდა იქნას მიღებული ურთიერთქმედება გაჭიმვასა და ღუნვას

შორის.

იმ შემთხვევაში, როდესაც მხედველობაში აგრეთვე მიიღება ტემპერატურული ზემოქმედებაც, საერთო დეფორმაცია წარმოადგენს დეფორმაციების e_{ij} ჯამს მექანიკური დატვირთვების მოქმედებისა ε_{ij} და ტემპერატურული გაფართოების $\alpha_{ij}\Delta T$ მოქმედებისგან.

$$e_{ij} = \varepsilon_{ij} + \alpha_{ij}\Delta T. \quad (65)$$

განტოლებებს (40) და (42) ამ დროს აქვთ შემდეგი სახე


$$e_{ij} = \frac{1}{2} \left(\frac{\partial u_i}{\partial x_j} + \frac{\partial u_j}{\partial x_i} \right); \quad (66)$$

$$\varepsilon_{ij} = C_{ijmn} e_{mn} - C_{ijmn} \alpha_{mn} \Delta T. \quad (67)$$

3.6. ელემენტის თვისებები

ელემენტი და მისი თვისებები ემყარება სასრული ელემენტის მეთოდს. ფრეი დე ვებეკის მიხედვით [22] შეიძლება განვასხვავოთ ელემენტების სამი ტიპის:

1. თავსებადობის პირობის დამაკმაყოფილებელი ელემენტი, მაგრამ რომელიც არ აკმაყოფილებს წონასწორობის პირობებს.
2. წონასწორობის პირობების დამაკმაყოფილებელი ელემენტი, მაგრამ რომელიც არ აკმაყოფილებს თავსებადობის პირობებს.
3. ელემენტი, რომელიც არღვევს ორივე პირობას.



ნახ. 1.16. განზოგადებული ელემენტი გადაადგილების მოცემული ველით

განიხილება ელემენტების ორი ტიპი, რომლებსაც, ჩვეულებრივ, უწოდებენ ელემენტებს მოცემული გადაადგილებებით და მოცემული დატვირთვის მქონე ელემენტებს. პირველ შემთხვევაში მოცემულია გადაადგილების ველი ელემენტის

შიგნით (ნახ. 1.16.), რაც უზრუნველყოფს ელემენტში და მის საზღვრებში დეფორმაციების თავსებადობის პირობების დაკმაყოფილებას. მეორე შემთხვევაში მოცემულია ძაბვათა ველი, რომელიც აკმაყოფილებს წონასწორობის პირობებს.

3.7. დეფორმაციების თავსებადობის პირობების დამაკმაყოფილებელი ელემენტის თეორია

ნავარაუდოა, რომ გადაადგილებები ელემენტის შიგნით შეიძლება იქნას გამოსახული გარკვეული გზით შერჩეული საკვანძო წერტილების გადაადგილებების მეშვეობით:

$$u_i = \bar{a}_{1\alpha} \bar{u}_\alpha \quad (68)$$

სადაც $i = 1, 2, 3$ სამგანზომილებიანი ამოცანის შემთხვევაში და $\alpha = 1, 2, 3, \dots, 3N$ (N არის კვანძების რაოდენობა). განტოლება (68) არის გაანგარიშებული გადაადგილებათა მეთოდით.

დეფორმაციები შეიძლება გამოისახოს გადაადგილებათა მეშვეობით შემდეგი განტოლების გამოყენებით

$$e_{ij} = \frac{1}{2} \left(\frac{\partial u_i}{\partial x_j} + \frac{\partial u_j}{\partial x_i} \right); \quad (69)$$

სადაც

$$D_{ij\alpha} = \frac{1}{2} (\bar{a}_{i\alpha,j} + \bar{a}_{j\alpha,i})$$

აქ მძიმით აღინიშნება ნაწილობრივი დიფერენცირება კოორდინატზე, რომლის ინდექსს მიჰყვება მძიმე.

ძაბვები გამოისახება გადაადგილებათა მეშვეობით ჰუკის განზოგადოებული კანონის გამოყენებით:

$$\sigma_{ij} = C_{ijmn} \varepsilon_{mn} = E_{ij\alpha} \bar{u}_\alpha \quad (70)$$

სადაც

$$E_{ij\alpha} = \frac{C_{ijmn}}{2} (\bar{a}_{m\alpha,n} + \bar{a}_{n\alpha,m})$$

შეყურსულ ძალებს P_α , რომლებიც შეესაბამებიან საკვანძო გადაადგილებებს

u_α , მოიძიებენ კასტილიანოს თეორემის გამოყენებით:

$$P_\alpha = \frac{\partial U}{\partial u_\alpha}, \quad (71)$$

სადაც U – დეფორმაციის ენერჯიაა.

$$\times \bar{u}_\alpha \frac{\bar{u}_\beta}{2} (\bar{a}_{i\beta j} + \bar{a}_{j\beta i}) dV. \quad (72)$$

$$U = \frac{1}{2} \int \sigma_{ij} e_{ij} dV = \frac{1}{2} \int \frac{C_{ijmn}}{2} (\bar{a}_{m\alpha n} + \bar{a}_{n\alpha m}) \times$$

$$U = \frac{1}{2} \int C_{ijmn} \bar{a}_{i\alpha j} \bar{a}_{m\beta n} \bar{u}_\alpha \bar{u}_\beta dV. \quad (73)$$

პირობის $C_{ijmn} = C_{ijnm} = C_{ijnm} = C_{mni j}$ გამოყენებით, ამგვარად მივიღებთ

$$P_\nu = \frac{\partial U}{\partial \bar{u}_\nu} = \bar{u}_\alpha \int C_{ijmn} \bar{a}_{i\alpha j} \bar{a}_{m\nu n} dV. \quad (74)$$

წარმოვადგინოთ გამოსახულება (74) შემდეგი სახით

$$P_\nu = C_{\gamma\alpha} \bar{u}_\alpha, \quad (75)$$

სადაც


$$C_{\gamma\alpha} = \int C_{ijmn} \bar{a}_{i\alpha j} \bar{a}_{m\gamma n} dV$$

წარმოადგენს ელემენტის სიხისტეს, რომელიც გამოსახულია მასალის თვისებების და გადაადგილებათა მიღებული განაწილების ფორმის მეშვეობით.

3.8. ზოგიერთი ელემენტის სიხისტის მატრიცები

ლიტერატურაში აღწერილია სხვადასხვა ელემენტის დიდი რაოდენობა. ამასთან, მხოლოდ ზოგიერთი მათგანში გამოიყენება კავშირის განტოლებები, რომლებიც შეესაბამება კომპოზიტებს. თუ გამოიყენება ფენოვანი კომპოზიტი სიმეტრიული დაგებით, როდესაც ღუნვა შეიძლება განვაცალკეოთ ფენების

სიბრტყეში დაძაბული მდგომარეობიდან, მაშინ არსებული ელემენტების მოდიფიცირება ორთოტროპიის ან უფრო ზოგადი ანიზოტროპიის თვისებების გათვალისწინებით არ წარმოადგენს რთულ ამოცანას. თუ სხვა ელემენტებთან ერთად გამოიყენება ერთგანზომილებიანი ელემენტები, როგორცაა ღეროები და კოჭები, მაშინ ისინი შეიძლება გამოყენებულ იქნას ყოველგვარი გარდაქმნების გარეშე.



ნახ. 1.17. ელემენტი სამკუთხა ფირფიტის სახით

ბრტყელი სამკუთხა ელემენტისათვის (ნახ. 1.17.) ტანერმა და თანაავტორებმა [55] შემოთავაზეს შემდეგი სახის განაწილებული გადაადგილებები

$$u_x = C_1x + C_2y + C_3; \quad (76)$$

$$u_y = C_4x + C_5y + C_6, \quad (77)$$

სადაც ექვსი კოეფიციენტი C_1, \dots, C_6 გამოისახება სამკუთხედის წვეროების გადაადგილებების მეშვეობით. ამგვარად ძირითად შემოთავაზებაში

$$u_1 = \bar{a}_{i\alpha} \bar{u}_\alpha; \quad (78)$$

$$\bar{a}_{11} = \frac{1}{2A_{123}} [y_{32}(x - x_2) - x_{32}(y - y_2)];$$

$$\bar{a}_{12} = 0;$$

$$\bar{a}_{13} = \frac{1}{2A_{123}} [-y_{31}(x - x_3) - x_{31}(y - y_3)];$$

$$\bar{a}_{14} = 0;$$

$$\bar{a}_{15} = \frac{1}{2A_{123}} [y_{21}(x - x_1) - x_{21}(y - y_{12})];$$

$$\bar{a}_{16} = 0;$$

$$\bar{a}_{21} = 0;$$

$$\begin{aligned}\bar{a}_{22} &= \frac{1}{2A_{123}} [y_{32}(x - x_2) - x_{32}(y - y_2)]; \\ \bar{a}_{23} &= 0; \\ \bar{a}_{24} &= \frac{1}{2A_{123}} [-y_{31}(x - x_3) + x_{32}(y - y_3)]; \\ \bar{a}_{25} &= 0; \\ \bar{a}_{26} &= \frac{1}{2A_{123}} [y_{21}(x - x_1) - x_{21}(y - y_1)],\end{aligned}$$

სადაც $A_{123} = \frac{1}{2}(x_{32}y_{21} - x_{21}y_{32}) =$ სამკუთხედის ფართობს და $x_{ij} = x_i - x_j$; $y_{ij} = y_i - y_j$.

ასეთი ელემენტის ნაირსახეობა, რომელიც გამოიყენებს იგივე ძირითად ვარაუდებს და გამოსადეგარი კომპოზიტებისაგან დამზადებულ კონსტრუქციებში გამოსაყენებლად, შეიმუშავა მიკელსონმა[33]. ელემენტი გამოსადეგარია კომპოზიტისთვის, რომელსაც აქვს ორთოტროპული ღერძების სისტემა, რომელიც ელემენტის ადგილობრივი კოორდინატთა სისტემის პარალელურია.

კოეფიციენტებს $D_{ij\alpha}$, რომლებიც აკავშირებს კვანძების გადაადგილებებს დეფორმაციებთან, აქვს შემდეგი სახე

$$\begin{aligned}D_{11\alpha} &= \frac{1}{2A_{123}} [y_{32} \ 0 \ -y_{32} \ 0 \ y_{21} \ 0]; \\ D_{22\alpha} &= \frac{1}{2A_{123}} [0 \ -x_{32} \ 0 \ x_{31} \ 0 \ -x_{21}]; \\ D_{12\alpha} &= \frac{1}{2A_{123}} [-x_{32} \ y_{32} \ x_{31} \ -y_{31} \ -x_{21} \ y_{21}].\end{aligned}$$

ჰუკის კანონის გამოყენებით ორთოტროპიის ბრტყელი შემთხვევისათვის მივიღებთ

$$\sigma_{22} = \frac{1}{1 - \nu_{xy}\nu_{yx}} [E_y \varepsilon_{22} + \nu_{yx} E_y \varepsilon_{22}]; \quad (79)$$

$$\sigma_{11} = \frac{1}{1 - \nu_{xy}\nu_{yx}} [E_x \varepsilon_{11} + \nu_{xy} E_y \varepsilon_{22}]; \quad (80)$$

$$\sigma_{12} = 2G_{xy} \varepsilon_{11}. \quad (81)$$

კოეფიციენტებს $E_{ij\alpha}$, რომლებიც აკავშირებს კვანძების გადაადგილებებს ელემენტებში ძაბვებთან, აქვთ შემდეგი სახე

$$E_{11\alpha} = \frac{1}{2A_{123}} [E_x y_{32} - \nu_{yx} E_x x_{32} - E_x y_{32} \nu_{yx} E_x x_{31} E_x y_{21} - \nu_{yx} E_x x_{21}];$$

$$E_{22\alpha} = \frac{1}{2A_{123}} [v_{xy} E_y y_{32} - E_y x_{32} - v_{xy} E_y y_{31} E_y x_{31} v_{xy} E_y y_{21} - E_y x_{21}];$$

$$E_{12\alpha} = \frac{1}{2A_{123}} [-\lambda G_{xy} x_{32} \lambda G_{xy} y_{32} \lambda G_{xy} x_{31} - \lambda G_{xy} y_{31} - \lambda G_{xy} x_{21} \lambda G_{xy} y_{21}],$$

სადაც $\lambda = 1 - v_{xy} v_{yx}$.

ელემენტების სიხისტე

$$C_{\gamma\alpha} = \int_v C_{ijmn} \bar{a}_{i\alpha,j} \bar{a}_{m\alpha,n} dV \quad (82)$$

შესაძლებელია წარმოსახული იქნეს ჯამის სახით

$$C_{\gamma\alpha} = C_{\gamma\alpha}^1 + C_{\gamma\alpha}^2, \quad (83)$$


სადაც

$$C_{\gamma\alpha}^1 = \frac{1}{4A_{123}\lambda} \times$$

$$\begin{bmatrix} -E_x y_{32}^2 - v_{yx} E_x x_{32} y_{32} - E_x y_{31} y_{32} v_{yx} E_x x_{31} y_{32} E_x y_{21} y_{32} - v_{yx} E_x x_{21} y_{32} \\ -v_{xy} E_x x_{32} y_{32} E_x x_{32}^2 v_{xy} E_y x_{32} y_{31} - E_y x_{31} x_{32} - v_{xy} E_x x_{32} y_{21} E_x x_{21} x_{32} \\ -E_x y_{31} y_{32} v_{yx} E_x x_{32} y_{31} E_x y_{31}^2 - v_{yx} E_x x_{31} y_{31} - E_x y_{21} y_{31} v_{yx} E_x x_{21} y_{31} \\ v_{xy} E_y x_{31} y_{32} - E_x x_{31} x_{32} - v_{xy} E_y x_{31} y_{31} E_x x_{31}^2 v_{xy} E_y x_{31} y_{21} - E_x x_{21} y_{31} \\ E_x y_{21} y_{31} - v_{yx} E_x x_{32} y_{21} - E_x y_{21} y_{31} v_{yx} E_x x_{31} y_{21} E_x y_{21}^2 - v_{yx} E_x x_{21} y_{21} \\ -v_{xy} E_x x_{21} y_{32} E_x x_{21} x_{32} v_{xy} E_y x_{21} y_{31} - E_y x_{21} x_{31} - v_{xy} E_x x_{21} y_{21} E_x x_{21}^2 \end{bmatrix}$$

და

$$C_{\gamma\alpha}^2 = \frac{tG_{xy}}{4A_{123}} \begin{bmatrix} x_{32}^2 \\ -x_{32} y_{32} & y_{32}^2 \\ -x_{32} y_{31} & y_{32} x_{31} & x_{31}^2 \\ x_{32} y_{31} & -y_{32} y_{31} & -x_{31} y_{31} & y_{31}^2 \\ x_{32} x_{21} & -\beta_{32} x_{21} & -x_{31} x_{32} & y_{31} x_{21} & x_{21}^2 \\ -x_{32} y_{21} & y_{32} y_{21} & x_{31} y_{21} & -y_{31} y_{21} & -x_{21} y_{21} & y_{21}^2 \end{bmatrix}$$



ნახ. 1.18. ელემენტი ოთკუთხა ფირფიტის სახით

მართკუთხა ელემენტი ბრტყელი დაძაბული მდგომარეობისათვის (ნახ. 1.18.), რომელიც შემუშავებული იყო პუემინეცკის და ბერკეს მიერ [36]. იქნა მოდიფიცირებული აგრეთვე მიკელსონის მიერ [33]. გადაადგილებები იქნა მოცემული შემდეგი სახით

$$u_x = C_1x + C_2xy + C_3y + C_4; \quad (84)$$

$$u_y = C_5x + C_6xy + C_7y + C_8. \quad (85)$$

C_1 გამოსახვისას კვანძების გადაადგილებების მეშვეობით, a_{ij} მნიშვნელობები ფორმულაში

$$u_i = a_{i\alpha} \bar{u}_\alpha \quad (86)$$

შესაძლებელია ჩაიწეროს შემდეგნაირად

$$u_{i\alpha} = \begin{bmatrix} (1-x)(1-y) & 0 & (1-x)y & 0 & xy & 0 & x(1-y) & 0 \\ 0 & (1-x)(1-y) & 0 & (1-x)y & 0 & x & 0 & x(1-y) \end{bmatrix}$$

კოეფიციენტები $D_{i\alpha}$, რომლებიც აკავშირებს კვანძებში გადაადგილებებს დეფორმაციებთან ელემენტში განისაზღვრება შემდეგნაირად

$$D_{11\alpha} = \begin{bmatrix} \frac{-(1-y)}{a} & 0 & \frac{-y}{a} & 0 & \frac{y}{a} & 0 & \frac{1-y}{a} & 0 \end{bmatrix};$$

$$D_{22\alpha} = \begin{bmatrix} 0 & \frac{-(1-x)}{b} & 0 & \frac{1-x}{b} & 0 & \frac{x}{b} & 0 & \frac{-x}{b} \end{bmatrix};$$

$$D_{12\alpha} = \begin{bmatrix} \frac{-(1-x)}{b} & \frac{-(1-y)}{a} & \frac{1-x}{ba} & \frac{-y}{a} & \frac{x}{b} & \frac{y}{a} & \frac{-x}{b} & \frac{1-y}{a} \end{bmatrix}.$$

სიდიდეები $E_{ij\alpha}$, რომლებიც აკავშირებს კვანძების გადაადგილებებს ძაბვებთან ელემენტში, გამოისახება შემდეგნაირად

$$E_{11\alpha} = \frac{1}{\lambda} \left[\frac{-(1-y)}{a} E_x \quad \frac{-(1-x)}{b} \nu_{xy} E_x \quad \frac{-y}{a} E_x \quad \frac{1-x}{b} \nu_{yx} E_x \times \right. \\ \left. \times \frac{y}{a} E_x \quad \frac{x}{b} \nu_{yx} E_x \quad \frac{1-y}{a} E_x \quad \frac{-x}{b} \nu_{yx} E_x \right];$$

$$E_{22\alpha} = \frac{1}{\lambda} \left[\frac{-(1-y)}{a} \nu_{xy} E_x \quad \frac{-(1-x)}{b} E_x \quad \frac{-y}{a} \nu_{xy} E_x \quad \frac{(1-x)}{b} E_x \times \right.$$

$$\times \frac{y}{a} v_{xy} E_y \frac{x}{b} E_x \left[\frac{1-y}{a} v_{xy} E_x - \frac{-x}{b} E_x \right];$$

$$E_{12\alpha} = \left[\frac{-(1-x)}{b} G_{xy} \frac{-(1-y)}{a} G_{xy} \frac{(1-x)}{b} G_{xy} \frac{-x}{a} G_{xy} \times \right.$$

$$\left. \times \frac{x}{b} G_{xy} \frac{y}{a} G_{xy} \frac{-x}{b} G_{xy} \frac{1-y}{a} G_{xy} \right].$$

ელემენტების სიხისტე შესაძლებელია იქნეს წარმოდგენილი ჯამის სახით

$$C_{\gamma\alpha} = C_{\gamma\alpha}^1 + C_{\gamma\alpha}^2 \quad (87)$$

სადაც

$$C_{\gamma\alpha}^1 =$$

$$= \frac{t}{\lambda} \begin{bmatrix} \frac{bE_x}{3a} & \frac{v_{yx}E_x}{4} & \frac{bE_x}{6a} & \frac{-v_{yx}E_x}{4} & \frac{-bE_x}{6a} & \frac{-v_{yx}E_x}{4} & \frac{-bE_x}{3a} & \frac{-v_{yx}E_x}{4} \\ \frac{v_{xy}E_y}{4} & \frac{aE_y}{3b} & \frac{v_{xy}E_y}{4} & \frac{-aE_y}{3} & \frac{-v_{xy}E_y}{4} & \frac{-aE_y}{6b} & \frac{-v_{xy}E_y}{4} & \frac{bE_y}{6a} \\ \frac{bE_x}{6a} & \frac{v_{yx}E_x}{4} & \frac{bE_x}{3a} & \frac{-v_{yx}E_x}{4} & \frac{-bE_x}{3a} & \frac{-v_{yx}E_x}{4} & \frac{-bE_x}{6a} & \frac{v_{yx}E_x}{4} \\ \frac{-v_{xy}E_y}{4} & \frac{-aE_x}{3b} & \frac{-v_{xy}E_y}{4} & \frac{aE_y}{3} & \frac{v_{xy}E_y}{4} & \frac{aE_y}{6b} & \frac{v_{xy}E_y}{4} & \frac{-aE_y}{6a} \\ \frac{-bE_x}{6a} & \frac{-v_{yx}E_x}{4} & \frac{-bE_x}{3a} & \frac{v_{yx}E_x}{4} & \frac{bE_x}{3a} & \frac{v_{yx}E_x}{4} & \frac{bE_x}{6a} & \frac{-v_{yx}E_x}{4} \\ \frac{-v_{xy}E_y}{4} & \frac{-aE_x}{3b} & \frac{-v_{xy}E_y}{4} & \frac{aE_x}{3} & \frac{v_{xy}E_y}{4} & \frac{aE_y}{6b} & \frac{v_{xy}E_y}{4} & \frac{-aE_x}{6a} \\ \frac{-bE_x}{6a} & \frac{-v_{yx}E_x}{4} & \frac{-bE_x}{3a} & \frac{v_{yx}E_x}{4} & \frac{bE_x}{3a} & \frac{v_{yx}E_x}{4} & \frac{bE_x}{6a} & \frac{-v_{yz}E_x}{4} \\ \frac{v_{xy}E_y}{4} & \frac{aE_y}{3b} & \frac{v_{xy}E_y}{4} & \frac{-aE_y}{3} & \frac{-v_{xy}E_y}{4} & \frac{-aE_y}{6b} & \frac{-v_{xy}E_y}{4} & \frac{aE_y}{6a} \\ \frac{4}{6b} & \frac{4}{3b} & \frac{4}{4} & \frac{4}{3b} & \frac{4}{4} & \frac{4}{3b} & \frac{4}{4} & \frac{4}{3b} \end{bmatrix}$$

$$C_{\gamma\alpha}^2 = G_{xy} \begin{bmatrix} \frac{a}{3b} & \frac{1}{4} & \frac{-a}{3b} & \frac{1}{4} & \frac{-a}{6b} & \frac{-1}{4} & \frac{a}{6b} & \frac{-1}{4} \\ \frac{b}{3a} & \frac{-1}{4} & \frac{b}{4} & \frac{1}{6a} & \frac{1}{4} & \frac{b}{6a} & \frac{1}{4} & \frac{b}{3a} \\ \frac{a}{3a} & \frac{4}{4} & \frac{-1}{6a} & \frac{a}{4} & \frac{1}{6a} & \frac{-a}{4} & \frac{1}{3a} & \frac{-1}{4} \\ \frac{a}{3b} & \frac{-1}{4} & \frac{a}{6b} & \frac{1}{4} & \frac{-a}{6b} & \frac{1}{4} & \frac{-a}{3a} & \frac{1}{4} \\ \frac{b}{3a} & \frac{4}{4} & \frac{-1}{6a} & \frac{a}{4} & \frac{1}{6a} & \frac{-a}{4} & \frac{1}{3a} & \frac{-1}{4} \\ \frac{b}{3b} & \frac{-1}{4} & \frac{b}{4} & \frac{1}{6b} & \frac{1}{4} & \frac{b}{6b} & \frac{1}{4} & \frac{b}{3b} \\ \frac{a}{3a} & \frac{4}{4} & \frac{-1}{6a} & \frac{a}{4} & \frac{1}{6a} & \frac{-a}{4} & \frac{1}{3a} & \frac{-1}{4} \\ \frac{b}{3b} & \frac{-1}{4} & \frac{b}{4} & \frac{1}{6b} & \frac{1}{4} & \frac{b}{6b} & \frac{1}{4} & \frac{b}{3b} \end{bmatrix}$$

3.9. ელემენტის თეორია, რომელიც აკმაყოფილებს წონასწორობის პირობებს

ამგვარ ელემენტში ნაგულისხმევია, რომ ძაბვები უნდა გამოისახონ კვანძებში ძაღვების მეშვეობით:

$$\sigma_{ij} = \bar{b}_{ij\alpha} \bar{F}_\alpha \quad (88)$$

ძაღვები \bar{F}_α ზოგად შემთხვევაში არ წარმოადგენს დამოუკიდებელს რადგან საჭიროა წონასწორობის პირობების შესრულება. ამგვარად, წონასწორობის პირობები

$$\frac{\partial \sigma_{ij}}{\partial x_j} = 0 \quad (89)$$

გამოიყენება იმისათვის, რომ შემცირდეს კვანძური ძაღვების რიცხვი დამოუკიდებელი ძალთა რიცხვი F_α , რომლებსაც ეწოდება ელემენტები:

$$\bar{F}_\alpha = d_{\alpha\beta} F_\beta \quad (90)$$

ელემენტარული ძაღვებით განსაზღვრულ ძაღვებს ექნებათ შემდეგი სახე

$$\sigma_{ij} = \bar{b}_{ij\alpha} d_{\alpha\beta} F_\beta = b_{ij\beta} F_\beta \quad (91)$$

ელემენტის დეფორმაციები, რომლებიც შეესაბამება ელემენტარულ ძაღვს, მოიძებნება კასტილიანოს თეორემის მეშვეობით:

$$\bar{e}_\beta = \frac{\partial U}{\partial F_\beta} \quad (92)$$

სადაც U დეფორმაციის ენერჯიაა,

$$\begin{aligned}
 U &= \frac{1}{2} \int \sigma_{ij} \varepsilon_{ij} dV = \frac{1}{2} \int \sigma_{ij} \sigma_{k\ell} S_{ijk\ell} dV = \\
 &= \frac{1}{2} \int b_{ij\beta} F_{\beta} b_{k\ell\gamma} F_{\gamma} S_{ijk\ell} dV.
 \end{aligned} \tag{93}$$

ამგვარად განტოლება (92) გარდაიქმნება შემდეგ გამოსახულებად

$$\bar{e}_{\beta} = \int_{\nu} S_{ijk\ell} b_{ij\gamma} b_{k\ell\beta} F_{\gamma} dV. \tag{94}$$

ეს გამოსახულება ახასიათებს ელემენტის დამყოლობას და შესაძლებელია ჩაწერილ იქნას შემდეგნაირად

$$\bar{e}_{\beta} = f_{\beta\gamma} F_{\gamma}$$

სადაც

$$f_{\beta\gamma} = \int_{\nu} S_{ijk\ell} b_{ij\gamma} b_{k\ell\beta} dV. \tag{95}$$

ზოგიერთი ელემენტების დამყოლობის ელემენტები

დაძაბული მდგომარეობის მოცემული ხასიათის მქონე ელემენტის ნიშნად განიხილება ლუნვაზე მომუშავე ბრტყელი სამკუთხა ფირფიტა (ნახ. 1.19), რომელიც მოცემულია ნაშრომში [23] და მოდიფიცირებულია თეოდოსიადის მიერ გამოსაყენებლად კომპოზიურ მასალებისაგან დამზადებული კონსტრუქციების გაანგარიშებებში.[54] დაძაბული მდგომარეობის ცვლილება მლუნავი მომენტის მოცემულ შემთხვევაში, მოცემულია შემდეგი ფორმით:

$$M_x = F_1 + \left(\frac{x}{L_3}\right)F_2 + \left(\frac{y}{L_2}\right)F_3 + \frac{1}{3} \frac{L_3}{L_2} \left(1 - \frac{x}{L_3}\right) \frac{x}{L_3} q; \tag{96}$$

$$M_y = F_4 + \left(\frac{x}{L_3}\right)F_5 + \left(\frac{y}{L_2}\right)F_6 + \frac{1}{3} \frac{L_2}{L_3} \left(1 - \frac{y}{L_2}\right) \frac{x}{L_3} q; \tag{97}$$

$$M_{xy} = F_7 + \left(\frac{x}{L_3}\right)F_8 + \left(\frac{y}{L_2}\right)F_9 - \frac{1}{3} \frac{x}{L_3} \frac{y}{L_2} q, \tag{98}$$

სადაც q დატვირთვა ელემენტზე, რომელიც მოქმედებს Z ღერძის მიმართულებით. ცხრა უცნობი ძალური პარამეტრები ქმნიან დამოუკიდებელ სისტემას, რომელმაც უნდა დააკმაყოფილოს წონასწორობის პირობა

$$\frac{\partial^2 M_x}{\partial x^2} + 2 \frac{\partial^2 M_{xy}}{\partial x \partial y} + \frac{\partial^2 M_y}{\partial y^2} + \frac{q}{A} \sin \alpha = 0, \quad (99)$$

სადაც A — ელემენტის ფართობია.


ნავარაუდებია, რომ მასალა წარმოადგენს ორთოტროპულს და მისი თვისებები განსაზღვრულია კოორდინატებში r, s . ამგვარად დამოუკიდებელი სიდიდეები S_{ijkl} სწორდებიან დრეკადობის მოდულების, პუასონის კოეფიციენტის და ძვრის მოდულის მეშვეობით:

$$S_{1111} = \frac{1}{E_r}; \quad (100)$$

$$S_{1122} = \frac{\nu_{sr}}{E_r}; \quad (101)$$

$$S_{2222} = \frac{1}{E_s}; \quad (102)$$

$$S_{1212} = \frac{1}{(2G_{rs})}. \quad (103)$$



ნახ. 1.19. ელემენტი სამკუთხა ფირფიტის სახით

დეფორმაციის ენერგია

$$\begin{aligned} U &= \frac{1}{2} \int \sigma_{ij}^{(r,s)} t_{ij}^{(r,s)} dV = \frac{1}{2} \int M_{ij}^{(r,s)} ZK_{kl}^{(r,s)} dV = \\ &= \frac{t^3}{24} \int M_{ij}^{(r,s)} S_{ijkl} M_{kl}^{(r,s)} dA. \end{aligned} \quad (104)$$

